

არნ . ჩიქო ბავა ს ენათმეცნი ერები ს ინსტიტუტი  
შორენა ლომაია  
ადგილისა და დროის ზმნისართები  
მეგრულ-ლაზურში  
თბილისი  
2006

რეცენზენტები: პროფ. გ. ბურჭულაძე,  
ფილოლ. მეცნ. კანდ. მ. მანჯგალაძე  
რედაქტორი: პროფ. ვ. შენგელია

**ს ა რ ჩ ე ვ ი**

წინასიტყვაობა . . . . .	6
შესავალი . . . . .	7
§ 1. ზმნისართის რაობისათვის . . . . .	7
§ 2. ზმნისართის შესწავლის ისტორიიდან მეგრულ-ლაზურში . . . . .	11
<b>თავი I. ადგილის ზმნისართები . . . . .</b>	<b>22</b>
§ 1. ადგილის პირველადი ზმნისართები მეგრულ-ლაზურში . . . . .	22
§ 2. ადგილის წარმოქმნილი ზმნისართები . . . . .	30
2.1. სუფიქსური წარმოება . . . . .	30
2.2. ხმოვანთავსართული ზმნისართები . . . . .	39
2.3. ბრუნვის ნიშნიანი ზმნისართები . . . . .	46
2.4. დამორებითი ბრუნვის ნიშანი ზმნისართებში . . . . .	49
§ 3. კომპოზიციით მიღებული ადგილის ზმნისართები . . . . .	61
<b>თავი II. დროის ზმნისართები . . . . .</b>	<b>75</b>
§ 1. დროის პირველადი ზმნისართები . . . . .	75
§ 2. წარმოქმნილი დროის ზმნისართები . . . . .	80
2.1. ნაცვალსახელური წარმომავლობის ხმოვან- თავსართებით გაფორმებული დროის ზმნისართები . . . . .	80
2.2. დროის ზმნისართები გაქვავებული მიცემითი ბრუნვის ნიშნით . . . . .	84

2.3. ბრუნვის ნიშნისა და ზმნისართები . . . . .	96
§ 3. კომპოზიციის შედეგად მიღებული დროის ზმნისართები . . . . .	103
§ 4. სივრცითი და დროითი მიმართებების ასახვა მეგრულ-ლაზურში . . . . .	117

დასკვნა . . . . .	123
სამეცნიერო ლიტერატურის, გამოყენებული ლექსიკონებისა და წყაროების სია . . . . .	131
რეზიუმე . . . . .	139
ადგილისა და დროის ზმნისართთა საძიებელი მეგრული . . . . .	154
ლაზური . . . . .	164

#6#

### წინასიტყვაობა

ადგილისა და დროის ზმნისართებთან დაკავშირებით მეგრულ-ლაზურში რიგი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, ბ. ფოჩხუა, ა. კიზირია, ვ. გაბუნია...). ვრცელი მასალის ანალიზის საფუძველზე და სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი თვალსაზრისების გათვალისწინებით, ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ ზმნისართთა სრული და სისტემური ანალიზის ცდა.

ადგილისა და დროის ზმნისართები, როგორც ქართულში, ისე მეგრულ-ლაზურში, აღნაგობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. ერთია ე. წ. პირველადი ზმნისართები, მეორე – ნაწარმოები, რომლებიც დერივაციით ან კომპოზიციით არის მიღებული.

ანალიზის საგანია ადგილისა და დროის ყველა ის ზმნისართი, რომელიც მეგრულ-ლაზურის გამოქვეყნებულ ტექსტებსა და ლექსიკონებშია წარმოდგენილი; ვემყარებით აგრეთვე ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალას.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შრომა ეძღვნება ზმნისართს

<sup>1</sup> ნაშრომში საილუსტრაციო მასალა, რომლის წყარო არაა მითითებული, ჩვენი მოპოვებული მასალიდანაა.

კონკრეტულად მეგრულსა და ლაზურში, მაინც საჭიროდ ვცანით სათანადო შემთხვევებში წარმოგვედგინა მსჯელობა ქართულის შესატყვის მასალაზე, პირველ თავში კი, საკითხის ისტორიასთან ერთად, განგვებილა ზმნისართის რაობის საკითხი.

სადისერტაციო ნაშრომში მეგრულ-ლაზურის ადგილისა და დროის ზმნისართთა სტრუქტურასა და სემანტიკასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ ვრცლად არის გაანალიზებული და ზოგი ახალი თვალსაზრისიც წარმოდგენილია. მაინც ვერ ვიტყვით, რომ ანალიზი ამომწურავია. უფრო სრული ანალიზის წარმოდგენას სამომავლოდ ვგეგმავთ.

#7#

## შესავალი

**§ 1. ზმნისართის რაობისათვის.** ზმნისართი, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, გამოყოფილი იყო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. დიონისე თრაკიელი ზმნისართს აღნიშნავდა ტერმინით *epirrema* (*epir* „ზე“, „თან“ + *rema* „ზმნა“) და ის განსაზღვრული იყო როგორც უბრუნველი მეტყველების ნაწილი, რომელშიც ზმნის შესახებ რაიმე იყო ნათქვამი ან ზმნას დაერთოდა. ამავე მნიშვნელობით მოცემული ტერმინი მიიღო ლათინურმა გრამატიკამ – *adverbium* (*ad* „თან“ + *verb* „ზმნა“). ლათინურიდან კი ტერმინი გავრცელდა ევროპულ ენათა გრამატიკებში [JIEC 1990].

ევროპული გრამატიკული აზრი ანტიკურ ტრადიციას ემყარებოდა და ზმნისართს ერთ-ერთ მეტყველების ნაწილად მიიჩნევს, თუმცა ზოგიერთ ლინგვისტურ კონცეფციაში ის მაინც ვერ იკავებს ადგილს მეტყველების ნაწილთა შორის.

XIX ს-ის შუა ხანებამდე პარადიგმატული ნიშნის მიხედვით – ფორმაუცვლელობის საფუძველზე – ზმნისართს აერთიანებდნენ დამხმარე მეტყველების ნაწილთა (ნაწილაკთა) საერთო კატეგორიაში [Буслаев 1959, 318].

XIX ს-ის რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში ზმნისართი მეტწილად სინტაქსურ ოდენობად არის მიჩნეული. ასეთ შეხედულებას ავითარებდა კ. აქსაკოვი. მისი აზრით, „ზმნისართი არ არის მეტყველების ნაწილი“ [Аксаков

1846, 203]; ის შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი, გამოყენებული სხვადასხვაგვარ ურთიერთობაში. ამავე თვალსაზრისზე იდგა ა. პოტებნიაც, რომელიც ზმნისართს „ნიშნის ნიშნად“ თვლიდა [Потення 1958, 119]. მისი შეხედულებანი ზმნისართზე შემდეგ განავითარეს ა. შახმატოვმა და ა. პეშკოვსკიმ. [Шахматов 1927, 94, 417-434; Пешковский 1956, 95-102].

#8#

ასეთ თვალსაზრისს უპირისპირდება მორფოლოგიური კრიტერიუმი ვ. ფორტუნატოვის გრამატიკული სკოლისა [Фортунатов 1953, 157-172], რომელიც ზმნისართებს ყოფს ორ ჯგუფად: გრამატიკულად („ფორმიანებად“) და არაგრამატიკულად („უფორმოებად“). ამ დაყოფას საფუძვლად უდევს ის, რომ „გრამატიკულ ზმნისართებს“ მოეპოვებათ სიტყვაწარმოებითი ფორმები, „არაგრამატიკულს“ – არა [Фортунатов 1953, 158].

ვ. ვინოგრადოვმა ზმნისართის განსაზღვრისას არსებითად მიიჩნია ორივე მხარე – მორფოლოგიური და სინტაქსური, რაც მეტ შესაძლებლობას იძლევა სრულად იქნეს წარმოდგენილი ამ მეტყველების ნაწილის არსი [Виноградов 1947, 339-340].

ჯონ ლაიონზი აკრიტიკებს ზმნისართის ტრადიციულ დეფინიციას და წერს: ტრადიციულ გრამატიკაში ზმნისართები წარმოადგენენ ძალიან მრავალფეროვან კლასს და საეჭვოა, სინტაქსისის რომელიმე საერთო თეორიამ შეძლოს გააერთიანოს ერთ კლასში ყველა ფორმა, რომლებიც ტრადიციულად ზმნისართებად ითვლება.

ზმნისართის შესახებ აზრთა ერთნაირობა არც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში შეინიშნება. ამ მეტყველების ნაწილის სახელწოდებაც კი ნაირგვარი გვხვდება. ზ. შანშოვანი მას „ზმართულს“ უწოდებს. ანტონი, გ. ფირალოვი, ს. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, არ. ქუთათელაძე, თ. ჟორდანია, ა. ბენაშვილი, მ. ჯანაშვილი – ზმნის ზედას, პ. კვიციარიძე ზმნიზედს, ა. შანიძე – ზმნიზედას, მ. კელენჯერიძე – ზმნისსართს, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, დ. კარიჭაშვილი, არნ. ჩიქობავა, ი. სიხარულიძე – ზმნისართს. სხვადასხვაგვარია ის განმარტებაც, რომელსაც ეს ავტორები იძლევიან.

ძველ გრამატიკებში [მაგ., შანშოვანი 1738, 68; ფირალოვი 1820, 85] წარმოდგენილ ზმნისართის განსაზღვრებაში სამი მომენტია გათვალისწინებული: 1. ზმნისართი უცვლელი სიტყვაა, 2. იგი დაერთვის ზმნას და სახელებს (მაგრამ გა-  
#9#

რკვევით არ არის ნაჩვენები, თუ – რომელ სახელებს),

3. უჩვენებს მათ (ზმნათა და სახელთა) ვითარებას.

შედარებით ვრცლად აქვს განხილული ზმნისართი ანტონი I-ს თავის გრამატიკაში. მას შეუნიშნავს, რომ ზმნისართი შეიძლება გადაიქცეს სხვა მეტყველების ნაწილად, კერძოდ, ზმნას თუ დაერთვის, ზმნიზედაა, ხოლო, როცა სახელს ახლავს ამა თუ იმ ბრუნვაში, თანდებულია... ხაზგასმულია, აგრეთვე, ზმნისართის კავშირად გადაქცევის შესაძლებლობა [ანტონ I, 1885].

ზმნისართის განსაზღვრაში სიახლე შეაქვს ი. ნიკოლაიშვილს, რომელიც განმარტავს, რომ „ზმნისართი უფორმო სიტყვაა, დაერთვის ზმნას და გვიჩვენებს მის სხვადასხვაგვარ გარემოებას“ [ნიკოლაიშვილი 1929, 101]...

სრული განსაზღვრა ზმნისართისა მოგვცა ა. შანიძემ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“: „ზმნიზედა ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვალეზელ სიტყვას, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავს დროსა ან სივრცეში, ან გვიჩვენებს, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება, ან რამდენჯერ და რა ზომით ხდება იგი, ან კიდევ რა არის მოქმედების მიზეზი თუ მიზანი... რაც ზედსართავია არსებითი სახელისათვის, იგივეა ზმნიზედა ზმნისათვის“ [შანიძე 1953, 606]. როგორც ვხედავთ, ა. შანიძე მორფოლოგიის საგნად მიიჩნევს ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილის – ზმნიზედის, ანალიზს.

არნ. ჩიქობავას აზრით, არათანმიმდევრულია მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია. „ცნება მეტყველების ნაწილი მორფოლოგიის ცნებაა და ამ ცნების დადგენისას საფუძველი მორფოლოგიური ნიშანი უნდა იყოს“ [ჩიქობავა 1952, 261], მაგრამ „ზმნისართი, კავშირი, თანდებული მორფოლოგიური ცნებები აღარ არის: სინტაქსური და სტილისტური ცნებებია“ [ჩიქობავა 1952, 266].

აქედან გამომდინარე არნ. ჩიქობავა მას მორფოლოგიაში

საერთოდ არ განიხილავს.

#10#

სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ზმნისართს ძველ ქართულში გ. შალამბერიძემ. მან ზმნისართის მეტყველების ნაწილად განხილვა გაამართლა, რადგან: 1. ზმნისართი მორფოლოგიურად განსხვავდება ყველა სხვა მეტყველების ნაწილისაგან: იგი ფორმალურად სიტყვაა (როგორც ახალ ქართულში, ისე ძველშიც); 2. სემასიოლოგიურად განსხვავებულია სხვა მეტყველების ნაწილისაგან; 3. განსხვავებულია სინტაქსური თვალსაზრისითაც [შალამბერიძე 1959, 15].

სინტაქსურ კრიტერიუმს ემყარება თ. უთურგაიძის კლასიფიკაცია, რომლის თვალსაზრისით, „ბრუნვის ფორმა აქვთ მხოლოდ აქტანტებს, გარემოებებში ბრუნვის ნიშანი თეორიულად არის დაუშვებელი: სახელთა ფორმები სწორედ ბრუნების პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნისზედებად, ანუ გარემოებებად. კონტექსტებში „ქალაქს ესახლა“, „ქალაქიდან მიდის“, „ქალაქამდე მივიდა“ – ~~ქალაქ~~ ფუძეზე შეზრდილი ბრუნვის ნიშნები (თანდებულებით და უთანდებულებით) წარმომქმნელ ელემენტებად გარდაიქმნიებიან“ [უთურგაიძე 1986, 91-92].

ამ საკითხთან დაკავშირებით კ. გაბუნია თავის ნაშრომში „ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“ წერს, რომ „ზმნისართი, როგორც ცალკე მეტყველების ნაწილი (მორფოლოგიური კატეგორია), არ გამოიყოფა – იგი სემასიოლოგიური კლასიფიკაციის დროს გამოსაყენებელი ცნებაა; ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზმნისართს არ გააჩნდეს გარკვეული (მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი) თავისებურებანი მორფოლოგიური თვალსაზრისით: ეს თავისებურებანი ჩანს ზმნისართის ფუძის შენების პროცესშიც და ბრუნების პარადიგმაშიც. არსებითი ნიშანი, რაც მას აერთიანებს სახელებთან, ზიარი მორფოლოგიური კატეგორია – ბრუნებაა“ [გაბუნია 1993, 25].

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ზმნისართი არის ფორმალურად სიტყვების ლექსიკურ-გრამატიკული კლასი, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედების ადგილს, დროს, ან მო-

#11#

ქმედების თვისებას, ხარისხს... ზმნისართი, როგორც მეტყვე-

ლების ნაწილი, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური თვისებების ერთობლიობით განისაზღვრება.

**§ 2. ზმნისართის შესწავლის ისტორიიდან მეგრულ-ლაზურში.** მეგრულ-ლაზურში ზმნისართის პირველი მეცნიერული განხილვა უკავშირდება ნ. მარისა და ი. ყიფშიძის სახელებს. მანამდე კი, დიდი ხნით ადრე, XVII საუკუნის თურქ მოგზაურს ევლია ჩელების მიუქცევია ყურადღება ამ ლექსიკური ერთეულისათვის. მას თავის „მოგზაურობის წიგნში“ ცალკე თავად გამოყოფილი აქვს „მეგრული ენა“, სადაც სიტყვების ჩამონათვალში მოცემული აქვს ზმნისართი აშ შესიტყვებაში – „აშ მორთი“, რაც განმარტებულია, როგორც „აქეთ“ [ჩელები 1971, 333].

რამდენიმე ზმნისართია ჩამოთვლილი XVIII ს-ის გერმანელი მოგზაურის ი. გიულდენშტედტის წიგნში „მოგზაურობა საქართველოში“. მის ერთ განყოფილებაში „კავკასიაში ხმარებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები“, რომელშიც შედის „ქართველური ენები“ – სიტყვები დალაგებულია შინაარსის მიხედვით, სადაც ჩამოთვლილია შემდეგი ზმნისართები: აშ „აქეთ“<sup>2</sup>; დღა (Gä) „დღეს“; გოღა (Goga) „გუშინ“; ჭუმე (Tshume) „ხვალ“ [გიულდენშტედტი 1964, 312].

რაც შეეხება ქვეთავს, „ენა, რომელზეც ლაპარაკობენ პროვინცია სამეგრელოში“ წარმოადგენს მოგზაურის მიერ ჩაწერილ ფრაზებს, სადაც ვხვდებით ადგილის, დროისა თუ ვითარების რამდენიმე ზმნისართს. მაგალითები მოყვანილია კონტექსტებში: 2. კოჩი სიმა ხანცერ'ე „კაცი ცოტას ცხოვრობს“; 4. თინა ხოლიო (холод) უბათრ'ენ „ის კიდევ ავად არის“; მოჭყუდ თიმ ხოლოს (холод) ქოხე დო ქინგარც „პატარძალი მის ახლოს ზის და ტირის“. 6. ათენა მოჭყუდუ დიო (дио) ვუაგლურც „ეს პატარძალი ჯერ არ #12# დადის“. 7. წმახიანი (Цмархиანი) გილერულე... „პირველი დარბის...“ 11. ჩხვინდი შკაშკა პიჯიში „ცხვირი შუაშია პირის“ 17. ათედა ფრინველი წყნარო კეტეფურინუნც „ეს ფრინველი წყნარა (ნელა) მიფრინავს“. 22. გოღა ონიჯუას

<sup>2</sup> „იქით“-ის მნიშვნელობით მოცემულია მეუ ("mey")...

ჭვენდ „გუშინ სადამოს წვიმდა“. **ამუღლა ოჭმარეს** ბძირი ცაში ორტყავ „დღეს დილით ცისარტყელა ვნახე“ [გიულდენშტედტი 1964, 373-375].

XIX ს-ის შუა წლებში ფრანგი მეცნიერი გ. როზენი თავის წიგნში „ლაზთა ენის შესახებ“ (1844) ცალკე თავად გამოყოფს ზმნისართებს; დასაწყისში უთითებს, რომ „ყურადღების ღირსია“ ამ სიტყვების ეტიმოლოგია, თუმცა მხოლოდ მათი ჩამოთვლითა და თარგმანით კმაყოფილდება [Rosen 1844, 28].

მას მოყვანილი აქვს შემდეგი ლაზური ზმნისართები: **ჰუს** „ახლა“, **უკაჩხა** „შემდგომ“, **ღება** „გვიან“, **ჰიმ ვაკიტ** „მაშინ, იმ დროს“, **ორდო** „ადრე“, „ჩქარა“, **ოფშა ვაკიტ** „ხშირად“, **სიდას** „ნელა“, **ბთელი** „მთლად“, **ხვალა** „მარტო“, **კაზდითე** „განზრახ, განგებ“, **ჩეთინითე** „ძნელად“, **ოკვანდუტა** „ნებაყოფლობით“, **ვარ ოქვანდუთა** „არანებაყოფლობით“, **მუნდას?** „როდის?“, **ნაკ** „რით?“, **ჰაკ** „აქ“, **ჰაშო**, **ჰამუშახა** „ასე, რომ“ მოსალოდნელი **ჟ**-ს ნაცვლად გვაქვს **შ** სიტყვაში **შილე** (უნდა იყოს **ჟილე**) „ზევით“, **წალე** „ქვევით“, **ოგინე** „წინ“, **დოლოხე** „შიგნით“, **ნწო** „წელს“, **წანას** „მომავალ წელს“.

პ. ჭარაიას, როცა ის განიხილავს მეგრულის ნათესაობრივ დამოკიდებულებას ქართულთან, მოჰყავს ზმნისართები **წო-ხლე** „წინ“ და **უკო-ხლე** „უკან“ [ჭარაია 1895, 115]. ავტორი რედუპლიკაციასთან დაკავშირებით წერს: „რომელსამე ვითარებაზე გინა მდგომარეობაზე განსაკუთრებითის ყურადღების მისაქცევად მეგრულს ქართულთან ერთად ძლიერ უყვარს ორჯერ გამეორებული სიტყვები და მოჰყავს ადგილის ზმნისართის ორი კომპოზიტური ფორმა: **ხოლო-ხოლოს** „ახლო-ახლო“, **შორ-შორს** „შორ-შორს“ [ჭარაია 1896, 42].

#13#

XX ს-ის დამდეგს გერმანელი მეცნიერი თ. კლუგე წიგნში „Beitrag zur Mingrelischen Grammatik“ ცალკე თავში განიხილავს ზმნისართს და მის სემანტიკურ ჯგუფებს [Kluge 1914, 12]. ადგილისა და დროის ზმნისართების პირველ ჯგუფში (Temporali) ავტორს შეტანილი აქვს შემდეგი ზმნისართები: **მუჟამს** „როდის“, **ირო** „ყოველთვის“, **ხანდახან** „ხანდახან“, **ასე** „ახლა“, **ადრე** „ადრე“, **გვიან** „გვიან“,



უკული „მერე“, ჭიჭე ხან (ვარ), ასერდე „ცოტა ხანი (არა) ახლახან“, ბრელი ხანი „დიდხანს“, ასე ხოლო „ეხ-ლაც“, ბრელი ხანს „დიდხანს“, ჰამუდლა „დღეს“, ჭუმე „ხვალ“, გოლა „გუშინ“, ჭუმეშგელან „ზეგ“, გოლაწო „გუშინწინ“, უკული „შემდეგ, მერე“; მალას, ჩქარას „მალე“, თიმ უკული „იმის შემდეგ“, გოწოს „შარშან“, გოწობ „შარშანწინ“, თე საათის „ამ საათზე“, თაქიშახ „აქამდე“, მუთუნდროს „არასოდეს“, დლაშით „დღისით“, სერით „ღამით“...

მეორე ჯგუფში წარმოდგენილია: სო „სად“, თექ „იქ“, თაქი „აქ“, თექი „იქ“, ხოლოს „ახლოს“, კვარჩხანიშე „მარცხნიდან“, ჟი „ზევით“, თუდო „ქვევით“, ჟი „ზევით“, მუკი-მუკი „ირგვლივ“, ხოლოს „ახლოს“, შორს „გასწვრივ“, „სამაგიერო“, ოლე „გვერდით“, უკოხოლე „უკან“, დინოხოლე „შიგ, შიგნით“, გალე „გარეთ“, უკული „შემდეგ, შემდგომ“, ეიშახ „იქამდე“, შქას „შუაში“...

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერს უხვი მასალა შეუკრებია. მკვლევრის დაკვირვებულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ზმნისართებში ის რედუპლიცი-რებული ფუძეების ზმნისართებად გამოყენების შესაძლებ-ლობას უსვამს ხაზს (მუკი-მუკი “ირგვლივ”); ყურადღება მი-უქცევია შესიტყვეებისათვის, რომლებითაც ზმნისართული მნიშვნელობებია გადმოცემული: ბრელ ხანს “დიდ ხანს”, თიმ უკული “მის მერე, შემდეგ”; ჰირ დიხას “ყველგან”, თე საათის “ამ საათზე” და სხვ.

#14#

საინტერესოა, რომ კლუგეს პირველ ჯგუფში (Tempo-ali) მოჰყავს ზმნისართი თაქიშახ (“აქამდე”), ხოლო მეორე-ში (Lokali) ეიშახ (= თექიშახ). ამ სიტყვების პირველადი ფუნქცია არის ადგილის გამოხატვა, მაგრამ დროულ მნიშ-ვნელობებსაც გადმოსცემენ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მეცნიერს შენიშნული ჰქონდა ეს ფაქტი, მაგრამ ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ამას ვერ დავა-დასტურებთ.

თ. კლუგეს ნაშრომი რიგ შენიშვნას იწვევს: 1. ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული რამდენიმეჯერ არის შეტა-ნილი, როგორც სხვადასხვა ჯგუფებში, ასევე ერთი ჯგუფის

ფარგლებშიც; ასეთებია, მაგალითად: **ჰამუდლა** “დღეს”, **უკული** “შემდეგ”, **თექ** “იქ”, **შორს** “შორს”, **ჟი** “ზევით”, **თუდო** “ქვევით”, **ხოლოს** “ახლოს” და სხვ. 2. შეცდომებია გაპარული ზმნისართთა შინაარსობრივ დაჯგუფებებშიც: **თიშენ** “იმიტომ”, **ხოლო** “კიდევ”, **პირველო** “პირველად”, **თუდიშე** “თავიდან”... ფორმები შეტანილია დროის ზმნისართებში. 3. მეცნიერს მორფოლოგიის ცნება – ზმნისართი, და სინტაქსური ერთეული – გარემოება არა აქვს გარჩეული; ასევე, ზმნისართებში განიხილავს სხვა მეტყველების ნაწილებსაც (ნაწილაც, კავშირს, ზედსართავს, ზმნასაც კი...) მაგ., **ცხენით** “ცხენით”, **ცუდეს** “სახლში”, **უდემა** “სახლში”, **შილგე** “შეიძლება”, **მედინ** “დაიკარგე”, **თეს** “ამას”, **ვარ** “არა”, **ქო** “კი”, **მარა** “მაგრამ”... 4. ავტორი სალიტერატურო ქართულის ფაქტებს მეგრულ დიალექტს მიაწერს: “მამასადამე”, “ნაწილად”, “გვიან”, “ძალიან”, “თითქმის”, “ნელა”, “ხანდახან”, “გარდა”...

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, კლუგეს ნაშრომი ფასეულია იმით, რომ მან თავი მოუყარა ამდენ ლექსიკურ ერთეულს ერთად და სემანტიკური დაჯგუფებაც სცადა.

XX ს-ის დამდეგს ნ. მარი და ი. ყიფშიძე ლაზურ და მეგრულ გრამატიკებში შეეხნენ ზმნისართის წარმოებისა და ფუნქციონირების საკითხებს. ნ. მარის აზრით, განსაკუთრებული #15#

ბულ ყურადღებას იმსახურებენ ადგილის ზმნისართები, რომლებიც დროით მიმართულებათა ასახვის დროსაც გამოიყენებიან [Mapp 1910, 38]. მკვლევარი ფორმოობრივი თვალსაზრისით ორ ჯგუფს გამოყოფს და შენიშნავს, რომ მარტივი ზმნისართები მცირერიცხოვანია: **ჟი** | **ჟინ** “ზემოთ”, **თუდე** “ქვემოთ”, **შქა** “შუაში”, “შიგნით”, **ოშქენა** “შუაში”, **ძანი** “ახლოს, გვერდით”, **ოღინე** “ადრე”, “წინ”.

მრავალრიცხოვანია რთული ზმნისართები, რომელთაც მარი ხუთ ჯგუფად ყოფს: 1. პირველში შედის **დო**-თი ნაწარმოები სიტყვები – **მოლენდო** “გამოდმიდან” **მელენდო** “იქიდან, გაღმიდან”; **ჟილენდო** “ზემოდან”; **წალენდო** “ქვემოდან”, **ჰამდო** **ჟილე** “ამის ზემოთ”; **ჰინდო** **მელე** “იმის იქით”, “იმ მხარეს”, ...ამასთან ეს ზმნისართები უპასუხებენ კითხვას: “საიდან” 2. -**ლე** სუფიქსიანები: **გალე** “გარე(თ)”,

თუდელე „ქვემოთ“, კელე „-თან“, ჩქიმიკელე მოხთი, ეკულე „შემდეგომ“, ოკულე, მელე „გალმა“, ჟილე „მალლა“, წალე „ქვემოთ“, წოხლე „წინ“, მენდრალე „შორს“, ჰაქოლე (აქოლე) „აქეთ“, ჰექოლე (ექოლე) „იქით“; 3. -მთე სუფიქსიანები (|| მთი): ელამთე „ზემოთ, მაღლა“, ელამთი, გელამთე „ქვემოთ“, გელამთი 4. -ხე (| ხა)-თი ნაწარმოები ფორმები: დოლოხე „შიგნით, შიგ“; უკაჩხე „მერე“, უკაჩხა 5. მეხუთე ჯგუფში გაერთიანებულია კომპოზიტური ფორმები: შქა-გური „შუა-გული“... [Mapp 1910, 38].

ბოლოს ნ. მარი აღნიშნავს, რომ ეს ზმნისართები ზოგჯერ გამოყენებულია თანდებულის ფუნქციით, და ამ შემთხვევაში ისინი ჩვეულებრივ მოითხოვენ ნათესაობით ბრუნვას: (ჰ)ამუშ ჟილე „ამის ზემოთ“, ჰამუშ მელე „ამის იქით“, ამუშ მელე, ჰემუშ მელე... [Mapp 1910, 39].

ი. ყიფშიძე “მეგრულ გრამატიკაში” აანალიზებს ზმნისართებს სტრუქტურული თვალსაზრისით და მათ ყოფს მარტივ და რთულ ფორმებად, ხოლო სემანტიკის მიხედვით ექვს ჯგუფს გამოყოფს: ხარისხის, რაოდენობით, ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის ზმნისართებს [ყიფშიძე 1994, 166].

#16#

მკვლევარი ყველაზე ვრცლად ეხება ადგილისა და დროის ზმნისართებს. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ადგილის ზმნისართს (მაგ., კინო-ხე „უკან“) ვხვდებით დროის ჯგუფში (კინო-ხე „შემდეგ“)... წარმოგვიდგენს როგორც ძირეულ ზმნისართებს (აშო „აქეთ“, {ვ}იშო „იქით“, {ა}{თ}აქი „აქ“, {ე}{თ}ექი „იქ“) ასევე წარმოქმნილ ფორმებსაც, რომლებშიც გამოყოფს მწარმოებლებს (სო-ლე-შე „საით, საიდან“, ჟი-მო-ლე „ზევით“, თუდო-ლე „ქვევით“, წოხო-ლე „წინ“, დინახა-ლე „შიგნით“... უკული-ნე „შემდეგ“, გოლა-წო-ხე „გუშინწინ“, გო-წოს „შარშან“ და სხვ.).

ი. ყიფშიძე წარმოგვიდგენს როგორც ფუძის განმეორებით მიღებულ ზმნისართებს (მუკი-მუკი „ირგვლივ“; მიკი-მიკი „იქით და იქით“...), ასევე – სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებულ კომპოზიტურ ფორმებს (ეშა-გი/გმა „ზევით-ქვევით“... დიო-დღარო „ჯერ-დღეობით“, {ა}თე-წკემა, თი-წკელა „მაშინ“ და სხვ.).

მკვლევარი ზმნისართებს აკუთვნებს აგრეთვე ნაწილა-

კვებს: 1. მტკიცებითს – ქო „ვი“, თი, თგ, თ „და“, „ვე“, „ხოლო“, „ც“, „ვე“ 2. უარყოფითს – ვა „ნუ“, ვარ „არა“, ნუ | ნგ ან ნუმუ | ნგმგ „ნუ“. ავტორი აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ პირველად ზმნისართთაგან ბევრი ზმნისწინადაც გამოიყენება და თანდებულადაც; კერძოდ, მას დასახელებული აქვს: მე, მო, ევი, ემა, გიმე, მუკო, თუდო, მეტი, ჟი, მელე, მოლე, გალე და სხვ. [ყიფშიძე 1994, 169].

რთულ ზმნისართთა ანალიზი მოცემულია ლექსიკონში [ყიფშიძე 1994].

ა. კიზირია წერს, რომ ზანურ ენაში ზმნისართი შეიძლება იყოს პირველადი (ჟი „ზევით“, თუდო „ქვევით“, ასე „ეხლა“) და წარმოქმნილი, წარმოდგენილი ამა თუ იმ ბრუნვაში, მაგ., მიცემითში (მანგარას „მაგრად“), ტრანსფორმაციულში (მანგარო „მაგრა“, ჯგირო „კარგად“) და შორებითში (დულ(ი)შე „თავიდან“, მორძგვიშე „მარჯვნივ“). ზმნისართები მიუთითებენ ადგილზე (მელე „გაღმა“, #17#

„იქითა მხარეს“, მოლე „ამ მხარეს“, „გამოღმა“, შქას „შუაში“, თაქ „აქ“, თექ „იქ“) დროზე (ჭუმე „ხვალ“, გოლა „გუშინ“, ამდლა || ანდლა „დღეს“), ხარისხზე (ლექინო „მჩატედ“, კოჩიცალო „კაცივით“, აშო „ასე“) მიზეზზე (ათეშენი „ამისთვის“, ეთიშენი „იმიტომ“), მიზანზე (მოთ „რატომ“, მეშა („რისთვის“) [Кизириа 1967, 72]. ჩვენი აზრით, ზმნისართი არ არის წარმოდგენილი ამა თუ იმ ბრუნვაში, არამედ ბრუნვის ნიშნები ერთვის სახელს და აქცევს მას ზმნისართად. შდრ. მანგარი „მაგარი“ და მანგარას „მაგრად“, ან სახელად გაგებულ ზმნისართს შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშანი (ზმნისართებში წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ზმნისართი სინტაქსურად გარემოებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ზმნისართს ა. კიზირია განიხილავს წიგნში „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“ [კიზირია 1982, 231]. ქართველურ ენებში ადგილის გარემოებად გამოყენებულია ადგილის აღმნიშვნელი ზმნისართები. როგორც ავტორი აღნიშნავს, მეგრულ-ლაზურში პირველადი ზმნისართები ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ან წარმოქმნი-

ლია და ახლავს შეხორცებული ბრუნვის ნიშანი, ნაწილაკი, თანდებული. ჩამოთვლილია სათანადო მაგალითები.

ა. კიზირია ზმნისართებს უდარებს ქართულ -რე ნაწილაკიან ფორმებს (გარე, ქვემორე...). მსჯელობს -ხ თანდებულზე, რომელიც ზმნისართებშიც გამოიყოფა [კიზირია 1982, 235]. მკვლევარს აღნიშნული აქვს, რომ ზოგჯერ ადგილის ზმნისართები გამოყენებულია თანდებულის ფუნქციით, მართავენ რა სახელს ნათესაობით ბრუნვაში: **ცუდეში თუდო** „სახლის ქვემოთ“... **ცუდეშ უკახალე** „სახლის უკან“... ხორციშ **დოლოხე** „ხორცის შიგნით“... [კიზირია 1982, 247].

ა. კიზირია განიხილავს მეგრულ-ლაზურ დროის ზმნისართებს, რომლებიც წინადადებაში დროის გარემოებად წარმოგვიდგებიან: **აწი** „მომავალში“, **კინოხ(ო)** „ძველად“, #18#

„ადრე“, **ხათე** „მაშინვე“, **ორდოს** „დილით“... ასევეა ლაზურში: **ჰაწი** || **აწი** „ახლა“, **ლომან** „გუშინ“, **წოხლე** „წინათ“, **ეკულე** || **ოკულე** || **უკულე** „შემდეგ“, **ჭუმან(ი)** „ხვალ“ და ა. შ. [კიზირია 1982, 255, 256].

დროის ზმნისართების ბრუნვებად, მიცემითის გარდა, ავტორი ასახელებს დაშორებითსა და მიმართულებითს. დაშორებითის ფორმითაა **უკულნეშე**... ამან „თავის მხრივ შეიძლება დაირთოს მიცემითის ნიშანიც – **უკულნეშის**...

მიმართულებითი ბრუნვა -ხ თანდებულიანიც შეიძლება იყოს: **ორდოშახ** „დილამდე“... **ონჯუაშახ** „სალამომდე“...

ბ. ფოჩხუა ზმნისართებს აღნაგობის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფს: ერთია ნასახელარი ზმნისართები, რომლებიც სახელთა გაქვავებულ ფორმებს წარმოადგენენ, მეორე – ოდინდელი ზმნისართები. ოდინდელი (ძირეული) ზმნისართები სახულურ ფუძეს არ შეიცავენ და არც ბრუნვის ნიშნებს გამოავლენენ. ისინი უძველესი სიტყვაწარმოების პროდუქტები არიან. ოდინდელ ზმნისართებში იგი არჩევს ლოკატიურთ, რომელნიც ძირეული მასალით უკავშირდებიან პრევერბებსა და თანდებულებს, და ხმოვანთავსართულებს, რომელთა ძირეული მასალა საზიაროა მითითებით ნაცვალსახელებთან [ფოჩხუა 1959, 81].

ბ. ფოჩხუა განიხილავს ხმოვანთავსართულ ზმნისართებს მითითებით ნაცვალსახელებთან და დაასკვნის, რომ

ქართველურ ენებს გახმოვანების ორწევრიანი სისტემა აქვს:  
ა – ი [ფოჩხუა 1959, 88].

ნაცვალსახელთა შედგენილობის ანალიზთან ერთად, ხმოვანთავსართულ ზმნისართებს ეხება არ. მარტიროსოვი წიგნში „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“. მკვლევარი განიხილავს ნაცვალსახელური წარმოშობის შემდეგ ზმნისართებს მეგრულ-ლაზურში: მეგრ. აში, ეში (|| თაში-თეში) „ასე“, „ისე“, ლაზ. ჰაშო | აშო – ჰეშო | ეშო „ასე“, „ისე“. ათ-აში || თ-აში, ეთ-ეში || თ-ეში ფორმებში ათ-, ეთ- ელემენტებს ავტორი უკავშირებს ათ-ენა (შდრ. ათ-ენა || #19# ენა), ეთინა (შდრ. თ-ინა || ინა) ნაცვალსახელებისა და ათაქ, ეთექ... ზმნისართებში მოცემული ათ, თ, ეთ, თ შესაბამის ერთეულებს და აღნიშნავს, რომ ესენი ნაცვალსახელური ძირებია [მარტიროსოვი 1964, 263, 264] წინააღმდეგ იმ აზრისა, რომ ეს „თ- ელემენტი ჯერ-ჯერობით განმარტოებით დგას ქართველური ენების სინამდვილეში; მას მეგრულსა და ჭანურში აქვს ადგილი და უცხო გარემოდან შეთვისებული შთაბეჭდილებას ტოვებს“ [ჩიქობავა 1936, 74].

რაც შეეხება -ქ- ელემენტს (ათა-ქ... ა-ქ), ქართულთან და ჭანურთან საერთო მასალას წარმოადგენს (ჰაქო || ჰაქ (ვიწ. არქ.). აქ (ხოფ). „აქ“; ჰაქოლე || აქოლე... ჰიქ || იქო და სხვ.) [მარტიროსოვი 1964, 268].

მეგრულში არსებულ -ნე ნაწილაკიან ფორმებს (ეთექინე, ათაქინე, ეთეშინე, ათაშინე) ქართულის -რე-ს უდარებს, რომელიც ესრე, ეგრე ზმნისართებში გვაქვს [მარტიროსოვი 1964, 264, 269].

ნაცვალსახელური წარმოშობისად არის მიჩნეული შემდეგი ადგილის ზმნისართები: ამარ („აგერ“) და ემერ („ეგერ“) და დროის ზმნისართები: აწი, აწ, ჰაწი, აწი („აწი“) [მარტიროსოვი 1964, 265, 273].

აღნიშნულია, რომ ნაცვალსახელის ფუძე ამა || ამ გამოყენებულია პირველ კომპონენტად კომპოზიტური შედგენილობის ზმნისართში ჭან. ჰამსერი || ამსერი || ამსეი „ამაღამ“; შდრ. ჰიმსერი || ჰიმსეი „იმ ღამეს“; მეგრ. ამუსერი || ამგსერი || ამსერი „ამაღამ“ შდრ. იმუსერი || იმგსერი || თიმუსერი || თიმგსერი „იმ ღამეს“. ამ, იმ იგივე

ქართული ეს და ის ჩვენებითი ნაცვალსახელის მეორე ფუძეა. მეგრულში იგი დამოუკიდებლად არ გვხვდება (... ამავე ფუძიდანაა წარმოები ჭან. **ჰანდლა** (← ჰამდლა) || **ანდლა** და მეგრ. **ამუდლა** || **ამგდლა** || **ამდლა** “დღეს” (შდრ. იმუდლას „იმ დღეს“ [მარტიროსოვი 1964, 277]).

1985 წელს გამოცემულ ნაშრომში ნ. ჩართოლანი ეხება ხმოვანთავსართულ ზმნისართებს დეიქტური გახმოვანე-  
#20#

ბის თვალსაზრისით და მიუთითებს, რომ სალიტერატურო ქართულში სამწევრიანი სისტემაა: (ა – ე – ი), ხოლო ქართველურ ენებში ორწევრიანი (ა – ი) [ჩართოლანი 1985, 91, 145].

ზმნისართთა ძირეულ მასალას ნაცვალსახელებთან მიმართებაში განიხილავს, კ. გაბუნია მონოგრაფიაში „ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“. სამივე ქართველური ენისათვის ის აღადგენს დეიქტური გახმოვანების ა – ი სისტემას.

ნაშრომში ავტორი ეხება ზმნისართის წარმოებისა და გენეზისის საკითხებს ქართველურ ენებში. ზმნისართული ფუძის მაწარმოებელთაგან მეგრულ-ლაზურში გამოყოფს –**ლე** (|| -**ლი**) სუფიქსს, რომელიც „აწარმოებს ახალ ზმნისართულ ფუძეებს როგორც ხმოვანთავსართული ზმნისართების, ისე სხვა ძირეული ელემენტებისაგან“ [გაბუნია 1993, 63]. აქვე აღნიშნულია, რომ ლაზურში ეს სუფიქსი მეტი სიხშირით იხმარება; მას განსაკუთრებული ფუნქციები აქვს რიგ შემთხვევებში დაკისრებული. „ჭანურში -**ლე** ბოლოსართი დაწყებითობას გამოხატავს, თუკი მას -**ნ** დაერთო: სხვა შემთხვევებში საწყისობის სემანტიკა არ ჩანს. მაგრამ ეს კანონზომიერება ხშირად ირღვევა... ოდენ -**ლე** დართული ზმნისართებიც ასახავენ საწყისობას“ [გაბუნია 1993, 65].

ზმნისართული ფუძის მაწარმოებელთაგან ავტორი გამოყოფს -**დო** | -**დე** სუფიქსებსაც, რომლებიც მიმართულების (საწყისობა-სასრულობის) გამომხატველ ზმნისართებში გვხვდება უპირატესად; ხაზს უსვამს -**დო**, -**ლე** მაწარმოებელთა შორის არსებულ სინტაგმატურ ურთიერთმიმართებას, მოჰყავს სათანადო მაგალითები [გაბუნია 1993, 65, 66].

ავტორს ზმნისართებში დადასტურებული -**ხ** ელემენტიც

იმავე წარმომავლობისად მიაჩნია, რაც სვანურის -ხო თანდებულისა და ზანურში მიმართულებითზე დართული -ხ ელემენტისა, რომელიც აფხაზურ ნასესხობას წარმოადგენს [ლომთათიძე 1982, 974; კაჭარავა 1954, 27; გუდავა 1947, 188-189].

#21#

აფიქსური წარმოების გარდა, ზანურის ზმნისართთა სისტემაში კ. გაბუნია გამოყოფს აგრეთვე კომპოზიციას. თუმცა აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა შედარებით ნაკლებად დამახასიათებელია მეგრულ-ლაზურისათვის [გაბუნია 1993, 67].

ავტორი ზმნისართს განიხილავს ზმნისწინთა და თანდებულთა ძირეული მასალის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით (შდრ. ქართ. ზე ზან. ჟი – სვან. ჟი...).

ნაშრომის კარდინალური საკითხია ზმნისართთა ბრუნების სისტემის განხილვა ქართველურ ენებში... კ. გაბუნიას აზრით, ზანურში ზმნისართის ბრუნვებია: მიცემითი, ნათესაობითი, დაშორებითი და მიმართულებითი. სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ზმნისართი არ გვხვდება [გაბუნია 1993, 87].

აქედან გამომდინარე მკვლევარი ასკვნის, რომ ზმნისართი, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სახელის ქვეჯგუფია (შდრ. „არსებითი სახელი“, „ზედსართავი სახელი“, „ნაცვალსახელი“), რომელსაც ბრუნების ნაკლები პარადიგმა აქვს [გაბუნია 1993, 187]. ვფიქრობთ, ავტორის თვალსაზრისი საკამათოა.

სივრცისა და დროის უნივერსალურ კატეგორიათა სპეციფიკური ასახვის თავისებურებებს ავტორი უთმობს მეხუთე თავს, მსჯელობს ენაში მათ ურთიერთკავშირზე [გაბუნია 1993, 112].

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურასა და ლექსიკონებში წარმოდგენილია ადგილისა და დროის ზმნისართები როგორც მასალობრივ, ასევე მათი ანალიზი (კრიტიკული თვალსაზრისით მათი შეფასება წარმოდგენილია სათანადო ადგილას – კონკრეტული საკითხების განხილვისას), მაგრამ სისრულის თვალსაზრისით, როგორც მასალა ისე ანალიზი არ არის სათანადო. ჩვენს ნაშრომში, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, ადგილისა და დროის ზმნისართები წარმოდგენილია უფრო ვრცლად, ამასთან სათანადო ანალიზი არის შედარებით უფრო ამომწურავი; ხშირ შემთხვევაში თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებულია.



## თ ა ვ ი I

### ადგილის ზმნისართები

როგორც ცნობილია, შინაარსის მიხედვით ზმნისართების რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა, კერძოდ, გვაქვს ადგილის, დროის, ვითარების, ზომა-ოდენობის, მიზეზისა და მიზნის ზმნისართები.

ნაშრომში ანალიზის საგანია ზმნისართთა ორი ჯგუფი – ადგილისა და დროისა: პირველ რიგში განვიხილავთ ადგილის ზმნისართებს. ადგილის ზმნისართი აღნიშნავს ადგილმდებარეობას, სადაც მოქმედება ხდება, ან გვიჩვენებს მიმართულებას, რომელიც აღებული აქვს მოქმედების სუბიექტს ან პირდაპირ ობიექტს [შანიძე 1953, 594].

მეგრულ-ლაზურში გამოიყოფა ადგილის ზმნისართთა ორი მორფოლოგიური ჯგუფი: პირველადი და წარმოქმნილი ზმნისართები. პირველი ნაკლები რაოდენობითაა და გამოყენებულია ახალ ზმნისართთა წარმოსაქმნელად. მეორე ჯგუფი, რომელიც წარმოქმნილ ზმნისართებს მოიცავს, გაცილებით ვრცელია. მასში შედის; 1. სპეციალური სუფიქსებით ნაწარმოები ზმნისართები, 2. ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი ზმნისართები და 3. კომპოზიციის შედეგად მიღებული ზმნისართები.

**§ 1. პირველადი ზმნისართები მეგრულ-ლაზურში.** პირველად ზმნისართთა რაოდენობა, როგორც აღვნიშნეთ, მცირეა. მეგრულში გამოიყოფა შემდეგი ლექსემები:

**ჟი | ჟი** „ზემთ, ზევით“ (შდრ. ლაზ. **ჟი || ჟინ** „ზემთ“)

მა **ჟი** ჯაში ნოჰველას ქომუასხუპი (ყიფ. 46, 15) „მე ზემთ ხის ტოტს ჩამოვეკიდე“. ბოშიქ ქედოსქიდ **ჟი**... (ხუბ. 152, 33) „ბიჭი დარჩა ზემთ...“ **ჟი** ეშულებუ სხვენინ-შა... (ხუბ. 152, 35) „ზემთ სხვენზე ასულა...“

ქართულში ამ ზმნისართის ფონეტიკური შესატყვისია

ზე [ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 220].

**თუღო** „ქვემოთ“, „ქვევით“ (შდრ. ლაზ. **თუდე** „ქვემოთ“).

...ლორონთემც გეგმურთუმუდეს **თუღო** (გუდ. 40, 2)

„ღმერთები ჩამოსულიყვნენ ძირს“. ბეჭეტიქ ქედოსქიდ **თუღო** (ხუბ. 92, 12) „ბეჭედი დარჩა დაბლა“.

გ. როგავას მოსაზრებით, **თუდე** || **თუღო** ზმნისართული ფუძე თითქოს განკერძოებით დგას ზანურში. სათანადო ფუძე არ ჩანს ქართულსა და სვანურში. **თუღო** || **თუღო-ს** უ უცვლელია ზანურის კილოკავებში, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ წინამავალი თანხმოვანი **თ** ისტორიულად უნდა მომდინარეობდეს **თვ** ლაბიალური კომპლექსისაგან: **თუღო** ← თვუღო ან ზან. **თუღო** || **თუდე** შეიძლება იყოს ქართული **ქვედა**-ს სახეცვლილი ზანური ვარიანტი: **თუღო** ← \***ქვადო** [როგავა 1962, 93].

სხვა ვარაუდით, მეგრული **თუ-დო** („ქვემოთ“) და ლაზური **თუ-დე** („ქვემოთ“) ზმნისართები „კანონზომიერად უნდა შეესატყვისებოდნენ ქართულ **თავ-და** – (თავდაღმა) ზმნიზედას“ [Климов 1998, 66].

**ეშე** | **იშე** „ზევით, ზემოთ“ (შდრ. ზმნისწ. **ეშა-** | **იშა-**)

**ეშე** ქვევარაგუქ... (ხუბ. 100, 25) „ზევით შევეჯახები“

ბორო დუს **ეშე** ხოკუნანია [ხალხ. სიბრძ. 128] „სულელ თავს აღმა პარსავენო“. ... ქაცოთ საგანი **ეშე** [ყიფშ.

288, 10] „...ისარი ზემოთ ისროლა“. **იშე** იშებხარხალე...

[გუდ. 18, 28, 8] „...ზევით ავხობდი“. ათე სიმონკა ვამნობ-

ძუდასიე, **იშე** მეურდე იყინია [ხუბ. 305, 7] „ეს სიმძიმე

რომ არ მედოს, ზევით მივდიოდე იქნება“.

**ოშე** 1. „ქვემოთ“ [ქაჯაია 2002. II, 459]

დრთ თე აბარწას თე ჩხოუქ სუმიშა დო **ოშე** ქაშე-  
ნჯირგ (ხუბ. 139, 24) „გამობრუნდა ამ აივანზე ეს ძროხა  
#24#

სამჯერ და ქვევით გაწვა“. კოლონაშა უბაზუნ დო **ოშე** ქა-  
შურგინუაფუ (ყიფშ. 331, 20) „კოლოსათვის უსვრია და  
ძირს გაუწვენია“.

2. „შიგნით“, „შუა ადგილას“ [ყიფშიძე 1994, 499,  
ელიავა 1987, 258; ქაჯაია 2002. II, 459].

ათე წყარიშა **ოშე** მიშეევილი (ყიფ. 499) „ამ წყალში შუა ადგილას (ცენტრში) შევედი“. ლეტას **ოშე** ქაშაანთხ [ქაჯაია 2002. II 459] „ტალახში შიგნით (შუა ადგილას) ჩავარდა“.

**გიმე** || **გმე** „ქვევით“

გეგმაზინდგ **გიმე**... (დან. 269, 36) „ჩამოსწია ძირს...“  
იაკირი ქაყოთეს **გიმე** (სამუმ. II, 119, 42) „ქვევით ჩაუშვეს ღუზა“. ეშე ცა დო **გმე** დიხა „მაღლა ცა და ქვემოთ მიწა“.

ეტიმოლოგიურად აღნიშნული ზმნისართი უკავშირდება სვანურ **გიმ** ფუმეს, რაც ნიშნავს „მიწას“ [შანიძე 1953, 168-169; ვ. თოფურია 2002, 23; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 145].

**ევი** | **ევე** „მაღლა“

ბაწარი ქალამყოთით დო გეკომსუნით **ევი** (ხუბ. 98, 2) „თოკი გადმომიგდეთ და ამომიყვანეთ ზევით“. სქანი ჩქვა ქუმკუყოთი დო **ევი** გეკაყოთია (ხუბ. 12, 12) „შენი ეშვი გამოსდე და მაღლა ამოგდეო“. **ევე** ფერდიშა ქაშადინ... (გუდ. 269, 373) „აღმა ფერდს შეერიე...“

**დიკი** || **დიკე** || **დკე** „ქვემოთ, დაბლა“ (შდრ. ზმნისწ. **დიკო**-)

**დიკი** ენილ თხორილშა „დაბლა თხორილში ჩავიდა“. ათე კოჩიში დიკი წყარი ართი ყინტი ვემურს (ხუბ. 56, 11) „ამ კაცის იქით (ქვემოთ) წყალი ერთი წვეთიც არ მიდის“. **დკე** ნგმ მინჭუაფუთე „ქვემოთკენ ნუ მიიჩქარით“.  
#25#

**ელე** 1. აღმა; აღმაცრივ [ქაჯაია 2001, I, 550] (შდრ. ზმნისწ. **ელა**-).

სუმ ტორონჯი ქამიხვადუ **ელე** დოურზიალე, ცაშა ქოვოფურინე (გუდ. 13, 16, 10) „სამი მტრედი შემხვდა, აღმა შევაბზორიალე, ცაში ავაფრინე.

2. „გაღმა“, „იქითა მხარე“ (შდრ. **ელე-მოლე** „გაღმა-გამოღმა“).

**ელე** ქომიწონებუნდა, მელეხიშე გამგნოვჩურუ (ყიფშ. 339, 3) „გამოღმა რომ მეგულეზოდე, გაღმიდან გადმოვცურავ“. მიშუნი, **ელე** ალულუუ [ქაჯაია 2002. II,

550] „რომ მიდიოდა, გვერდით აუარა“.

**გილე** || **გელე** „დაბლა, დაღმა: გვერდით აღმაცრივ“  
[ქაჯაია 2001, I, 301, 339].

სუა **გილე** ქიგლეფორუ (ყიფ. 375, 9) „ფრთა დაბლა ჩამოიფარა“. ელე-გელე გილურს „აღმა-დაღმა (კოჭლობით) დადის“. (შდრ. ელა-გელა „აღმა-დაღმა“).

**ოლე** „გვერდით?

დიარას სოდე მოჭყუდუ დახუნუათეზ, თექ **ოლე** ქუ-დომოხუნეთ, გიჩქუდანნი (ხუბ. 18, 32) „ქორწილში სადაც პატარმალნი დასვან, იქ (იმის) გვერდით დამსვით, იცოდეთ“. **ოლე** ქალუდოხოდე ბეგოს (ხუბ. 103, 24) „...გვერდით მო-უჯდა ბეგოს“. ბჟა **ოლე** მეურცუ (ყიფშ. 261, 16) „მზე გვერდით (დაბლა) მიდის“. (შდრ. **ოლე-კეტი** ხელ-ჯოხი [ყიფშიძე 1994, 458] ზედმიწ. „გვერდითი ჯოხი“).

**ოლეს** ემახოდნენ ღომის თავთავების საშრობ ლასტს, რომელიც თხილის წნელებისაგან იყო დაწნული... [ჭარაია 1997; ქაჯაია 2001. I, 433].

**გეთე** | **გითე** „ქვევიდან, ქვედა მხრით, ქვემორე“ [ქაჯაია 2001. I, 325] (შდრ. **გითო-**).

გაგთიღე **გეთე** დო ოძირაფ ადგილს ქიგედუ „გამოიტანა (შიგნით) ქვევიდან გარეთ და საჩინო ალაგას დადო“.

#26#

გეგთაყოთ **გითე** [ქაჯაია 2001, I, 325] „გამოაგდო ქვედა მხრიდან გარეთ“: შდრ. **გითე** „სწორი, ვაკე და ნათელი ადგილი“ [ელიავა 1987, 93].

**გიშე** || **გუშე** || **გეშე** „შიგნიდან გარეთ“; „შუა ადგილიდან გარეთ“.

**გიშე** მიდართე „წავიდა (შუა ადგილიდან) გარეთ (ღია ადგილისკენ)“. **გეშე** რე შაყარუა „ცენტრისკენ არის თავშეყრა“.

**გინი** || **გინი** || **გინო** „გაღმა; იქითა მხარეს; გადაღმა“, „იქით“ [ყიფშიძე 1994, 421; ქაჯაია 2001. I, 349]; (შდრ. ზმნისწ. **გინო-**)

სქანიჯგურა მოშაირე, **გინი** ქომიბარტყუაფუ (გუდ.

237, 22) „შენისთანა მოშაირე იქით გადამიგდია“. თიში შუქიქ ე ბოში ოზეში **გინო** გაგენაცოთე (ყიფშ. 231, 4) „იმის შუქმა ეს ბიჭი ეზოს იქით მხარეს გადააგდო“. ჟირი ვერსის **გინი** ქოლე (გულდ. 219, 326) „ორი ვერსის იქით გადავარდა“. ნოსალეფს გოჯოგულუნ დო **გინო** რობუშა ქუურაგუაფუნა (ყიფშ. 42, 9) „რძლებს შესძულეზიათ და გაღმა ხევიშ გადაუგდიათ“. ბრელი უთმინუ ნოსას დო ბოლოს **გინი** ქაახუნუ [ქაჯაია 2001. I, 348] „ბევრი უთმინა რძალს და ბოლოს იქით მხარეს (კი) დააჯინა (გაუშვა)“.

**მინი** || **მინე** „იქით, შიგნით სიღრმეში“ (შდრ. ზმნისწ. **მინო-**)

მინიილე **მინი** ხენწეფეში ოზეშა (ყიფშ. 283, 28) „...ხელმწიფის ეზოში შიგნით შევიდა“. ტყაბარუას სი დეეთხი, **მინი** ვე მნორთინუაფუ (ყიფშ. 331, 24) „გატყავებას მოეშვი, შიგნით ვერ გადაუბრუნებია“.

აღნიშნული ზმნისართი გვხვდება ვითარებითის ფუნქციითაც (იხ. ქვემოთ).

#27#

**დინი**, **დინო** „შიგნით, შიგ“ [ყიფშიძე 1994, 431; ქაჯაია 2002, I, 468] (შდრ. ზმნისწ. **დინო-**)

ქიდნაცოთეს დიდი ქუა **დინი** (ხუბ. 3, 8) „ჩააგდეს დიდი ქვა შიგნით“. ათე ჟირი ჯიმალეფქ გაწარი **დინი** ქიდნაცოთეს (ხუბ. 6) „ამ ორმა ძმამ ბაწარი შიგნით ჩააგდეს“.

როცა აღნიშნული ზმნისართი რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილია, თავკიდურ თანხმოვნის გარეშე გვექნება (დ-ს):

დუდინი (← დუდდინი...) „თავდაღმა“, „პირქვე“ (იხ. ქვემოთ).

**მითი** || **მითო** „შიგნით, შიგ სიღრმეში, სიღრუეში“ [ქაჯაია 2002, II, 264-265] (შდრ. ზმნისწ. **მითო-**)

წუთიმ მამალას **მითე** გემშაქენჩე „წუთში (წუთის სისწრაფეში) შიგნით შევარდა“. მითილუ **მითო** [ქაჯაია 2002. II 265] „შევიდა შიგ, სიღრმეში“.

**მიშე** || **მიშეე** „შიგ, შიგნით“; „შიგ შუა ადგილისკენ“;

სიღრმეში“ [ქაჯაია 2002. II, 287, ყიფშიძე 1994, 485]

ჟირ საათი მიშე იდია... (ხუბ. 216, 33) „ორი საათი შიგნით (სიღრმისკენ) იარეო“. ათე წყარიშა მიშეე ქიმიშა-მიზოგი (ცაგ. 245, 13) „ამ წყალში (მდინარეში) შიგნით გამიდე ხიდიო“.

**მიკი** || **მიკე** „იქით, მიღმა“ [ყიფშიძე 1994, 484; ქაჯაია 2002. II, 267] (შდრ. ზმნისწ. **მიკო-**)

...ბოშიქ ... მუკურთ კისერს დო მიკი გამკუტახუ (ხუბ. 11,15). „...ბიჭმა ... მიუბრუნა კისერი და იქით გაუტეხა“. ხოლო ულა იბსხუნეთ **მიკე**, იშო, გვალეფიშა (სამუშ., I, 111) „კიდევ წასვლა ვარჩიეთ მიღმა, იქით, მთებისაკენ (შდრ. მუკე „ირგვლივ“).

#28#

**წიმი** || **წიმიე** || **წიმიი** || **წემი** „წინ“, „შემდეგ“ [ქაჯაია 2002. III, 415].

„მერე, შემდეგ“ [ყიფშიძე 1994, 583] (შდრ. ზმნისწ. **წიმო-**) (იხ. ქვემოთ).

რაშიქ ქეშადე ბოგას კუჩხინ, მეტი წემი ვა დიქანცუ (ხუბ. 184, 6) „რამა ხიდზე ფეხი შედგა, მაგრამ წინ არ წაიწია“ ... ზურა წემი მიიქანჩე (ყიფშ. 146, 20) „...ზურა წინ მიიწევს“. იდუ ე ბოშიქ წიმი ნი, მაჟირა კარქ ქუდოხ-ვადუ (ხუბ. 18) „რომ წავიდა ეს ბიჭი წინ, მეორე კარი დაუხვდა“. წემაჯინე წიმი დო ქოძირე (ყიფშ. 217, 11) „წინ გაიხედა და დაინახა...“

**კინი** || **კვნი** || **კინი** || **კვნი** „უკან“ (შდრ. **კინი** || **კინე**... „ისევ“, „კვლავ“; შდრ. **კინო-**) (იხ. ქვემოთ).

ქიკნოსქიდგ **კვნი** „ჩამორჩა უკან“. მეურცუ მეღეჯე დო **კინი** იჯინე (ყიფშ. 294, 8) ქიგიაშქუ ქოჩორაქ რაშის მართახი დო **კინი** ქედასხაპუ (ყიფშ., 301, 30) „ქოჩორამ რაშს მართახი გადაჰკრა და უკან გადმოხტა“ (გამოცანა) მეურს წემი, იჯინე **კვნი** (ყიფშ. 386, 21) „მიდის წინ, იყურება უკან“ (რქეები).

როგორც ვნახეთ, აღნიშნული ზმნისართები ზმნისწინებთან საერთო მასალას ავლენენ და სემანტიკურადაც

მსგავსნი არიან. მაგალითები:

გვერმაპიქ ეშელე ლეხიში ქვარაშე (ყიფშ., 215, 25)  
„გველეშაპი ამოვიდა ავადმყოფის მუცლიდან“. ლეშიქ კი-  
ნილგ „ლეში უკან მობრუნდა“ (ყიფშ. 215, 2) გიშელ ართი  
დიდი მინდორიშა (ყიფშ. 217, 10) „გამოვიდა ერთ დიდ მინ-  
დორზე“. წემიჯინგ დო ქომირგ (ყიფშ. 217, 11) „წინ გაიხედა  
და ნახა“. დგვილესგ ართი წყარპიცგ (ყიფშ. 219, 9) „ჩავიდ-  
ნენ ერთი წყლის ნაპირზე“... მიშელესგ ართი დიდი  
უდაბნო ტყაშა (ყიფშ. 222, 24) „...შევიდნენ ერთ დიდ ტყე-  
ში“. მინილგ სიდე ორდგნი თექი... (ყიფშ. 237, 12) „შევიდა  
სადაც იყო იქ“. მუპუ ხვალე გიმელასგ გოლაშე (ყიფშ.

#29#

261, 15) „თვითონ მარტო ჩამოვიდეს მთიდან“; გინილგ არ-  
თი გვალა... (ყიფშ. 278, 21) „ერთი მთა გადაიარა...“

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თანდებ-  
ულეები და ზმნისწინები ზმნისართების სახელური და ფუძე-  
ენები ცვეთის შედეგად ჩანან მიღებულნი [მარტიროსოვი  
1956, 39]. ისინი ორი გზით წარმომდგარან: ერთი მხრივ  
ზმნისართი მიუერთდა ზმნას და ზმნისწინად იქცა, ხოლო,  
მეორე მხრივ, სახელს მიეკედლა და, ამგვარად, თანდებუ-  
ლად მოგვევლინა [მარტიროსოვი 1956, 40; მარტიროსოვი  
1953, 74; ირ. ვეშაპიძე 1963, 89, 95-102].

ზემოთ ჩამოთვლილი ზმნისართები თანდებულის ფუნ-  
ქციასაც ადვილად ითავსებენ, მაგალითად:

ნასუმორიშ ეშეე ვე იასხაპუ (ყიფშ. 249, 19) „...მესა-  
მედზე ზემოთ ვერ ახტა“; ცუდეში წიმი გეძუდუ, ქვერსემი  
მოჭკირილი ჭყონი „სახლის წინ ეგდო ვეებერთელა მოჭრი-  
ლი მუხა“. ათე კოჩიში დიკი წყარი ართი ყინტი ვემურს  
(ხუბ., 56, ) „ამ კაცის იქით (ქვევით) წყალი ერთი წვეთიც  
არ მიდის“.

ლაზურში პირველადი ზმნისართები მცირერიცხოვანია.

ჟი || ჟინ „ზევით, ზემოთ, ზემოდან“ [Mapp 1910, 180]

ჟი ექარჩაფულე ქომეჟორ ჩუ (ასათ., 197, 23) „ზემოდან  
ზეწარი გადააფარა“. ჟინ ონჯირე ქონორჩუ დო ქოდინჯიუ  
(კარტ. IV, 98, 16) „ზემოთ საწოლი დააგო და დაიძინა“  
...იწიწკედლუმი ჟინ გელახენ (კარტ. I, 151, 42)

„...რომ აიხედა, ზემოთ ზის“. **ჟინ** გეხედუ დო აშო იქიპტუ...  
(ჩიქ. I, 40, 15) „ზევით იჯდა და ასე აკეთებდა...“

**თუდე** „ქვევით, ქვემოთ“ [Mapp 1910, 148].

...კაკალი მენკანს თუდე (კარტ. II, 141, 9) „კაკალი ცვივა (იყრება) ქვემოთ“. ...დიცხირონი ხამი... **თუდე** ქომე-შადუ... (ჩიქ. II, 16, 5) „...სისხლიანი დანა... ქვემოთ დადო...“. **ჟინ** ცა დო **თუდე** დიხა... (კარტ. IV, 275, 20) „ზემოთ #30#

ცა და ქვემოთ მიწა...“

მეგრულში დადასტურებული ზმნისართები **ემე... გიმე... ევი... დივი...** და ა. შ. ლაზურში არ გვხვდება. მათ მოვალეობას ზმნისწინები ასრულებენ (იხ. ქვემოთ).

შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეგრულის შესაბამის ფორმებად ლაზურში შეიძლება დავასახელოთ ზმნისართები, რომლებიც პირველადები ვერ იქნებიან:

**ემთი** „აღმა, აღმართი“ [Mapp 1910, 142]. ემ + თი.

ია კალთაში ჟინის **ემთი** ოხართანუშენი დულუციგაფან (ჩიქ. I, 149, 25) „...იმ გოდრის ზემო ნაწილს გასაფართოებლად ჩაურჭობენ“. **ემთი** ელავაყონი... (ასათ. 112, 64, 3) „აღმართს აყვევი...“; ჩქიმი ოხოი **ემთის** დგინ (ასათ. 112, 64, 3) „ჩემი სახლი აღმართზე დგას“.

**გემთი** „დაღმა, დაღმართი“ [Mapp 1910, 134] (შდრ. მეგრ. გიმე „ქვემოთ“).

ჰაშო **გემთი** გელილუ (ყდ. 15, 33) „ასე დაღმა ჩავიდა...“  
ჰაქოლე **გემთი** რენ... (ჩიქ. II, 2, 13) „აქეთ დაღმართია...“

**§ 2. წარმოქმნილი ზმნისართები.** თუ ძირეული ზმნისართები მეგრულ-ლაზურში მცირეა, წარმოქმნილი ზმნისართები მრავალრიცხოვანია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნისართთა წარმოება ხდება აფიქსების საშუალებით, ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაში სახელის გაქვავებითა და კომპოზიციით.

**§ 2.1. სუფიქსური წარმოება.** მეგრულში პირველად ზმნისართებზე -ლე, -დო (ზოგჯერ შერწყმულად ერთმანე-



თის გვერდითაც გვხვდება ეს სუფიქსები: -**დოლე**, შდრ.  
ლაზური -**ლე(ნ)დო**) სუფიქსების დართვით იწარმოება შემ-  
დეგი სიტყვები:

**ჟილე** „ზემთ“ [ჭარაია 1997, 114] (შდრ. იმერ., რაჭ.,  
ლეჩხ. **ზერე** „ზევით, ზემოთ“) [დლონტი 1984, 231].  
#31#

**ჟილე** ეკორთ გოლაშა „ზემთ მთაში ავიდა“. **ჟილე**  
რენა არმა ულირი „ყველა ზემოთ არის წასული“.

**ჟიმოლე**, **ჟიდოლე** „ზემთ“, „ზემო მხარეს“ (შდრ.  
**ზერელე** „ცოტა ზემოთკენ“ [შარაშიძე 1938]).

**ჟიმოლე** მიკახორანა [ქაჯაია 2002. II, 500] „ზემო  
მხარეს სახლობენ...“ **ჟიმოლე** მოლურთუ თითო მახიორე-  
შეთ [სამუშია III, 54] „ზემთ წამოვალთ თითო  
მახიორიშედ“. **ჟიდოლე** დოსქიდუ ჭიჭექ... „ზემო მხარეს  
დარჩა ცოტა...“

**ჟიდო** „ზევით; ზემოთ“

**ჟიდო** სუმი დუდი ულუდუ [ქაჯაია 2002. II, 499]  
„ზემთ სამი თავი ჰქონდა“. **ჟიდო** მულახე ცუდეს „ზემთ  
სახლში ზის“.

**დო** სუფიქსის განუსაზღვრელ ნაცვალსახელზე (შხვა  
„სხვა“) დართვით ვიღებთ ადგილის ზმნისართს:

**შხვადო** (შდრ. შხვა „სხვა“) „სხვაგან“

უკულ **შხვადო** დუუჰყაფუნა ხირუა (ყიფშ. 216, 5)  
„შემდეგ სხვაგან დაუწყიათ ქურდობა“.

**თუდოლე** „ქვემოთ, ქვემო მხარეს“

ე წყარს **თუდოლე** გერეფ ჰოფუნა დო ჰკომუნა ხორ-  
ცის (დან. 286, 1) „ამ მდინარეში, ძირს მგლები იჭერენ და  
ჭამენ ხორცს“. ...**თუდოლე**, კაკაბიჯგურა წყარი გითმურსუ-  
ნი, თინა ორკოლით ქიმილი (ხუბ. 8, 10) „...ქვემო მხარეს  
ანკარა წყალი რომ გამოდის, ის დოქით მოიტანე“.

**წოხოლე** / **წოხოლე** / **წოხოლე** + **ო-** პრეფიქსი.

**ოწოხოლე** / **ოწოხოლე** / **ოწოხოლე** „წინ, წინათ, ადრე“  
(იხ. ქვემოთ).

**წობოლე** მეურცე უნჩაში ძღაბი (დან. 72, 17) „წინ მიდის უფროსი გოგო“. ანწი სქანი საქმე **წობოლე** რენია (ხუბ. 71, 14) „აწი შენი საქმე წინ არისო“. ხენწეფეშ **წობგლე** გაჩენდგ (ხუბ. 111, 15) „ხელმწიფის წინ გაჩერდა“ **ოწობოლე** ცუდე რე დო უკახალე ოკარიე (გუდ. 235, 10) „წინ სახლია და უკან საქათმე“.

#32#

**უკახალე** || **უკახლე** || **უკობგლე** || **უკობ(ო)ლე** ||  
**ოკობოლე** „უკან“. „უკანა მხარეს“ (შდრ. ლაზ. **ოკაჩხე** || **უკაჩხე**... „უკნიდან, შემდეგ“)

უნდებელი კოჩიშა ვართი **წობოლე** აწიყუნინე დო ვართი **უკახალე** ეკიყუნინენია (დან. 445, #503) „უნდობ კაცს ვერც წინ გაუძღვები და ვერც უკან გაჰყვებიო“. მუ **უკობგლე** მეურსგ (ხუბ., 268, 4) „თვითონ უკან მიდის“; **ოკობოლე** გეთხოზაფუდესკო... (დან. 214, 20) „უკან უნდა დადევნებოდნენ“.

**გალე** „გარეთ“ (შდრ. გარე „გარეთ“... [ჩუბინაშვილი 1961])

...გიმილგ **გალე** (ყიფშ. 232, 20) „გავიდა გარეთ...“  
**გალე**... ქაშქვილი დო ქასაგანი ქიმკმოჰყორდგ (ხუბ. 101, 29)  
„გარეთ მშვილდ-ისარი დამავიწყდა („მიმავიწყდა“)“.

**მელე** | **მედე** „გაღმა“

...ქაყოთ **მელე** „გაღმა ისროლა“; **მელე** რე ჩე ხენწიფე (ყიფშ. 293, 17) „გაღმა არის თეთრი ხელმწიფე“.

**მოლე** | **მოდე** „გამოდმა“

ენა **მოლე** გაგმანწყუ... (ხუბ. 119, 1) „ეს გამოდმა გამოაწყო...“

**დინახალე** || **დინობ(ო)ლე** || **დგნახლე** || **დგნობგლე**  
„შიგნით, შიგ სიღრმეში“ (შდრ. **დინი** || **დინო** „შიგ, შიგნით“  
იხ. ზემოთ).

**დინობოლე** მილაჯანუნია ართი ჯგირი ძღაბი (ხუბ., 134, 3) „შიგნით ერთ კარგ გოგოს სძინავსო“. დირეკვ **დი-**

**ნახალე** (ხუბ., 131, 15) „დაირეკა შიგნით...“; **დინოხლე** აკა-  
ბუცხა უთანხმოებას ვა ნოღვე არდგილი [ქაჯაია 2001. I, 472]  
„შიგნით პაწაწინა უთანხმოებას არ ჰქონია ადგილი“.

ამ მნიშვნელობით, ოღონდ ცოტაოდენი ნიუანსური  
სხვაობით, კიდევ რამდენიმე ზმნისართი დასტურდება მეგ-  
რულში:

**მითახალე** || **მითოხოლე** (შდრ. მითე / მითო „შიგ“).

...თოლიში დოვალაფაზემა ხანც ტყას **მითახალე** გორ-  
#33#

ჩქინდგ (ყიფშ. 283, 28) „...თვალის დახამხამებაში ტყის შიგნით  
გაჩნდა“. მითიჯინუ **მითახალე** დო მუთუნ ვაძირუ [ქაჯაია  
2002, II, 264] „შეიხედა შიგნით და ვერაფერი ვერ ნახა“.

**მინახლე** || **მინახლე**, **მინახალე** || **მილახალე** (შდრ.

**მინი** „იქით“, „შიგნით“; **მილახალე** ← **მინახალე**: **ლ** ← **ნ**;

(შდრ. **მულახალე** „შიგნით“).

მინილუ **მილახალე** დო გიიჯინ-მიიჯინუ [ქაჯაია 2002.  
II, 277] „შევიდა შიგნით და გაიხედ-გამოიხედა“. **მინახალე**  
გემნორთი დო ეთექ გეძუ „შიგნით შედი და იქ დევს“.

**მიშახალე** (შდრ. მიშე „შიგ“) „შიგნით“

დოჭუ ძღაბიქ ბალიში, **მიშახალე** თე ძვალი ქიმშადუ  
(ხუბ. 13, 27) „შეკერა გოგომ ბალიში და შიგ ეს ძვალი ჩადო“.

აღნიშნული ზმნისართები და სხვა დანარჩენებიც,  
რომლებიც სათანადო ზმნისწინების იდენტურ მასალას  
წარმოგვიდგენენ, -**ლე** სუფიქსის გარეშეც გამოიყენებიან –  
ოდენ -**ხ** ბოლოსართით:

**დინოხ(ო)ე** „შიგ, შიგნით“ (შდრ. **დინი** || **დინო** „შიგ“)

**დინოხ** ვენმაცონინესე „შიგ ვერ შევიყვანეთ“.

**დიკოხე** || **დიკოხო** || **დიკოხუ** || **დგკოხე** (შდრ. **დიკი** ||

**დიკე** „დაბლა, ქვემოთ, დაღმა“.

**დიკოხო** ცხოვრენს [ქაჯაია 2001, I, 465] „დაბლა,  
ქვევით ცხოვრობს“. **დიკოხე** წყარპიჯიშა გალართუ „დაღმა  
წყლის პირას ჩავიდა“.

ამ ფუძიდანაა ნაწარმოები არსებითი სახელი **დიკო-  
ხონი** || **დიკოხონა** „დაღმართი“, კნინობითი ფორმით –  
**დიკოხონია** „პატარა დაღმართი“ [ქაჯაია 2001. I, 465]  
(შდრ. **ეკოხონი** „აღმართი“).

ეკოხონს **დიკოხონი** მოყუნსია (ხალხ. სიბრძ. 42) „აღ-  
მართს დაღმართი მოსდევსო“. ეკოხონს ეკირული, **დიკო-  
ხონს** დიკირული (ხალხ. სიბრძ. 42) „აღმართი ამოირბინე,  
დაღმართი ჩამოირბინე“.

**მიშახ** (შდრ. მიშე „შიგ“) „შიგ“ [ქაჯაია 2002. II, 287]

**მინოხ, მინოხო/გ** (შდრ. **მინი** „იქით“) „იქით, იქით მხარეს“.

#34#

ომ გვალამ **მინოხე** ართი კოჩი ცხოვრენდგ „ასი მთის  
იქით ერთი კაცი ცხოვრობდა“.

**ელახ(გ)** „ზემო“ [ჭარაია 1997, ] **ელახე** || **ელახუ**  
„აღმოსავლეთი“ [ყიფშ. 1994, 435] (შდრ. **გელახ** (გილე ||  
**გელე** „ქვემოთ, აღმაცრივი“, „დასავლეთი“).

**ეკოხო** (შდრ. ეკი „ზემოთ, ზემო მხარეს“)

**ეკოხო** რე ულირგ „ზევით არის წასული...“

ამავე ფუძისაგან იწარმოება არსებითი სახელი **ეკოხონი**,  
**იკოხონა** [ყიფშძიე 1994, 435; ქაჯაია 2001. I, 540] „აღმართი“.

უბედურ კოც ქუა **ეკოხონც** მააჭიშუანც (ყიფშ. 381, 24)  
„უბედურ კაცს ქვა აღმართზე მოეწევაო“.

**გინოხ(გ)** (შდრ. **გინი** | **გინი** „გაღმა“, „იქითა მხარეს“)  
„გაღმა, გადაღმა, იმ მხარეს, იქით“ [ქაჯაია 2001. I, 359]. თიშ  
**გინოხ** მეულა [ელიავა 1987, 88] „იმის იქით გადაღმა მიდი-  
ან“; ვითოჟირი გოლამ **გინოხე**... (ცაგ. 18,7) „თორმეტი  
მთის იქით“. მეგრულის ზუგდ. სამურზაყ. და სენაკურ კი-  
ლოკავებში ი/უ/გ ხმოვანთა მონაცვლეობა კილოკავთა შე-  
დეგი უნდა იყოს. ზუსტი არეალის დადგენა ჭირს. თუმცა  
ერთი შეიძლება ითქვას, კილოკავის გავრცელების შიდა  
არეალებში, ბუნებრივია, უფრო მეტი ერთგვაროვნება გვექ-  
ნება. აქ ასე ვთქვათ, უფრო წმინდად არის შენახული კილო-  
კავური თავისებურება.

„წინ – უკან“ ოპოზიციის ამსახველი ზმნისართები  
წიმი... და კინი... როცა -ხ(გ) ბოლოსართს დაირთავენ,

კონტექსტში მხოლოდ დროითი მიმართებების აღსანიშნავად გვევლინებიან (იხ. ქვემოთ).

მეგრულის **ლე-დე-|დო-** სუფიქსებს ლაზურში ემატება **-ნ-**.

**ჟილე | ჯილე** „ზემოთ“ [Mapp 1910, 180].

ჰაქოლენ **ჟილე** ულუტაში, არ ქდოი რენ ლალიკალა (კარტ. III, 176, 38) „აქეთკენ ზემოთ რომ წახვალ, ერთი სოფელია მდინარესთან“. მა **ჯილე**, ელებულურ დო მჭემუმ (კარტ. IV, 183, 28) „მე ზემოთ (ვარ), ჩავირბენ და ვმწყემსავ“.  
#35#

**ჟილენდო || ჟინდოლე || ჟინდოლენ** „ზემოთ, ზემოდან, ზემოთკენ“.

არ მკიაფუქ **ჟილენდო** წინწუფს (კარტ. III, 140, 20) „ერთი ტურა ზემოთკენ იყურება“. ჰემუს **ჟინდოლე** მაკარინა აობლუ... (ჟლ. 57, 18) „იმას ზემოდან მაკარონი დააყარა...“  
...**ჟინდოლენ** კულანიქ თოკი გომნჭუ [კარტ., IV; 12, 18] „...ზემოდან გოგონამ თოკი დაუშვა („მიაწვდინა“) **ჟინდოლე** [კარტ. II, 228, 20] „ზემოთკენ“.

**ჟინდო || ჯინდო** „ზემოთ“, „ზემოდან“

სალათას **ჯინდო**... ქოგომობლეს (კარტ. IV, 206, 20) „სალათს ზემოდან... დააყარეს“.

**თუდენ || თუდელე || თუდენდო(ნ) || თუდენიდო**

„ქვემოთ, ქვემოდან, ქვემოთკენ“.

**თუდენთი** ბაშქა ილუხენ კოჩი... (კარტ. IV, 57, 30) „ქვემოთაც სხვა კაცი უზის...“ **თუდელე** დაჩხუი უგზაა... (კარტ. IV, 167, 35) „ქვემოთ ცეცხლი უნთია...“ მსქიბუს ნა გური ვა ულუტუ დო **თუდენდო** დიბლეტუ... (კარტ. III, 38, 19) „წისქვილს გული რომ არ ჰქონდა და ქვემოთ იყრებოდა“. ექ **თუდენდონ** თავანიშაკადარ არ ძარი გელობუტუ (ჩიქ. I, 60, 21) „იქ ქვემოდან ჰერამდე სარკე ეკიდა“ **თუდენიდო** საპეზი მუშიქ ქომირუ (ჩიქ. II, 20, 20) „ქვემოდან პატრონმა მისმა ნახა...“.

**გალე || გალენდო || გალენდონ** „გარეთ“, „გარედან“

კარავიშე მატროსეფე **გალე** ტეს (ჩიქ. 16, 38) „გემი-  
დან მეზღვაურები გარეთ გავიდნენ“. **გალენდო** ქოჯელახე-  
დუ... (კარტ. II, 222, 3) „გარეთ დაჯდა...“ **გალენდო**  
ულარდალს... (კარტ. IV, 81, 15) „...გარედან ეუბნება“. ემ  
ვახთის **გალენდონ** ნეკნას ნუტანკუ (კარტ. IV, 11, 18) „იმ  
დროს გარედან კარზე დააკაკუნა“.

#36#

**წალე / წალენდო** „ქვემოთ, ქვემოთკენ“

**წალე** მზოლა, ჟილე კაფუნა (კარტ. IV, 28, 28)

„ქვევით ზღვა, ზევით კლდეები“. არ მკიაფუქ ჟილენდო წინ-  
წუფს დო მაჟვანიქ **წალენდო** (კარტ. III, 140, 21) „ერთი  
ტურა ზემოდან იყურება, მეორე – ქვემოდან“. მუდდინიშ  
ოხორ **წალენდო** დოლოდგინ (კარტ. IV, 97, 28) „მუიდინის  
სახლი ქვემოთკენ დგას...“

**მელე / მელენდო** „გაღმა, გაღმით, გაღმიდან“

ლომან **მელე** მეკაფთამინტუ (ჩიქ., II, 94, 24) „გუშინ  
გაღმა წავიდოდი („გავივლიდი“). მენდიწკედუშქულე **მე-  
ლენდო** ვალუმს [კარტ. III, 166, 2] „რომ გაიხედა გაღმა  
ელავდა“. **მელენდო** გზა ნა ყვეს... (კარტ. IV, 50, 11) „გა-  
ღმით გზა რომ იპოვეს... („გააკეთეს“).

**მოლე / მოლენდო** „გამოღმა“, გამოღმით || გამოღმიდან“

სი მელე დო მა **მოლე**... [კარტ. III, 43, 5] „შენ გაღმა  
და მე გამოღმა“. ღალიშ მელე – სარფულეფე, **მოლე** – მაკ-  
რიალურეფე (ჩიქ. II, 21, 31) „ღელეს გაღმა – სარფელები,  
გამოღმა – მაკრიალელები“. ართეფეთი **მოლენდო** ცადუ-  
მან (კარტ. 329, 10) „ერთნი გამოღმა ელოდებიან“.

**წოხოლე || წოხოლენდო** „წინ, წინიდან“ (იხ. ქვემოთ)

**წოხლე** ნულუნ... ისმაილი დო ოხორჯა-მუში (კარტ.,  
IV, 43, 38) „წინ მიდიან... ისმაილი და მისი ცოლი“... კაი  
გააეფე გუწუდუმელან **წოხოლე** (კარტ., III, 1952) „კარგ სა-  
ქმელებს უდგამენ წინ...“ მემეტი **წოხოლე** ქაწუდგითუ კულა-  
ნის (კარტ., III, 78, 17) „მემედი წინ დაუდგა გოგოს“; ჰემ  
კოჩის არ კაპულას არ **წოხოლენდო** ბენგი ულუტუ (ჟღ. 35, 3)

„იმ კაცს ერთი ხალი ზურგზე, ერთი კი წინ ჰქონდა“. მო-  
ქამფინალე – ხვალა **წობლენდო** [ასათ. 172, 59] „მოსაფა-  
რებელი მხოლოდ წინიდან“.

-**ხე** სუფიქსი ლაზურში დაერთვის შემდეგ ზმნისართებს:  
#37#

**დოლოხე / დოლოხენდო(ნ)** „შიგნით, შიგნიდან“.  
გონწკუ, ქამახთუ **დოლოხე** (ჩიქ. II, 34, 34) „გაალო,  
შევიდა შიგნით“. კაფლანიქ **დოლოხენდო** უჯოხოფს...  
(კარტ. IV, 81, 16) „კაფლანი შიგნიდან ემახის“; **დოლოხენ-  
დონ** არ სესი შიგნუ... (ჩიქ., I, 47, 24) „შიგნიდან ერთი  
ხმა გაიგონა...“

**უკაჩხე || უკვაჩხე || უკაშხე || ოკაჩხელე || ოკაჩხენ-  
დონ || უკაშქენდო** „უკან, უკნიდან“ (იხ. ქვემოთ).  
**უკვაჩხე** გზა ...ვა ენა... (კარტ. IV, 81, 21) „უკან  
გზა... არ არისო“. **უკაშხე** მანთხოზედ ზორიშა... (კარტ.  
IV, 175, 36) „უკან დაედევნა ძალით“; დიმონი **ოკაჩხენდონ**  
ულუნ (ასათ. 115, 106) „დიმონი უკნიდან აქვს“; არქადაში  
ჩქიმი **ოკაჩხელე** მუჭო დობოხუნა (ჟდ. 104, 3) „ამხანაგი  
ჩემს უკან როგორ დავსვა“; **უკაშქენდო** ეკაჭიმეს... (დიუ-  
მეზ. 104, 57) „...უკან გაეკიდნენ“.

„**წობლე**“ და „**უკაჩხე**“ ფორმების პარალელურად  
ლაზურში გამოიყენება სპარსული წარმოშობის სიტყვები,  
რომლებიც ლაზურში თურქულის გზით უნდა იყოს შესუ-  
ლი. ესენია:

**ოღინე || ოგინე || ოღინდე** „წინ“ (იხ., აგრეთვე, ქვემოთ).  
მუქ იდუ დო **ოღინე** ქოგოწანჯლონუ (კარტ. III, 177, 21)  
„თვითონ წავიდა და წინ წარუძღვა“. ქოდოხედუ ოდაჩხუემ  
**ოღინე** (კარტ. IV, 137, 22) „დაჯდა ცეცხლის წინ“; ეშელი  
**ოგინე**, სი ჯერინდე (კარტ. II, 222, 8) „ვირი წინ, შენ  
უკან“...

**გე(რ)ი || ჯერი || გე(რ)იდე გერინდე** „უკან“.  
დელიკანეფე ბოში-ბოში **გერი** გუიქთეს (ჩიქ. I, 30, 26)  
„ყმაწვილები ცარიელ-ტარიელნი უკან დაბრუნდნენ“. ვა მაკ-

ვათეს, ლიმჯიში გვი იგზალეს (კარტ. IV, 47, 9) „ვერ მო-  
ჭრეს, სადამოს უკან წამოვიდნენ“. ჟურ თანე ჯერი ქოდოს-  
ქიდუ (კარტ. II, 222, 9) „ორი უკან დარჩა“. აჩქვა გუინ-  
წკედუში, გვიდე ბეეფე ქოძიელენ (კარტ. IV, 67, 31) „კი-  
დევ რომ გაიხედა, უკან ბავშვებს უნახავთ“.

#38#

ამ ჯგუფის ზმნისართები თავისუფლად ითავსებენ თან-  
დებულის ფუნქციასაც, რაც მეგრულისთვისაც ბუნებრივია  
და არც ქართულისთვის არის უცხო. სამეცნიერო ლიტერა-  
ტურაში ასეთ ზმნისართებს „ზმნისართულ თანდებულებს“  
უწოდებენ [მარტიროსოვი 1946, 238]. ზმნისართი, რომელიც  
ერთ შემთხვევაში დამოუკიდებელი მნიშვნელობის  
მქონე სიტყვის სტატუსით გამოდის წინადადებაში, ზოგჯერ  
მიეკედლება სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას და თან-  
დებულის მსგავსად იქცევა [გაბუნია 1988, 103]. ზმნისართები  
თანდებულის ფუნქციით მეგრულ-ლაზურში, ქართულის  
მსგავსად, გვხვდება მიცემითთან და ნათესაობითთან: **რაკა-  
ნის ჟინ** ქებთუში, ქოძირუ მაღარა [კარტ. III, 171, 9] „გო-  
რაკზე ზემოთ რომ ავიდა ნახა ბეღელი“. **ქვას თუდე** ჰომე-  
შადუ (კარტ. III, 144, 1) „ქვას ქვემოდან ჩადო“. ნათესაო-  
ბით ბრუნვასთან ხმარებული ზმნისართები გაცილებით მე-  
ტია, ვიდრე მიცემითში გამოყენებული ზმნისართები. მაგ.,  
ხამი დიცხირონი **მასტულიშ თუდე** ქოძირეს (ჩიქ. II, 16, 12)  
„სისხლიანი დანა ტანსაცმლის ქვემოთ იპოვეს“. ...**ხე-სქანიშ**  
**თუდელე...** (კარტ. IV, 131, 40) „შენი ხელის ქვემოთ...“  
**სარლამ დოლოხე...** წკაი ბუკათარე (ჩიქ., II, 3, 14) „გობის  
შიგნით... წყალს გავურევთ“. ე წყარს **თუდოლე** გერეფი...  
ქკომუნა ხორცის (ყიფშ. 245, 20) „ამ წყალს ქვემოთ მგლები...  
ქამენ ხორცს“. ათენეფი **კოს წოხლე** ქაწუუდუ ნდიიქ  
(ყიფ. 245, 16) „ესენი კაცს წინ დაუწყო დევმა“.

ლაზურში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც  
ზმნისართი-თანდებული წინ უძღვის საზღვრულს:

...ქაგამულუ **წოხლე-მუში** ქოდუდგუ (კარტ. III, 80, 10)  
„...გამოიტანა წინ (მისა) დაუდგა“. ...**წოხლე-მუში** ბურჭული-  
თენ მეკვათუპტეენ (ჩიქ. I, 9, 12) „...წინ (თვისა) წალდით  
ჭრიდა თურმე“. სოჭრა დოხედუსი, **ოღინდე** || **ოგინდე-მუში**



შკომერ ოტუ ჯარი (კარტ., IV, 209, 27) „სუფრასთან რომ დაჯდა, წინ მისა მშიერი იყო ჯარი“... ქობირუ ოღინე-მუში ფარა (კარტ. III, 190, 21) „...წინ (მისა) ფული ნახა“.

#39#

ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში ზმნისართი თანდებულის ფუნქციით კი არ გამოიყენება, არამედ თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ალბათ, ძველი ვითარების გადმონაშთი (პოსტპოზიცია უფრო ძველად არის მიჩნეული – არნ. ჩიქობავა).

### § 2.2. ხმოვანთავსართული ზმნისართები. რო-

გორც ცნობილია, ხმოვანთავსართულ ზმნისართებს ძირეული მასალა საზიარო აქვთ მითითებით ნაცვალსახელებთან [ფოჩხუა 1959, 81]. მეგრულ-ლაზურში ხმოვანთავსართულ ადგილის ზმნისართთა აღნაგობა ასეთია: ნაცვალსახელთან საზიარო -ქ- თანხმოვანს თავში დართული აქვს სივრცის დამაკონკრეტებელი ა, ე (ი) ხმოვნები, (ვიწურ-არქაბულსა და ათინურში თავკიდურ ხმოვანს ჩვეულებრივ სპირანტი ჰ-ახლავს [ჩიქობავა 1929, 172; ჟღენტი 1953].

მეგრულში ამ ჯგუფის ზმნისართებს რამოდენიმე ფონეტიკური ვარიანტი მოეპოვებათ: აქი || აქ || აქჟ || ათაქი || ათაქჟ || ათაქი || თაქი || თაქჟ || თაქ „აქ“.

აქი ე ჯიმა-სქუაქეთი ქომორთ (ხუბ. 136, 13) „აქ ეს ძმიშვილიც მოვიდა“. აქ ქემორთუნ, ბიცოქ უწუ (დან. 126, 119) „აქ რომ ჩამოვიდა, ბიცოლამ უთხრა“. ...აქჟ მუსგ ორთუქჟ? (ყიფშ. 219, 34) „აქ რას აკეთებ?“ ათაქი ეკოდგგ ართი მინისტერიში ცუდე (ხუბ. 197, 10) „აქ დგას ერთი მინისტრის სახლი“. ათაქ ხოლოს ართი წყარი მეკანკალანს (ხუბ. 11, 21) „აქ ახლოს ერთი (წყალი) მდინარე მირაკრაკებს“. სი თაქ ქორდეოკონია ჩქიმ მულაშავა (დან., 94, 11) „ჩემს მოსვლამდე აქ უნდა დარჩეო“. თაქჟ იყი წანა თე ჟამიშა (დან., 54, 21) „...აქ დარჩება მომავალ ამ დრომდე“.

ი. ყიფშიძის ლექსიკონში გვხვდება სხვა სახითაც: ნთაქ || ნთაქჟ/ი „აქ“ [ყიფშიძე 1994, 401].

ექი || ექ || ექჟ || ეთექი || ეთექჟ | ეთექ || თექი ||

#40#

თექვსე || თექვსე „იქ“.

ექ ქიმერთუნ..., ცირაქ უწუ (ხუბ., 82, 23) „იქ რომ მივიდა, ქალიშვილმა უთხრა“. ...ექვ ქიმერთესენი, იცულუ ხარებაქე (დან., 92, 13) „იქ რომ მივიდნენ, შეიქმნა მხიარულება“. სქანი რაში თექვი წმორე... (ხუბ., 98, 26) „შენი რაში... იქ დგას“. აქ ფულირი ჭირი ცილუნც, ეთექ ოკო გაგიცხადე (გუდ., 51, 93, 26) „აქ ფარული ჭირი მკლავს (და) იქ (საიქიოში) უნდა გაგიცხადო“. გოურქუ დო ქიმერთ თექე (დან., 248, 30) „მოუსვა და მივიდა იქ“.

ლაზურში შესაბამისი მასალა ასე წარმოგვიდგება:

ჰაქო || ჰაქ || აქო || აქ „აქ“, „აქეთ“ [Mapp 1910, 239].

ჰაქ ჯეხედუ დო ოკაჩხე მეკვათუმს (ჩიქ., II, 87, 1) „აქეთ დაჯდა და უკან ჭირდა“. მა ჰაქო ფხერ, ჰიმ ჰიქო ხენ... (ჩიქ., II, 102, 17) „მე აქ ვზივარ, შენ იქით ზიხარ...“ აქ ქეთოქ არ ჯაშ თუდე კვინჩი ქომირუ (ჩიქ., I, 30, 11) „აქ ქეთომ ერთი ხის ქვეშ ჩიტი იპოვა („ნახა“)...

ჰექო || ჰექ || ექო || ექ || (ჰ)ექო || იქ „იქ, იქით“.

ჰექო ჩილ-ქომოჯი დიდო ორას კაინობათე სქიდეს (ჩიქ., 19, 31) „იქ ცოლ-ქმარი დიდხანს ტკბილად ცხოვრობდნენ“. ...ჰექე ოხორის ქამახთუ (ჟდ. 67, 28) „იქ... სახლში ავიდა“. ექ მეშახთუ... (ჩიქ., II, 43, 2) „იქ შევიდა...“. ჰიქო ლაზუტი გებობლამტით (კარტ., IV, 181, 23) „იქ სიმინდს ვყრიდით“.

ჰექ-ის პარალელურად გვხვდება აგრეთვე ჰეგ „იქ“;

#41#

რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური ახსნა აქვს: ქ-ს გ-დ გადაქცევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ამ სიტყვას სხვათა სიტყვის გადმოსაცემი -დ მოსდევს (ქართ. -ო)

<sup>3</sup> შევნიშნავთ, რომ ძირეული ზმნისარტები ექი | ექ... თექვი | თექვსე „იქ“ აგებულებით ემთხვევა ჩვენებით ნაცვალსახელს მოთხრობით ბრუნვაში ექი | ექვ | ექ... თექვი | თექვსე | თექუ „ამან“, ოღონდ პირველ შემთხვევაში ქ არის ძირისეული, ხოლო მეორე შემთხვევაში -ქ წარმოადგენს მოთხრობით ბრუნვის ნიშანს: მაგ., ექ მუქო რე გინმართენი... [სამუშ. III, 36, 10] „ეს როგორი გამიხდა“. მიდექონგ ოში ბადიამი კოჩი თექითგ... [ყიფშ., 240, 112] „ამანაც ასი ბადიანი კაცი წაიყვანა“ (იხ. ქვემოთ).

[ქლენტი 1938, XV].

**ჰეგ**-მა ვარ მალუ-მა [ქლ., 67, 28] „იქ(ა) არ წამესვლებათ...“  
უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილაკის გარეშე წარმო-  
დგენილ ფორმებშიც დასტურდება **გ** თანხმოვანი:

ბოზო **ჰეგ** რენ (კარტ., IV, 125, 33) „გოგო იქ არის“.  
მოხთუშქულე ჯუმა-მუში **ჰეგ** ვა რენ (კარტ., III, 166, 22)  
„რომ მოვიდა მისი ძმა იქ არ იყო“.

ხმოვანთავსართული ზმნისართები ლაზურში იმავე  
სუფიქსებს დაირთავენ, რასაც პირველადი ზმნისართები: **-ნ**,  
**-ლე(ნ)**, **-დო(ნ)**.

...**ექოლე** მენდაწკედუ, **აქოლე** მენდაწკედუ... (კარტ.  
III, 61, 22) „იქით გაიხედა, აქით გაიხედა...“; ხემშილი ჰიჩ  
ვა მიკათუნან **აქონ** (კარტ., IV, 28) „ხემშინი ჯერ არავინ  
გვირეცია აქ“... **ჰაქოლენ**... არ დეის დიდი ღალი ზუღას  
დოლიბენ (კარტ., III, 191, 7) „აქეთ... ერთ ადგილას დიდი  
მდინარე (ღელე) ზღვაში ჩაედინება“. ცხენიანი კოჩი-ნა იგ-  
ზალუ **აქოლენდონ** (ჩიქ., I, 41, 8) „ცხენიანი კაცი რომ გა-  
ემგზავრა აქედან...“; **ჰიქოლენდო** გობიქით... (კარტ., II,  
219, 5) „იქიდან დავბრუნდით...“ დივიქ დუჯოხუ **ჰექოლე**...  
(ჩიქ., II, 35, 3) „დევა დაუძახა იქიდან...“; **აქოლენ** წალე-წალე  
ვულუთ... (ჩიქ., I, 115, 21) „აქედან ქვემოთ-ქვემოთ  
წავალთ...“; ჰამ **ჰაქოლენდო** მო ვარ იჯიბასენია (კარტ., IV,  
329, 30) „ეს აქედან რატომ არ იჭერსო?“

მეგრულში **-ლე** სუფიქსიანი წარმოება ხმოვანთავსარ-  
თულ ზმნისართებშიც:

(**ვიქილე** „იქით“, „ცოტა იქით“, შდრ. გურ. აქეთრე-  
ლე „ცოტა აქეთ“ [შარაშიძე 1938, 19] სამურზაყანულში  
გვხვდება ასეთი სახითაც – **ვიქლე** || **იქლე** „ცოტა იქით“  
[გიგობერია 1958, 468]. ო. ქაჯაიას ლექსიკონში დასტურდე-  
ბა **იქიე** და **აქიე** ფორმით [ქაჯაია 2002. II, 92].

#42#

სიავა ჩქიმ ცუდეშა ქემურქიევე, მუაჩქიმს **აქილე** ქო-  
მირუნქ დო დიაჩქიმს **ვიქილევა** [ხუბ., 50, 21, 22] „შენო,  
ჩემს სახლში რომ მიხვალ მამაჩემს ცოტა აქეთ ნახავ და  
დედაჩემს ცოტა იქითო“; თიმ **ვიქილე** გურძემი რე...  
(ყიფშ., 315, 25) „იმის ცოტა იქით გურძემია...“; ჩე ჯამ  
(**ვიქილე** მითოხე „ალვის ხის ცოტა იქით ზის“.

**აქილე** „აქეთ, ცოტა აქეთ“: თიმ **აქილე** გეჯეთი რე...  
(ყიფშ., 316, 1) „იმის ცოტა აქეთ გეჯეთი არის...“

როგორც ვხედავთ, მასალობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული მეგრულ და ლაზურ ზმნისართთა მნიშვნელობები განსხვავებულია. ეს ლექსიკური ერთეული გვხვდება კომპოზიტურ წარმოებებშიც:

ქალუდირთეს **იქილე-აქილე**... [ხუბ., 97, 16] „ამოუდგენენ იქით-აქეთ...“; ათე ჟირი ცალეფი **იქილე-აქილე** ჯიბეშა ქალედვია [ხუბ., 86, 20] „ეს ორი ტოტი იქით-აქით ჯიბეში ჩაიდეთ“ (იხ. ქვემოთ).

მეგრულისთვის უფრო ბუნებრივი ჩანს შესაბამისი ფუძეების **-ნე** სუფიქსით გაფორმება, ოღონდ ეს სუფიქსი ვერ იქნება ზმნისართული ფუძის მაწარმოებელი.

(ა)თაქინე || თაქენე || აქინე „აქ“ (შდრ. ლაზ. ექონ).

**ათაქინე** დუცუ ქაწგოყვილა (ყიფშ., 260, 8) „აქ თავს მოვიკლავ („შენს წინ“). **აქინე** მითა მიწონებუ ეში მაკეთებელი (ქაჯაია 2001. I, 200) „აქ (ამ ადგილას) არავინ მეგულება ამის გამკეთებელი“.

(ე)თექინე || თექენე || ექინე „იქ“ (შდრ. ლაზ. აქონ).

სი გიტენქ **თექინე** (დან., 114, 3) „შენ გტოვებ იქ“.  
**თექენე** ჭკვერას ორდათ „იქ ჭკვიანად იყავით“. **ექინე** მუქ გიღინეს „იქ რა დაკარგეთ“. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის დაკავშირებული **-ნე** სუფიქსი ქართულის დასავლური კილოების სათანადო მასალასთან: **აქინე, იქანე**. და სვანურის ამეჩუ-ნა, ამეჩუ-ნი ფორმებთან [Качаравა 1955, 6].

ნაცვალსახელური წარმოშობის ხმოვანთავსართული ზმნისართია მეგრულ-ლაზურში **-შ-** ძირით წარმოდგენილი #43#

სიტყვები: (ვ)იშო || იშო || იში || იშ<sup>4</sup> „იქით“ [Климов 1964, 94]

<sup>4</sup> **იშო** ემთხვევა ჩვენებით ნაცვალსახელს ირიბ ბრუნვაში **იშო** | **თიშო** “იმისთვის”. მაგ., (თ)იშო ირფელს გაკეთენს “იმისთვის ყველაფერს გააკეთებს”. **იშო** არაა ართ რე [ქაჯაია 2002. II, 95] “იმისთვის სულ ერთია...”.

აურე იშო გეგნმორღვეს (სამუმ., III, 78, 31) „აქედან იქით გადაგვყარეს“. ვიშო მალე ბრელი ბძირია... (ყიფშ., 236, 11) „იქით წამსვლელი ბევრი მინახავსო...“ ტყურეფითი ვიშო მიდურქუ, აშო ვადგართინე ვარა [ხალხ. სიბრძ., 130, 1232] „ტყუილებით იქით წახვალ, აქეთ ვერ დაბრუნდები თორემ“. სორე იში მეულ სი უბედური? „სად არის, იქით რომ მიდიხარ, შე უბედურო“. დოშურდგ აწი ალექ დო იშ ქიდინჯირგ (ხუბ., 168, 29) „დაიღალა (ახლა) ალე და მიწვა იქით“.

აშო / აში / აშ „აქეთ“:

ამუღლა აშ ქომოვრთი (ყიფშ., 216, 7) „დღეს აქეთ მოვედი“. აში მოზოჯი! „აქეთ მობრძანდი!“; ბოში გეშეცონეს აშო (ხუბ., 134, 24) „ბიჭი ამოიყვანეს აქეთ“.

აშ / (ა)თაში / აშ ფუძეები ვითარებითის მნიშვნელო-ბეზსაც ითავსებენ. (შდრ. ქართ. ასე „ისე“, ლაზ. ჰიშო „ასე“, ჰეშო „ისე“).

აში ვეგშურს „ასე არ გამოვა“; ინეფს ვა ურჩქილათ, ჩქე თაშ მიფქცუათ „იმათ ნუ მოვუსმენთ, ჩვენ ასე მოვიქცეთ...“; აშ ცხოვრება ვეშილებე „ასე ცხოვრება შეუძლებელია“.

იგივე ითქმის ეში || თეში || ეშ საპირისპირო ფორ-მეზზე (იხ. ქვემოთ).

მეგრულში (ნაწილობრივ ლაზურშიც) (ვ)იშო ფუძე წინადადებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაწილაკის ფუნქციით:

ოსერშე ოჭკომესგნ, ქედინჯირეს ვიშო (ხუბ., 148, 13) „ვახშამი რომ შეჭამეს, დაწვნენ კიდეც“; გვალო იშო ვემემ-დინა (გულ., 88, 172, 8) „მთლადაც არ დამეკარგო“. ათაქ #44#

თენენქ ბეჭედი გოთირეს ვიშო (ხუბ., 148, 14) „აქ ამათ ბეჭდებიც კი გაცვალეს“. იშ ქინანთხ თაქ წყარს (ხუბ., 119, 9) „სულაც წყალში ჩავარდა“.

ვიშო || აშო ზმნისართული ფუძეებისაგან მეგრულში ნაწარმოებია შემდეგი ფორმები: (ვ)იშონანს, აშონანს... რომლებიც მხოლოდ დროით მნიშვნელობებს გადმოსცემენ: „იქითობას || იქითობისას“, „აქეთობას || აქეთობისას“ (იხ.

ქვემოთ).

ლაზურში ვიშო... აშო ფორმების შესაბამისი ზმნისართებია ჰიშო || იშო || ეშო „იქით“, „ისე“ (ზღრ. მეგრ. იშო... „იქით“, „ისე“ და ქართ. ისე) [Mapp 1910, 239].

როგორც ლექსიკონებშია მითითებული, ლაზურში ამ ზმნისართის პირველადი ფუნქციაა ადგილის გამოხატვა, ხოლო მეორადი – ვითარებითი მნიშვნელობის გადმოცემა. ლაზურში, სიხშირის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, წინადადებაში ის უფრო ხშირად ვითარებითის ფუნქციით არის წარმოდგენილი. ადგილის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი შემდეგ წინადადებაებში:

...აშო წალენდო ვიდამინონ... (ჩიქ., I, 49, 28) „...აქეთ ქვევითკენ წავალ“; ჰაშო ჩხინდიშა ქონულუ (კარტ., IV, 110, 9) „აქეთ ცხვირთან მოუტანა“. აშო გუნბე კოლოფე ქოძიეს (კარტ., III, 202, 33) „აქეთ გრძელი კოლოფი ნახეს“. აშო, თუდე ვა რენ (ასათ., 190, 8) „აქეთ, ქვევით არაა“. მოთ გოიწენდ ა ჰაშო-ჰიშო? (კარტ., II, 224, 13) „რატომ იყურება აქეთ-იქეთო?“ გუიყონაფ ეშო-აში (ასათ., 218, 133, 1) „დაატარებენ იქით-აქეთ...“

(ჰ)ეშო წინადადებაში შეიძლება ნაწილაკის ფუნქციითაც შეგვხვდეს:

სი ნა მიწვისთერი მან დოპია ეშო... (კარტ., III, 146, 5) „შენ რომ მითხარი, („მითხარისნაირი“) მე გავაკეთეო კიდევ...“; გირინი იდუ დო არ დიდი ჯამ თუდე ქაელინჯიუ, ჯოლოთი ქაელინჯიუ ეშო, კატუთი ქაელინჯიუ (კარტ., 13, 37) „ვირი წავიდა და ერთი დიდი ხის ქვეშ წამოწვა, ძაღლიც #45#

ამოიწვინა და კატაც ამოიწვინა“.

ნაცვალსახელური წარმომავლობისად არის მიჩნეული მეგრულში რიგი ხმოვანთავსართული ზმნისართები (მარტიროსოვი 1964, 265).

ამარ(ი) „აგერ“, „აქ“ (იხ. ქვემოთ)

ქო, პატენი, ამარ რე... [ყიფშ., 218, 13] „კი, ბატონო, აგერ არის...“; მედინგნი მიჩქედგდო ამარ ქემაპახვანც. ო. ქაჯაიას ლექსიკონში დაფიქსირებულია შემდეგი მნიშვნელობა: „ჩვენებ. ნაწილაკი აგერ, აგერ აქ; აი აქ“. მოყვანილია

მაგალითები: **ამარ** ქითებუ ვით წანა „აგერ, თავდება ათი წელი“. **ამარი** მეურს, გიოჭიშუნქ – აი, აგერ მიდის – და-ეწევი“ [ქაჯაია 2002. I, 183]. ეს ზმნისართიც ფორმდება – **ნე** ბოლოსართით:

**ამარინე** || **ამარნე** „აგერ, აქ“ (იხ. ქვემოთ). **ამარინე** ქიგიორინე თე ბაღანა „ეს ბავშვი აქ დააყენე“.

**ემერინე** || **ემერნე** „ეგერ, იქ“. **ემერინე** მეურს დო მერაქვალანს „ეგერ მიდის გაბრაზებული“.

ზმნიზედის ფუნქციით აღნიშნულ ლექსიკონში წარმოდგენილია ფორმა, **ამარე** „აგერ, აი აქ“ [ქაჯაია 2002. I, 183].

**ემერ(ი)** „ეგერ, იქ“.

**ემერი** გილაძუნია... (დან., 212, 28) „ეგერ გდიაო...“

... **ემერ** შხურს ვორწყეკია... (ხალხ. სიბრძ., 25, 181)

„...ეგერ ცხვარს ვხედავო“.

ლაზურშიც გვხვდება იმავე სტრუქტურის (ასევე შინა-არსის) ზმნისართები, მაგრამ სათუთა მასალობრივად მათი ერთმანეთთან დაკავშირება, რადგან აქ ეს სიტყვა ნაწარმოებია შესიტყვებისაგან **ჰემ დერი** „ის ადგილი“ და **ჰამ დერი** „ეს ადგილი“ [Mapp 1910, 238] (შდრ. ქართ. „ამიერი“ და „იმიერი“).

**ემერი** ფუჯონჯე [ასათ., 131, 81, 4] „იქ ფუჯონჯეა „ძროხების საწოლი“. **ჰემერი** ცხენი მუში დვაზაბუნუ... [ჩიქ., 133, 20] „იქ ცხენი მისი დაუძლურდა“. **ჰამერი** ჯუმაშე ბაშკა მითი ვა მიყალე [ჩიქ., II, 133, 27] „იქ ძმის #46#

გარდა არავის მიესვლება“. **ამერი-თი** ჩარქი კლდეს ბუწუმერთ [ჩიქ., II, 20, 10] „აქაც (ამ ადგილსაც) ... კლდეს ვეძახით“.

**§ 2.3. ბრუნვის ნიშნიანი ზმნისართები.** სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზმნისართს მეგრულ-ლაზურში შეიძლება დაერთოს მიმართულებით, დაშორებით და მიცემით ბრუნვათა ნიშნები [კიზირია 1982, 235; გაბუნია 1993, 91, 92]. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზმნისართს კი არ დაერთვის, არამედ – სახელს (ძგა... შორი...) და მხოლოდ ამის შემ-

დეგ ფორმდება ზმნისართად. ე. ი. გვაქვს „ნასახელარი ზმნისართები“ [ფოჩხუა 1959, 81]. მიცემითი ბრუნვის ნიშნით ფორმდება აგრეთვე უკვე დაშორებით ბრუნვაში გაქცევებული პირველადი და ხმოვანთავსართული ზმნისართები (**ჟიმოლეშეს... თექნეშეს...**). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც **თექნეშე... ჟიმოლეშე** გაიგება, არსებით სახელებად და ასეთად გააზრებულთ დაერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი. პირველადი ზმნისართები მეგრულში ვერ ჰგულობენ მიმართულებითი ბრუნვის ნიშანს (**თუდეშა, ჟიშა...**), მაგრამ გვაქვს ლაზურში... დაშორებითი ბრუნვის ნიშნით იწარმოება როგორც პირველადი, ისე ხმოვანთავსართული და მიცემით ბრუნვაში გაქცევებული ნასახელარი ზმნისართებიც.

განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

1) მეგრულში გვაქვს ნასახელარი ზმნისართები, რომლებიც სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმებს წარმოადგენენ:

**ხოლოს(გ) || ხოლოს** „ახლოს“ (შდრ. ლაზ. **ხოლ** და ქართ. **ხალ** → **ხლ** [ფენრიხი 2000, 692])

სქანი **ხოლოს** ქოპუასუნი (სამუშ., III, 38, 28, 7) „შენთან ახლოს რომ ვიყო...“; სი ვა რექი ჩქიმი ხოლოს (გუდ., 88, 173) „შენ არა ხარ ჩემს ახლოს...“

ამავე მნიშვნელობით („ახლოს“), ოღონდ უარყოფის #47#

გამომხატველ ზმნებთან გამოიყენება **სარხოსგ || სარხოს || სახოს** „ახლოს, ახლო-მახლო, შორიახლოს, სიახლოვეს“ [ქაჯაია 2002, I, 581].

სქანი **სარხოს** ვარე მუნაფა (სამუშ., III, 83) „შენ სიახლოვეს არ არის ღრუბელი“. ოკო მორთას დო **სახოს** ვამიძირე „უნდა მოვიდეს და ახლომახლოს არ მოჩანს“. **სარხოსგ** ვეგიტუ მუთუნი „სიახლოვეს არ დატოვა არაფერი“ (იხ. ქვემოთ).

**შორს || შორსგ || შორც** “შორს“:

ტურა გერე **შორსგ...** (ყიფშ., 224, 8) „ტურა დგას შორს...“; **შორს...** დაჩხირიში სინთე ქოძირე (ყიფშ., 231, 27) „შორს... ცეცხლის შუქი დაინახა“. ქიგიორინეს გურგენი **შორც** (ყიფშ., 311, 7) „დააყენეს გურგენი შორს...“



**შორი** ქართულიდან ნასესხები უნდა იყოს, რადგან მეგრულში შესატყვისი ფორმა უნდა ყოფილიყო **\*შქორი** (შესატყვისობა შ : შქ).

**შქას(გ) || შქას** „შუაში, შუა ადგილას“ (შდრ. ქართული **შუა** || **შუვა**: ლაზური **შკა < შქა** და სვანური **ი-სგა** [ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 557]).

...**შქას** ქაშადგ ძღაბ დო მუშ წკუმა (ხუბ., 148, 24)  
„...გოგოსა და თავის შუაში ჩადო“ ცა დო დიხა **შქას**...  
(ყიფშ., 286, 2) „ცასა და დედამიწას შუა...“ ...**შქას** ინოკინელი აფუ (დიუმეზ., 116, 1) „...შუაში ჩაწეული აქვს“.

პარალელურად გამოიყენება პრეფიქს-სუფიქსური წარმოების

**ოშქას || ოშქათ || ოშქაშეთ** “შუაში“:

თოლემც ვაშაყუნდას **ოშქათ** ჩხვინდინი, თოლი ოთოლეს ვადინტირინე... (სამუშ., 9, 15) „თვალეშ შუა ცხვირი რომ არ იყოს, თვალი სათვალეში არ დაეტევა“. **ოშქაშეთ** მირულე ჩქინი ცხენი „ჩვენი ცხენი შუაში მირბის“ (შდრ. **ოშქალი** „შუა ადგილი“: ათენა ათე შარაში **ოშქალი** რე „ეს ამ გზის შუა ადგილია“ [ელიავა 1987, 258] (შდრ. ლაზ. **ოშქენონი** „შუათანა“).

#48#

**ძგასგ | ძგას** „კიდეზე“:

...ძვალი ქეკოხორგე **ძგასგ** (გუდ., 209, 309) „...ძვალი მიხერგილა ნაპირზე“. მოლასოფუ გვერშაპიქ..., მუჭო **ძგას** დეხოლუნი (ხუბ., 12, 35) „როგორც კი კიდეს დაუახლოვდა..., გველემაპი გამოვარდა“.

მეგრულში ადგილის ზმნისართის მნიშვნელობით გამოიყენება, აგრეთვე, მიცემითის ნიშანდართული სახელები.

**დუს(გ)** „თავში“ (შდრ. დუდი „თავი“).

გვალო **დუს** ქუდუხუნუ „მთლად თავში დამჯდარა“. **დუსგ** ნუმე გემრეგ „მთლად თავთან ნუ მიდგებარ“.

**ბოლოს** „ბოლოს“ (იხ. ქვემოთ)

დიილგ არმა ოთახი დო **ბოლოს** ართი კვლერი ოთახის ქიმიოდირთე [ყიფშ., 284, 9] „დაიარა ყველა ოთახი და

ბოლოს ერთ დაკეტილ ოთახს მიადგა“. **ბოლოს** ვეგედირ-  
თათ „ბოლოში ნუ დადგებით“.

**განს** || **განობას** || **გას** „განზე“ (შდრ. ქართ. განი).

ლაზურში შესაბამისი მასალა შემდეგი სახითაა  
წარმოდგენილი:

**ხოლოს** „ახლოს“

ხანუმიქ სკურაფი ალაში ცალში **ხოლოს** მენდილუდორ-  
ტუ (ჩიქ., II, 10, 18) „ხანუმმა სამართებელი ალას ყელთან  
ახლოს მიუტანა“.

აღნიშნული ზმნისართი გვხვდება უფრო იშვიათად,  
ვიდრე სპარსული წარმომავლობის სიტყვები:

**ანის** „ახლოს“:

წალე, ჟილე, **ანის**, მენდრა [ასათ., 159, 15] „ქვევით,  
ზევით, ახლოს, შორს“. ოხოი-თი გზაში **ანის** ტენ [ასათ.,  
51, 8] „სახლიც გზის ახლოს ყოფილა“.

**აქინ** || **აკინ** „ახლოს“.

...შკუნი სუჭრა ონ, **აქინი** (კარტ., II, 225, 12)  
„...ჩვენი სუჭრა არის ახლოს“. დაჩხურიშ **აკინ** ხერტუ  
[კარტ., II, 223, 3] „ცეცხლის ახლოს იჯდა“.

#49#

„შორს“ მნიშვნელობის გადმოსაცემად ლაზურში ქარ-  
თველური ფუძე საერთოდ ვერ დავადასტურეთ. გვხვდება  
ისევ თურქული წარმოშობის სიტყვა:

**მენდრა** || **მენდრალე** „შორს“, „შორიდან“.

ოხორი მუშითი დიდო **მენდრა** რენ (კარტ., IV, 9, 5)  
„მისი სახლიც ძალიან შორს არის“. არ **მეენდრაა** კარა-  
ვიშ თე ბძირდა (კარტ. III, 146, 8) „ძალიან შორს კარვის  
თავი ვნახეო“. ფუძის უჭანდამ **მენდრალე**... [კარტ. IV,  
168, 21] „ძროხას ვეძახით, შორიდან...“

**ძგას** | **მძგას** „კიდეზე“:

ოდაში **მძგას**... ქელოდგინუ (ჟღ., 43, 29) „სახლის კი-

დეზე დადგა“. ტეტელო ხუვარდა მძგას ელადგინ (ჟღ., 43, 31)  
„ტიტველი საყვარელი კიდეზე დგას“.

**შქას 1.** „შუაში“ 2. „წელი“:

ემოთენ-აშოთენ ჯუმალეფეში **შქას** ოკოკიდინუ ქომობ-  
თუ (კარტ. III, 135, 12) „ისე თუ ასე ძმების (შორის)  
წაჩხუბების დრო მოვიდა“. ბოზოს **შქას** თოკი ქოგაუდუ  
(ჟღ., 11,7) „გოგოს წელზე თოკი გამობა“.

„შქას“ სიტყვის პარალელურად იხმარება **ორთას** „შუაში“  
(შდრ. მეგრ. ოკართუს | ორთუს „გასაყარზე“).

ოთხო გზას **ორთას** არ ოხოი გოდგინ (კარტ. IV, 30, 26)  
„ოთხი გზის გასაყარზე (შუაში) ერთი სახლი დგას“. ლაზ  
დო მარგალიშ **ორთას**... **შქას**... (ასათ., 220, 137, 1) „ლაზსა  
და მეგრელს შუა...“; **ორთას** გედგინ (ასათ., 115, 102) „შუა-  
ში დგას“ (შდრ. მეგრ. ოკართუს).

#### **§ 2.4. დაშორებითი ბრუნვის ნიშანი ზმნისარ-**

**თებში.** სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი დაშო-  
რებითი ბრუნვის ფუნქციებიდან ყურადღებას მივაქცევთ  
ჩვენთვის საინტერესო ორ მნიშვნელობას: 1) დაშორებითი  
ბრუნვა აღნიშნავს დაშორებას (კითხვა: საიდან?) 2. დაშო-  
რებითი ბრუნვა აღნიშნავს მიმართულებას (კითხვა: საით?)  
საითკენ, რომელ მხარეს? [ლომთაძე 1973, 121].

#50#

მეგრულში ეს ფუნქციები ვრცელდება ზმნისართებ-  
ზეც. ლაზურში, როგორც ვიცით, დაშორებითი ბრუნვა მი-  
მართულებითის ფუნქციითაც გვხვდება [ჩიქობავა 1936, 60;  
ჟღენტ 1953, 168...].

მეგრულში ეს პროცესი მიდის იქამდეც, რომ დაშო-  
რებითი ბრუნვის ნიშნიანი ზმნისართები ადგილ-მდებარეო-  
ბასაც გამოხატავენ.

მეგრულში დაშორებითი ბრუნვის ნიშნიანი ზმნისარ-  
თები აღნიშნავენ დაშორებას.

**ჟიმე || ჟიდოშე || ჟიდოხგშე || ჟიდოხიშე || ჟიდოხუ-**  
**შე** „ზემოდან, მალლიდან“ (შდრ. ჟიმოხო/უ || ჟიმოხუშე...)

ჟიშე ჭვიმა მურსგ... (გუდ., 239, 41) „ზევიდან წვიმა მოდის“; მა თომას ქუვოცოთა ჟიდობხეშე... [ხუბ., 50, 28] „მე თმას ვისვრი ზემოდან“; ჟიდობხეშე ჭვიმა მურს, დიხას ოციცინუანს“ (გუდ., 244, 81) „ზევიდან წვიმა მოდის, მიწას ალბობს“; ჟიდობხეშე მოხორცქუ წყარი „ზემოდან მოხეთქავს წყალი“.

ჟილეშე, ჟიმოლეშე ო. ქაჯაიას ლექსიკონში დასტურდება.

ჟიდოლეშე-ც „ზემოდან“ [ქაჯაია 2001. I, 500]:

ქუალეფიშ მუკორღვაფა ქიდიჭყეს ჟილეშე „ზემოდან ქვების გადმოყრა დაიწყეს“; წყარიში რაჩხალი აზადუდუ, ჟიმოლეშე მუენასოფა (გუდ., 315, 452) „წყლის ჩხრიალი ეგებებოდა, ზემოდან მონახეთქი“.

თუდოშე || თუდობხეშე || თუდობხეშე || თუდობხეშე „ქვემოდან“:

წყარი გეშამილი თუდოშე „ქვევიდან წყალი ამომიტანე...“; თუდობხეშე ლიში ქამგვიტაფუ... (ხუბ., 142, 34) „...ქვემოდან ნემსი უჩხვლიტა...“; თუდობხეშე ქუა გეჭოფუ „ქვემოდან ქვა აიღო“.

თუდოლეშე „ქვემოდან“:

ეშაჯინგ თუდოლეშე... „ამოხედა ქვემოდან“. თუდოლეშე ღუძახეს „ქვემოდან დაუძახეს“.

#51#

დინობხეშე || დინობხეშე (შდრ. დინობ(გ) „შიგ, შიგნით“) „შიგნიდან“; დინახ(ა)ლეშე / დინობ(ო)ლეშე (შდრ. დინახალე „შიგნით“) [ქაჯაია 2001. I, 468]:

დინობხეშე მა დოფთხილა, გალე-გაღე სი დეფარი (გუდ., 186, 281, 7) „შიგნიდან მე ვუყარაუღე, გარე-გარე შენ დაიფარე“; დინობხეშე გაღე გაგმიცონეს „შიგნიდან გარეთ გამოიყვანეს“; ძღაბიქე კარი დინახალეშე დოკილ... (ყიფშ., 307, 13) „გოგომ კარი შიგნიდან დაკეტა“.

გაღეშე „გარედან“:

...კოჩქ გაღეშე ქიდიძახე... „კაცმა გარედან დაიძახა“.

**მელეშე || მელეხიშე || მელეხუშე || მელეხგშე**

(შდრ. მელე(ხ) „გაღმა“) „გაღმიდან“.

**მელეშე** გამნონჩურუ... „გაღმიდან გადმოცურა“. მელეხიშე სი რექი... (გუდ., 63, 124, 1) „გაღმა შენა ხარ...“

**მოლეშე || მოლეხიშე || მოლეხუშე || მოლეხგშე**

„გამოღმიდან“.

**მოლეშე** ქუდუმახე მარა ვაგეგონეს „გამოღმიდან დავუმახე, მაგრამ ვერ გაიგონეს“; **მელეხიშე** სი რექი დო **მოლეხიშე** მა საწყალი [გუდ., 63, 124, 1] „გაღმა შენა ხარ, გამოღმით მე...“

**(ო)წოხოლეშე || (ო)წოხგლეშე || (ო)წოხოშე ||**

**(ო)წოხოშე || (ო)წოხიშე || ოწოხგშე** „წინიდან“.

**წოხოლეშე** თურქეფი დო უკახალე მიზანეფი [ყიფშ., 342, 9] „წინიდან თურქეფი და უკან მიზანეფი“. **ოწოხლეშე** იდით „წინიდან გადით“; **ოწოხოშე** ქუმადირთ მანქანაქ „წინიდან მოადგა მანქანა“.

**უკოხოლეშე || უკოხლეშე || უკახალეშე || უკახლეშე || უკახშე || უკოხშე || უკოხოშე || უოხუშე** „უკნიდან“  
(შდრ. ლაზ. უკაჩხე)

**უკოხოლეშე** ქარი მობჯანუდუ „უკნიდან ქარი მაწვებოდა“; ასევა სი **უკახშე** ქემმანჯირია (ხუბ., 176, 21) „ეხლა შენ უკნიდან მომაწექიო“; **უკახშე** ხეს მოგოფორანქია (ხუბ., 176, 21) „უკნიდან ხელს მოგაფარებო“; **უკახშე...**  
#52#

**უკოხშე...** გამარტივებული ფორმებია გავრცობილი ზმნისართებისა (**უკახალეშე... უკოხოლეშე...**).

აქ და ზემოთ აღნიშნული ზმნისართების პარალელური ფორმები სხვადასხვა კილოკავშია გავრცელებული.

**დიკოხიშე || დიკოხუშე || დიკოხგშე** (შდრ. დიკე || დიკოხ(გ) „ქვევით“) „ქვევიდან“:

თეჟანს ხონარი გეგონგ **დიკოხგშე...** (ყიფშ., 235, 32) „ამ დროს ხმა გაიგონა ქვევიდან“.

**ელახზე** || **ელახზე** (შდრ. ელახზე/უ „აღმოსავლეთი“) „აღმოსავლეთიდან“ [ქაჯაია 2002, I, 549] „ზემოდან“:

მარა ვამიჩქ **ელახიზე** ჯიმა მუშენი მონდურუნი [სიჭ., 227] „მაგრამ არ ვიცი ზემოდან ძმა რატომ მემდურის“. მინ ირქენცე ზღვაპიჯიშე დო მინიშა – **ელახზე** (სამუშ., I, 70) „ხან ქრის სანაპიროდან, ზოგჯერ – აღმოსავლეთიდან“; ღიუ-ღაუქ ქოურაყუუ, **ელახზე** სგნთე მარე (სამუშ., I, 61) „რიჟრაჟმა მოატანა, ზემოდან სინათლე ადგას“.

**მინოხზე** „აქეთა მხრიდან“ (შდრ. მინოხ „აქეთ“) [ქაჯაია 2002, II, 281].

**კინოხიზე** ზმნისართი მხოლოდ დროით მნიშვნელობას გამოხატავს: „ძველიდან, ძველი დროიდან“ [ქაჯაია 2002, II, 146] (იხ. ქვემოთ).

**შორზე** || **შორიზე** „შორიდან“:

...**შორზე** ქომოძირია... (ხუბ., 166, 38) „შორიდან დამანახეო...“; სი **შორიზე** გილართე დო მა თაურე მოჯინუე... (გუდ., 63, 123, 5).

**ძგაზე** „კიდიდან“:

გვალო თი **ძგაზე** ვასხაპათ წყარშა „მთლად იმ კიდიდან ნუ გადახტებით წყალში“.

**ხოლოზე** „ახლოდან“:

სი **ხოლოზე** ვა გორწყექ (გუდ., 181, 190) „შენ ახლოდან ვერ გხედავ“.

ამ ფორმიდან შეიძლება იწარმოოს უფროობითი ხარისხის ზმნისართი **უხოლაშის** „უახლოეს“:

#53#

ვითოჟირი ვერსიში **უხოლაშის** მითინი ვე მიოთინანცია (ყიფშ., 261, 31) „თორმეტი ვერსის უახლოეს ვერვინ შეჰბედავსო მისვლას“.

**ბოლომე** „ბოლოდან“ (იხ. ზემოთ):

**ბოლომე** გერე, თი ბომის ქუდუმახით „ბოლოდან რომ დგას, იმ ბიქს დაუმახეთ“.

**დუდზე** „თავიდან, დასაწყისში“.

ხშირად ეს ორი ზმნისართული ფორმა (დუს, ბოლოს) ერთად გვხვდება ერთ შესიტყვებაში:

კაჟიქ ირფელი **დუდიზე ბოლომახ** ქეეჩუ (ყიფშ., 226, 14) „კაჟიმ ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოუყვა“.

**დუდიზე ბოლომა** დოხუ [ყიფშ., 247, 12] “თავიდან ბოლომდე დაშალა“. ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე „**დუდი დო ბოლომაქას**“.

**თუდოლეზე** დიკააჯინ (ხუბ., 59, 28) „ჩაიხედა ქვემოთკენ“: **ჟიმოლეზე** თქვა ზოჯუნთ, თუდოლეზე მა საწყალი (გუდ., 239, 42) „ზემოთკენ თქვენ ბრძანდებით, ქვემოდან მე საწყალი“: **თუდოლეზე** მუნაფილი, **ჟიმოლეზე** გოსარკილი (გუდ., 284, 401) „ქვემოთკენ მოღრუბლული, ზემოთკენ – მოწმენდილი“. ცუდეში კარი ართი **განიზე** იჯინე... (ხუბ., 262, 5) „სახლის კარი ერთი მხრისკენ იხედება...“; **მელეზე** მიდართ ბაღანამო „გაღმისკენ წავიდა ბავშვიანად“; წყარმა მირულენა **დიკობზე** „წყალზე გარბიან ქვემოთკენ“; **დინოხლეზე** მინმიტახანა დუსგ “შიგნიტკენ მირბიან („მიიმტვრევენ თავს“).

ბევრი ამგვარი მაგალითის მოყვანა შეიძლება. კონტექსტი ყოველთვის განსაზღვრავს, თუ რა მნიშვნელობით იქნება გამოყენებული დაშორებითი ბრუნვის ფორმა – მიმართულება საითკენ? თუ მიმართულება საიდან?

დაშორებითი ბრუნვის ფორმით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადმოიცემა ადგილ-მდებარეობა, სადაც მოქმედება ხდება (კითხვა სად?).

ხმოვანთავსართული ზმნისართების ოდენ სუფიქსიან

#54#

ფორმებს დაერთვის **-ზე** ბრუნვის ნიშანი, ამასთან ყოველთვის ადგილმდებარეობის ფუნქციით.

ათაქინეზე || ათაქნეზე || თაქენეზე || აქენეზე ||

აქინეზე „აქ“:

ათაქნეზე ძღაბი დო ბოში წორო რენა (ხუბ., 249, 29) „აქ გოგო და ბიჭი თანასწორად არიან“. თაქნეზე მუ გიპირებუნა ასე „აქ რას აპირებთ ახლა“; აქინეზე მუ ოკოდუ... (გუდ., 246, 98) „აქ რა უნდოდა...“

ეთექინეზე || ეთექნეზე || თექენეზე || თექინეზე ||  
ექგ(ი)ნეზე „იქ“:

ეთიქინეზე წყინარო გაჩენდი „მანდ წყნარად გაჩერდი“; თექინეზე მუმი მეზობელქ ქუმაჭიშუ „იქ თავისმა მეზობელმა მიუსწრო“; თექენეზე მიოტეს რაგადი „იქ მიატოვეს ლაპარაკი“.

დაშორებითი ბრუნვის ფორმას თავის მხრივ შეიძლება დაერთოს მიცემითი ბრუნვის ნიშანი (მნიშვნელობა არ იცვლება).

ეიაკინგ თაქენეშის დო ოსური ქემიციონგ (ხუბ., 173, 25) „ადგა და ცოლი მოიყვანა აქ“; აქინეშის ნდიეფი გილულა (ყიფშ., 57, 26) „აქ დევები დადიან“; ათაქინეშესგ იციი დიდი ამბე [ქაჯაია 2002, I, 166] „აქ იქნება დიდი ამბავი...“

ლაზურში შესაბამის შინაარსს გადმოგვცემს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი ხმოვანთავსართული ზმნისართები:

აქონაში || აქონაი „აქ“ (შდრ. მეგრ. თაქნეზე „აქ“):  
აქონაში... წკაი ქოფშვადა (კარტ., III, 110, 21) „აქ წყალი უნდა დავლიო“; ხოჯა სი მოშენი აქონაში ხედა? (კარტ. III, 149, 10) „ხოჯა, შენ აქ რატომ ზიხარო?“; აქონაი კოჩალეფე ენან... (კარტ., IV, 312, 10) „აქ კაცები არიან“.

ექონაში || ექონაი „იქ“ (შდრ. მეგრ. თექნეზე „იქ“).  
აწ ექონაში იმგარს (ასათ., 103, 56, 24) „ახლა იქ ტირის“; ექონაში კამიში ქეხთეტუ (კარტ. III, 31, 24) „იქ #55# მცენარე ამოსულიყო“; ვარ დოდგინეს ექონაი (კარტ. IV, 313, 12) „არ დააყენეს იქ...“

ამავე მნიშვნელობით გვხვდება, აგრეთვე, -თონ ელემენტით გაფორმებული ზმნისართებიც:



**ჰაქთონ „აქ“:**

**ჰაქთონ** მოდონამან... [კარტ. III, 122] „აქ მოგიყვანენ...“

**ჰექთონ „იქ“:**

არ არის გამორიცხული, რომ **-თონ**-ში ადგილის მაჩვენებელი **-ონ** სუფიქსი გამოიყოფოდეს.

ჰაწი ახმედიქ **ჰექთონ** მუჭო ემახთას (კარტ. IV, 121, 37).

„ახლა ახმედი იქ როგორ ავიდეს“; **ჰექთონ** გუიქთოუ (კარტ. IV, 121, 34) „...იქ გაბრუნდა“.

**იქილეშე, იქილეშეს** „ცოტა იქით“ [ქაჯაია 2002. II, 93]:

**იქილეშე** ქიგედირთე „ცოტა იქით დადექი“; **იქილეშეს** მუს რე გერაგადანთე „იქ(ით) რას ლაპარაკობთ“.

**აქილეშე, აქილეშეს** „ცოტა აქეთ“:

**აქილეშე** მაკინით „ცოტა აქეთ მოიწიეთ“; **აქილეშეს** მუთუნს ვაგუაჩერინექ „ცოტა აქეთ ვერაფერი შემაჩერებს“.

**ამარ(ი)ნეშე || ამარ(ი)ნეშეს** „აქ“, „აგერ“; გვხვდება

აგრეთვე: **ამარეშე / ამარეშეს** [ქაჯაია 2001. I, 554].

ჟირი გომოკვანწილი რუსეფი **ამარინეშე** ქუმუულა (გულ., 271, 375) „ორი გამოწვეპილი რუსი აგერ მოდის“; **ამარნეშის** გერდუ დო ინგარდუ „აგერ (აი აქ) იდგა და ტიროდა“.

**ემერ(ი)ნეშე, ემერინეშეს** „იქ“, „ეგერ“:

**ემერინეშე** გეძუ „ეგერ დევს“: **ემერნეშის** მეურს დო გაჩერი ავა „ეგერ მიდის და გააჩერე ერთი“.

პირველადი ზმნისართეზიკ დასტურდება ადგილ-მდე-ბარეობის აღნიშვნის ფუნქციით **-შე** ბრუნვის ნიშნის დართვის შემთხვევები.

ზუგდიდურ-სამურზაყანულში **ჟი** ფორმის პარალელურად გამოიყენება **ჟიშე** – ადგილმდებარეობის ფუნქციით #56#

მაშინ, როდესაც სენაკურში გამოყენებულია **ჟიდო || ჟი**

„ზევით“. ე. ი. მეგრულში გვაქვს პარალელური ფორმები:

ჟი || ჟიშე || ჟილო „ზევით, ზემოთ“:

ჟიშე ოკკომალს ჭკომუნს „ზემოთ საჭმელს ჭამს“; ჟიშე მუდგარენ გილურს „ზემოთ რაღაც დადის“; მურაბას ჟიშე ფოკვა ქუმნოდვალ „მურაბას ზემოთ ობი მოჰკიდებია“ (იხ. ზემოთ).

ადგილმდებარეობის ფუნქციით გვხვდება, აგრეთვე, სხვა დაშორებითის ნიშნიანი ზმნისართებიც.

ჟიმოლეშე კოჩი მუკორე „ზემო მხარეს (ზემოთ) კაცი დგას“; არძო ჟილეშე რენა „ყველანი ზემოთ არიან“; თუდოშე გერენა ბაღანეფი „ქვემოთ ბავშვები დგანან“ და სხვ.

ვფიქრობთ ამ ფაქტს გულისხმობდა ა. კიზირია, როცა წერდა: გალეშე, უკახალეშე... ზმნისართებში გაქვავებული დაშორებითი ბრუნვაა -შე ნიშნით (ხოლოშა გაქვავებული მიმართულებითია -შა ნიშნით) [კიზირია 1982, 235]. ამ ფაქტის მყარ არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ორმაგი -შე ნიშნიანი ბრუნვის ფორმებიც:

ჟიშეშე, ჟიმოლეშეშე, თუდოშეშე..., რომლებიც ძალიან ხშირად ისმის ზეპირ მეტყველებაში.

ჟიმოლეშეშე იგივეა რაც ჟიმოლეშე [ქაჯაია 2002, II, 500] „ზემოდან, ზემო მხრიდან“. ამის პარალელურად დასტურდება ჟიმოლეშეს, თუდოლეშეს, დინოხლეშეს || დინოხეშეს, უკოხლეშეს და სხვ. (მიცემითი ბრუნვის ფორმითაც იმავე მნიშვნელობით). რადგან ენამ მეორე დაშორებითი ბრუნვის ნიშანი მოითხოვა, პირველი ბრუნვის ნიშანი წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა, რასაც თ. უთურგაიძის თვალსაზრისი ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისის შესაბამისად, „თუ სახელის ფორმაში წარმოდგენილი იქნება... ორი სეგმენტი, რომლებიც მორფოლოგიურ სისტემაში ბრუნვის ნიშნის ფუნქციით იყვნენ წარმოდგენილი, ფუძესთან უახლოესი წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა“ [უთურგაიძე 1986, 120, 121].

#57#

შევნიშნავთ, რომ ხმოვანთავსართული ზმნისართების -შე ნიშნიანი ფორმებიც ხომ ადგილმდებარეობის ფუნქციითაა წარმოდგენილი (იხ. ზემოთ), რის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც ყოფილა გამოთქმული გარკვე-

ული მოსაზრება: ადგილისა და სინტაქსურად შესაბამისი გარემოების გამოხატვის ფუნქციით -შე სუფიქსი ხშირად დაერთვის წარმოშობით ნაცვალსახელოურ და სხვა სახის ზმნისართებს (როგორც სიტყვაწარმოებითი ელემენტი), მაგრამ აქ ის არ გამოხატავს დაშორებას ან მიმართულებას (უპასუხებს კითხვაზე: სად?). ამ რთული აგებულების ზმნისართების მოვალეობას ქართულში ასრულებს მარტივი ზმნისართები: აქ, იქ... და მისთ. [ლომთაძე 1987, 97].

ლაზურში, როგორც ზემოთ იყო მითითებული, დაშორებით ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი ზმნისართი მხოლოდ ერთი მნიშვნელობით გვხვდება (კითხვა საიდან?).

**ჟინშენ || ჟილეშენ || ჟინდოლეშენ „ზემოდან“:**

ბოზოქ ჟინშენ დუჯოხუ (კარტ. IV, 136, 23) „გოგომ ზემოდან დაუძახა“; ...**ჟინდოლეშენ** ქომძირარე ოხთიმონი ჩქიმია (ჟლ., 98, 19) „ზემოდან ჩემს გასაქცევს ვნახავო...“

**ჟილეშენ** ნა პალო ნა ასთოლას... (კარტ. IV, 75, 18) „ზემოდან ჯოხი რომ ისროლეს...“

**თუდენშენ | თუდელეშე „ქვემოდან“:**

ბოზოქ ჟინშენ იბირს, ბიჭიქ – **თუდენშენ** (კარტ., IV) „გოგო ზემოდან მდერის, ბიჭი – ქვემოდან“; **თუდელეშე** კოჩ გოლოლიტუ, იმ კოჩიქ უწიუ... (ჟლ., 97, 7) „ქვემოდან კაცი რომ მოვიდა, იმან უთხრა...“.

**დოლოხეშენ „შიგნიდან“:**

ახმედიქ **დოლოხეშენ** სესი მეჩუ... (კარტ., IV, 122, 26) „ახმედიმ შიგნიდან ხმა მისცა“.

**გალეშე „გარედან“:**

ჰამ კოჩის **გალეშე** ოხთიმუ უნტუ... [კარტ., III, 198, 18] „...ამ კაცს გარეთ გასვლა უნდა“.

**მელეშენ „გალმით“:**

#58#

ღნოსი დო ისთერაჭიქ **მელეშენ** ქომოკიწკედეს... (ჟლ., 17, 35) „ბედი და იღბალი გალმიდან იყურებოდნენ...“

**წობლემენ „წინ“:**

მელი **წობლემენ** იდუ... (კარტ., III, 10, 30) „მელა ადრე წავიდა...“ (იხ. ქვემოთ). **წობლემენ** ლიმანის ქონოდ-გითუ (კარტ., IV, 24, 3) „წინიდან ლიმანში ჩადგა“.

**მენდრაშენ || მენდრალემენ || მენდრაშენდონ** „შორიდან“

...მა **მენდრაშენ** ბიჩინი (კარტ., IV, 96, 35) „მე შორიდან ვიცანი“; ...ჭარეი დიკითხეს **მენდრალემენ** (კარტ., IV, 142, 5) „...დაწერილი წაიკითხეს შორიდან“.

**ზოგჯერ** იკარგება ბრუნვის ნიშნისეული -შ:

**თუდენ** ხოჯაქ: „ჰომ, ჰი, და“ – მეგერ (კარტ., IV, 307, 10) „ქვემოდან ხოჯამ – ჰიშ-ჰიშ-ო თურმე“.

პირველადი ზმნისართები ლაზურში დაირთავენ -**კე-ლე** (კალა || -კალე) თანდებულსაც. მაგ.,

შალაპიშ ოხოის **ჟილენდოკელეში** რენან (ყდ., 19, 28) „შალაპის ხუსეინის სახლის ზემო მხარეს არიან“; ჰე კოჩიში ოხორჯა ქოგამახთუ... დო **წალენდოკელეში** ქოგელაკოდუ (ყდ., 35, 35) „ამ კაცის ცოლი ჩამოვიდა... და ქვემოთკენ ააშენა“. **თუდენკალე** ტობაშე ქეწუდუ... (კარტ., IV, 225, 8) „...ქვემოდან მალულად დაუდო“.

ადგილის ზმნისართის მნიშვნელობით გამოიყენება თანდებულიანი სიტყვაც:

**ირიკალე** „ყველგან“ (შდრ. ირი „ყოველი“):

ლაზეფე თურქიეში **ირიკალე** ქონან (კარტ., IV, 211, 9) „ლაზები თურქეთში ყველგან არიან“ (შდრ. მეგრ. **ირდიხას** „ყველგან“, „ყველა ადგილას“).

არის მოსაზრება, რომ ადგილის ზმნისართი (ასევე დროისაც) უთანდებულოდაც ფორმდება ნათესაობით ბრუნვაში. ამ შემთხვევაში ამ ბრუნვის ფორმიანი სიტყვა („ხოლოში“) „სახელური ბრუნების პარადიგმაში ერთვება“ [გაბუნია #59#

1993, 93]. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევებში (**ხოლოში** „ახლო“, **შორიში** „შორისი“, **შქაში** „შუასი“...) -შ სათანადო

ზედსართავ სახელებს (შქა, შორი, შქა...) დაერთვის.

დაშორებითი ბრუნვის ნიშანი ლაზურში, მეგრულისაგან განსხვავებით, დაერთვის როგორც სუფიქსიან ფორმებს, ასევე ძირეულებსაც:

**ჰაქშენ** გებდგითით, ათინაშე მენდაბთით... (კარტ., IV, 101) „აქედან ავდექით, ათინაში წავედით... ჰეა იმტას **ჰექშენ-დონ** (კარტ., IV, 98, 2) „ის გაიქცესო, იქიდან“.

**ჰეკოლემენ** ...იმტუ (კარტ. III, 186, 13) „იქიდან... გაიქცა“; სი **ჰეკოლემენ** იგზალიდა (კარტ., III, 176, 34) „შენ აქედან წადიო...“; ბიჭი ქოგამახთუ **ჰეკოლემენ** (კარტ., III, 177, 8) „ბიჭი ჩამოვიდა იქიდან“.

მეგრულში ძირეული ადგილის ზმნისართები მხოლოდ **მიმართულებითი ბრუნვის** ნიშნით გვხვდება:

**თაქიშა** || **თაქშა**... „აქამდე“; **თექიშა** || **თექშა**... „იქამდე“.

ზუგდიდურ-სამურზაყანულში იკარგება -ქ თანხმოვანი [ციკოლია 1954, 22] და გვაქვს შემდეგი სახით:

**თაიშა** || **თაშა** || **აიშა** || **აშა**; **თეიშა** || **თეშა** || **ეშა** || **ეიშა**. მიმართულებითის ფორმას, როგორც მოსალოდნელი იყო, შეიძლება დაერთოს -ხ სუფიქსი:

თაქიშახ(გ) || თაშახ || თაიშახ(გ) || აიშახ;

თექიშახ(გ) || თეშახ || თეიშახ(გ) || ეიშახ;

დასტურდება **თეშახი** | **თეშახუ** სახითაც; იგივეა რაც თექიშახ, თექიშახუ [ქაჯაია 2002, II, 44]

მუ ღირე **თეიშახე**? [ყიფშ., 206, 16] „რა ღირს იქამდე? თეშახუ ქიმერთუ დო თექ ქუდაჭყე ღურა „იქამდე მივიდა და იქ დაიწყო სიკვდილი („კვდომა“); **თექიშახ** სო მიშუ? „იქამდე სად მიდიოდა?“ ოწურუ შარა, სიდე ირემ გეძულუ **თეიშა** (ხუბ., 185, 34) „გზა მიასწავლა, სადაც ირემი იწვა („იდო“) იქამდე“. ...ქაგოთანსე ...**თეიშახე**, სო-იშახეთი ...ტყვიას მიართენი (ყიფშ., 252, 23) „...ისვრის იქამდე..., სანამდეც... ტყვია მიაღწევს“.

#60#

**ხ**-ს შესახებ ი. ყიფშიძე მიუთითებდა, რომ იგი მიმართულებით ბრუნვას დაერთვის და გამოყოფდა **ხ** || **ხე** || **ხი**

ვარიანტებს [ყიფშიძე 1994, 174]. ამავე მნიშვნელობით ჭანურში ნ. მარს შენიშნული ჰქონდა **ხ** | **ხა** მიმართულებითი ბრუნვის ფორმასთან [Mapp 1910, 36].

ტ. გუდავამ ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით აღნიშნა, რომ **ხ** თანდებული ზანურში უდრის ქართულ **-მდეს**, აფხაზურ **ხ** „-კენ“-ს. ამ მნიშვნელობით **ხ** ზანურშიც გვხვდება. ზმნისართებში დადასტურებული **-ხ** ელემენტიც ამავე წარმომავლობისა ჩანსო [გუდავა 1947, 188-189].

არის ვარაუდი, რომ ეს **-ხ** არის **ხოლო** ნაწილაკის ნაშთი [შეროზია 1999, 178].

მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი მეგრულის პირველადი ზმნისართებისთვის არაბუნებრივია. ის ერთვის მხოლოდ მიცემით ბრუნვაში გაქვავებულ ზმნისართებს:

**ხოლოშა(ხგ)** „ახლოს“:

ქიმერტ ღურელიშ ხოლოშა (ყიფშ., 290, 20) „მიდი მიცვალელების ახლოს“; **ხოლოშახგ** მივანჭით... ახლოს მივიწიეთ“ (ზედმიწ. „ახლომდე“).

**შორ(ი)შა** || **შორშახგ** „შორს“:

გვალო **შორშახგ** ვედათ „მთლად შორს ნუ წახვალთ“. უმოსი **შორიშა** იდუ ოჯინუშა (ყიფშ., 261, 81) „უფრო შორს წავიდა საყურებლად“.

**შქაშახ(გ)** „შუამდე“:

ხამუ **შქაშა** დაალუ „დანა შუამდე გაუყარა“.

**ძგაშახ(გ)** „კიდემდე“:

გეკონჩურ **ძგაშა** (ყიფშ., 307, 27) „გამოცურა ნაპირზე“.

ლაზურში მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი ერთვის პირველად ზმნისართებს, მეგრულისგან განსხვავებით: მაგ.,

**ჟინშა** „ზემოთ“ (ზედმიწ. „ზემომდე“):

თუდენდონ **ჟინშა** გდაი იგიბენია? (კარტ., 146, 25)  
„ქვემოდან ზემოთ საჭმელი კეთდება?“

**ჟილემა „ზემოთ“:**

#61#

ქელუკათე **ჟილემა** ქილმურს (ასათ., 163, 328) „ნავით ზევით ამოიღებს“.

**გალემა „გარეთ“:**

გამახთუ **გალემა** (ჟღ., 99, 10) „გავიდა გარეთ(ამდე)“.

**წალემა... „ქვემოთ“:**

ქოგეხთეს **წალემა...** (კარტ., III, 157, 23) „ჩავიდნენ ქვემოთ (,ქვემოთამდე“).

**წოხლემა „ადრე“ (იხ. ქვემოთ):**

...ემუში ფარა **წოხლემა** ქომეჩია (კარტ., IV, 82, 13) „თავისი ფული ადრე მიეციო“.

### **§ 3. კომპოზიციით მიღებული ადგილის ზმნი-**

**სართები.** ადგილის ზმნისართთა საწარმოებლად აფიქსაციასთან ერთად გამოიყენება კომპოზიციაც, რომელიც გავრცელებულია მეგრულ-ლაზურის ზმნისართთა სხვა ჯგუფებშიც [ყიფშიძე 1994, 183; თოფურია 1979, 122-125; სანიკიძე 1977, 48-51; გაბუნია 1993, 68].

უპირველეს საშუალებად ადგილის ზმნისართთა მისაღებად წარმოგვიდგება რედუპლიკაცია; მეგრულ-ლაზურში შეიძლება გაორკეცდეს ამ ჯგუფის ყველა ზმნისართი.

მეგრულში გვხვდება ფუძეგაორკეცებული ზმნისართები, რომლებშიც ფუძე უცვლელად არის განმეორებული (ე. წ. მარტივი გაორკეცება).

### **ვიშო-ვიშო | იშო-იშო | იშ-იშ (შდრ. (ვ)იშო**

(,იქით“) „იქით-იქით“:

...ე ძღაბი ირო **ვიშო-ვიშო** ქიმურც (ყიფშ., 296, 12) „...ეს გოგო ყოველთვის იქით-იქით მიდის“; კოჩი მეპუნს, იძახია, დო იდია **იშო-იშო** (ხუბ., 197, 7) „კაცი მიმყავს, იძახეო, და თან წინ-წინ (,იქით-იქით“) იარეო“. **იშ-იშ** ვედათ გვალო „იქით-იქით (,სიღრმეში“) არ წახვიდეთ მთლად“.

**მიკი-მიკი | მკკ-მკკი | მიკვ-მიკვ** (შდრ. მიკი „იქით“) „იქით-იქით, ირგვლივ“.

#62#

ათეს ქგუქუნეს **მკკ-მკკი** მაღალი მასარეფი (ხუბ., 102, 20) „ამას ირგვლივ მაღალი ძელები შემოავლეს“. **გილ** ირ დიხაშა **მიკ-მიკი** [ხუბ., 11, 20] „ქვეყანაზე შენ დადიხარ ირგვლივ“.

**აკი-აკი | აკვ-აკვ** (შდრ. აკი „აღმა“) „აღმა-აღმა“:

მიდართე **აკი-აკი** წყარპიჯითგ... [ყიფშ., 286, 15] „წავიდა აღმა-აღმა წყლისპირით...“ **აკვ-აკვ** ქაქუნუქუ ათე გვალასგ, ირ ნაბიჯის ჩანს კარაკუჩხა „ამ მთას აღმა-აღმა რომ აუყვები, ყოველ ნაბიჯზე ხარობს ენძელა“.

**ჟი-ჟი** (შდრ. ჟი „ზემოთ“) „ზევით-ზევით“:

**ჟი-ჟი** გილაფურინუნს... „ზევით-ზევით დაფრინავს“;  
**ჟი-ჟი** ელასხაპანს „ზემოთ-ზემოთ ახტება“ („შეახტება ხოლმე“).

**თუდო-თუდო** (შდრ. თუდო „ქვემოთ“, „ქვევით“)

„ქვევით-ქვევით“:

ე ბოშიქ მიდაჩოჩე **თუდო-თუდო**... (ყიფშ., 269, 18)  
„ამ ბიჭმა ქვევით-ქვევით ჩოჩვა დაიწყო“.

**ეშე-ეშე | იშე-იშე** (შდრ. ეშე | იშე „ზევით“) „ზევით-ზევით“:

შურ მეურს **ეშე-ეშე** „სული მიმდის ზევით-ზევით“;  
თუმაქ **იშე-იშე** მიდართ „თმა ზევით-ზევით წამივიდა“; მეულა **ეშე-ეშე** თე ქუაში მანგო ფურინით (ხუბ., 62, 19) „მიდიან მაღლა-მაღლა ამ ქვის გასწვრივ ფრენით“.

**აშო-აშო | აშ-აშ** (შდრ. აშო „აქეთ“) „აქეთ-აქეთ“:

ზარბაზანიში მკვმარენჯი კოჩი გოცოთანს... **აშო-აშო** (ხუბ., 36, 35) „ზარბაზანთან მდგომი კაცი... გესვრის აქეთ-აქეთ“; **აშ-აშ** ანწი ვარე ოშკურანჯი „აქეთ-აქეთ აწი საშიში არ არის“.



დასახელებულთა გარდა მეგრულში გვხვდება მარტივი გაორკეცების შემდეგი ზმნისართები: **მელე-მელე** „გაღმა-გაღმა“, **მოლე-მოლე** „გამოღმა-გამოღმა“; **დინახლე-დინახლე** || **დინი-დინი** „შიგნით-შიგნით“; **გალე-გალე** „გარე-გარე“; **გიმე-გიმე** „ქვევით-ქვევით“, **უკახლე-უკახლე** „უკან-უკან“; **წიმი-წიმი** || **წგმი-წგმი** „წინ-წინ“; **კინი-კინი** „უკან-უკან“

#63#

(შდრ. კინი-კინი „ისევ-ისევ, კვლავ-კვლავ“); **ჟიდო-ჟიდო** „ზევით-ზევით“; **(ა)თაქ(ი)-(ა)თაქ(ი)** || **აქი-აქი** || **აქ-აქ(ი)** „აქ-აქ“; **(ე)თექ(ი)-(ე)თექ(ი)** || **ექ(ი)-ექ(ი)** „იქ-იქ“; **აქილე-აქილე** || **აქლე-აქლე** „აქეთ-აქეთ“. **იქილე-იქილე** || **იქლე-იქლე** „ცოტა იქით-იქით“.

ფუძეგაორკეცებით მიღებული ზმნისართის ორივე კომპონენტი წმინდა ფუძეს წარმოადგენს, მთლიანად წარმოებას კი ზმნისართულ მნიშვნელობას მიცემითი ბრუნვის ნიშანი სძენს:

**ხოლო-ხოლოს** (შდრ. ხოლო „ახლოს“) „ახლო-ახლოს“: ქეგოლიებზე **ხოლო-ხოლოს** ...ჯალეფი (ყიფშ., 290, 15). „ირგვლივ („ახლო-ახლოს“) ხეები... შემოლევია“; **ხოლო-ხოლოს** გილაფურიანანს ჯალენს... (ხუბ., 211, 27) „ახლო-ახლოს აფრინდება ხეებს...“

ამგვარადვე იწარმოება სხვა ზმნისართებიც:

**შქა-შქას** „შუა-შუა“; **ძგა-ძგას** „კიდე-კიდე“; **შორ-შორს** „შორ-შორ(ს)“.

ლაზურისთვისაც ბუნებრივი ჩანს მარტივი გაორკეცება:

**ჟინ-ჟინ** (შდრ. ჟი || ჟინ „ზევით“, „ზემოთ“) „ზევით-ზევით“: **ჟინ-ჟინ** ოფუთხუს ქოგდოჰკუ (კარტ., III, 179, 4) „ზევით-ზევით ფრენა დაიწყო...“ **ჟინ-ჟინ** გოხთი... (ჟღ., 167, 28) „ზევით-ზევით ადი...“.

**აშო-აშო** || **ჰაშო-ჰაშო** (შდრ. (ჰ)აშო „აქეთ“) „აქეთ-აქეთ“:

**აშო-აშო** კალე რენდა... (კარტ., IV, 7, 4) „აქეთ-აქეთ მონასტერი არისო...“.

**ჰექოლე-ჰექოლე** „იქით-იქით“:  
**ჰექოლე-ჰექოლე** იგზალუ (ჩიქ., II, 36, 20) „იქით-  
იქით წავიდა...“

**წალე-წალე** (შდრ. წალე „ქვევით“) „ქვევით-ქვევით“:  
ენტეფე **წალე-წალე** ონტულეფემ ჯოხო (ასათ., 131,  
81, 15) „ესენი ქვევით-ქვევით მოსენების სახელი...“ აქოლენ  
**წალე-წალე** ვულეთ... (ჩიქ., I, 115, 21) „აქედან ქვევით-ქვევით  
წავალთ...“

#64#

**გალე-გალე** (შდრ. გალე „გარეთ“) „გარე(თ)-გა-  
რე(თ)“:  
...**გალე-გალე** გოვულურ... (კარტ., IV, 9, 13) „გარე-  
გარე ვუვლი...“; ბირთუმ **გალე-გალე** გუიტენ.. (კარტ., 59, 8)  
„...ყოველთვის გარეთ-გარეთ დადის...“

**წოხლე-წოხლე** (შდრ. წოხლე „წინ“) „წინ-წინ“ (იხ.  
ქვემოთ):  
...თილქი **წოხლე-წოხლე** ნიტუ (ჩიქ., I, 44, 5) „მელა  
წინ გაიქცა“; ...ემუქ **წოხლე-წოხლე** გზა მიხვენეს... (ჩიქ., I,  
96, 33) „მან წინ-წინ გზა გაგვიკვლია...“

**მენდრა-მენდრა** (შდრ. მენდრა „შორს“) „შორ-შორს“:  
ა სეის **მენდრა-მენდრა** ჭუჭუტი დაჩხური ძირომან  
[კარტ., 189, 29] „ერთ ღამეს შორ-შორს პატარა ცეცხლი ნახეს“.

**ენი-ენი** (შდრ. ენი „ახლოს“) „ახლო-ახლო“:  
ჰუს **ენი-ენი** ოხორეფე დიუ (კარტ., IV, 193, 11)  
„მაშინ ახლო-ახლოს სახლები გამოჩნდა“.

**ბაზი-ბაზი** (შდრ. ბზი) „შიგადაშიგ“:  
**ბაზი-ბაზი** გამქართული ეენ (ასათ., 41, 8) „შიგადა-  
შიგ სხვანაირი არის“; **ბაზი-ბაზი** ოხორი ოკოხვერი ქოდგინ  
(ყიფშ., I, 2, 2) „შიგნით სახლი დანგრეული დგას“.

**გერი-გერი** || **გეი-გეი** „უკან-უკან“:

...ოგინე ვა მაშქვენან, **გერი-გერი** ულუნ (კარტ., IV, 160, 14) „წინ არ გაუშვიათ, უკან-უკან წასულან“; ...**გეი-გეი** ქომულან... (კარტ., III, 20, 25) „უკან-უკან მიდიოდა თურმე“.

მეგრულში რედუპლიკაციის შედეგად მიიღება დროის ზმნისართები, რომლებსაც ერთდროულად გააჩნია დროული და სივრცითი მნიშვნელობები; ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ დროის ზმნისართის მნიშვნელობით გამოყენებული ფორმები.

**ამარი-ამარი** (შდრ. **ამარი** „აქ“, „აგერ“) „საცაა, აგერ-აგერ“:

ქომიციის არძაქ ართო **ამარ-ამარ** გოვნიქილენა... (გულ., 195, 295, 16) „დამესია ყველა ერთად საცაა გამგლე-ჯენ...“; **ამარი-ამარი** ბოში ორჯგინანც ნდემც... (ყიფშ., 265, 1) #65#

საცაა, („აგერ-აგერ“) ბიჭი აჯობებს დევს“; ...ეფერს ქიძანძუ პარახოდი, ნამდდა **ამარამარ** ოკო დინწყვას (ხუბ., 86, 4) „ისე ირწევა ნავი, რომ სადაცაა უნდა ჩაიძიროს“.

**ვიშო-ვიშო** || **იშო-იშო** (შდრ. (ვ)იშო „იქით“) „მერე-მერე, შემდეგ-შემდეგ, მომავალში“:

ბოლოს ათეს მიაყუნუ **იშო-იშო** დო კოჩო გიშწლგ [ხუბ.] „ბოლოს ამას მიყვა მერე-მერეც და კაცი დადგა“. ბოში **ვიშო-ვიშო** ძინულენს... [ყიფშ., 174, 8] „ბიჭი სულ მატულობს“.

**წოხოლე-წოხოლე** || **წოხლე-წოხლე** (შდრ. წოხლე „წინ“) „წინათ, უწინ-უწინ, ძველად...“ (იხ. ქვემოთ):

**წოხოლე-წოხოლე** ირ ქირსეს გილეშეს ალილოშ მახირეფი „წინათ („წინ-უწინ“) ყოველ შობას დადიოდნენ ალილოს სამღერად“; **წოხლე-წოხლე** ხშირასგ რდგ ართ მა-ქიაშა გილულა „წინათ ხშირი იყო ერთმანეთში მიმოსვლა“.

გაორკეცებით მიიღება ვითარების ზმნისართები:

**ექი-ექი** (შდრ. (თ)ექ(ი) „იქ“) „აქა-იქ“ [სანიკიძე 1977, 51], „ცალ-ცალკე“:

ბადე მუკომიდგი მარა, **ექი-ექი** გოგიფაჩი... (გულ., 173, 252, 10) „ბადე დაგიგე გარშემო, მაგრამ აქა-იქ გაგიშა-

ლე...“; რაშიში კუდელიც ქკაკვრე დო ექი-ექი ქიმკასოფუ [ყიფშ., 266, 5] „რაშის კუდზე გამოაბა და ნაწილ-ნაწილ მიახეთქა“.

**მინი-მინი** (შდრ. მინი || მინე – „იქით“) პარალელურად გამოიყენება **მუნი-მუნი** („იქით, შიგნით“), **მონი-მონი** „თავდაყირა“:

**მინი-მინი** გამნართინუ ცუდე „თავდაყირა გადმოაბრუნა სახლი“; **მუნი-მუნი** ქუდახუ ირფელი „თავდაყირა დააქცია ყველაფერი...“.

ლაზურშიც რედუპლიკაციის შედეგად იცვლება მნიშვნელობა:

**(ჰ)აშო-(ჰ)აშო** (შდრ. (ჰ)აშო „აქეთ“) „ასე-ასე“:

**აშო-აშო** იზმოჯე ბძირი (კარტ., III, 29, 12) „...ასე-ასე სიზმარი ვნახე...“

#66#

**ემო-ემო** (შდრ. (ჰ)ემო „იქით“) „ისე-ისე“:

**ემო-ემო** იმხორტეს... (ჩიქ., I, 22, 15) „ისე-ისე ჭამდნენ...“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი ზმნისართი უფრო ხშირად მეორე ფუნქციით (ვითარებითის) არის გამოყენებული. კომპოზიტური ფორმით კი წინადადებაში მუდამ ვითარებითის მნიშვნელობის მატარებელია.

**გიდე-გიდე** (შდრ. გერიდე-გერიდე || გეიდე-გეიდე || გერი-გერი) „უკან-უკან“ („თანდათან“):

**გიდე-გიდე** ნენაფე ქომოგნძინუ... (ასათ., 163, 365) „თანდათან სიტყვები მოგემატა...“.

ამავე ძირისაგან არის ნაწარმოები კომპოზიტი, რომლის პირველი კომპონენტი, ვფიქრობთ, მიცემით ბრუნვაშია:

**გერისიგეი || გეისიგეი** (შდრ. გერი „უკან“) „ისევ უკან“ (შდრ. მეგრ. **გეწ-გეწ(ი)** (გეწიშგეწი) „ზედიზედ“):

ბიჭი **გერისიგეი** ხაფისიშა ქომოჩქვეს (კარტ., III, 29, 14) „ბიჭი ისევ უკან გამოაგზავნეს ხაფისში“; ბეე **გეისიგეი** ქომოხთუ ოხოიშა (კარტ., IV, 109, 8) „ბავშვი ისევ უკან მო-

ვიდა სახლში“; **გეისიგეი** გომქვათეა... (კარტ., IV, 123, 12)  
„ისევ უკან გაგიშვებთო...“; **გეისიგეი** ქეშახთუ (ასათ., 16,  
54, 27) „ისევ უკან ამოვიდა“.

ადგილის ზმნისართთა მნიშვნელობით გვხვდება სახე-  
ლის გაორკეცებით მიღებული სიტყვები:

**შარა-შარას** (შდრ. შარა „გზა“) „გზა-გზა“:

**შარა-შარას** ჭე ჟინი ქანიიფვილუ (ყიფმ., 261, 33)  
„გზადაგზა ცოტა ჟინი მოიკლა“.

**ტყა-ტყას** (შდრ. ტყა „ტყე“) „ტყე-ტყე“:

თოჭუქ ჯა ვა მოტახ დო **ტყა-ტყას** გოტახენს (ხუბ.,  
293, 27) „ბრმამ ხე ვერ მოტეხა და ტყე-ტყეს ტეხს“.

**ღალგ-ღალგს** (შდრ. ღალგ/ი „ღელე“) „ღელე-ღელე“:

**ღალგ-ღალგს** გილურს დო ჩხომს ჭოფუნს „ღელე-ღელე  
დადის და თევზს იჭერს“. და მრ. სხვ.

ლაზურში კომპონენტის ორივე წევრი სახელობით  
ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:  
#67#

**დალი-დალი** (შდრ. დალი – „ტყე“) „ტყე-ტყე“:

აწიჭკუულე გოულე **დალი-დალი**... (კარტ., IV, 230, 15)  
„ამიერიდან ვივლი ტყე-ტყე“.

**ღალი-ღალი** (შდრ. ღალი „ღელე“) „ღელე-ღელე“:

ჰა კოჩიქ უშქური ეზდუ დო **ღალი-ღალი** დიდო  
ამაფონუ (ჟდ., 34, 1) „ამ კაცმა ვაშლი დაკრიფა და ღელე-  
ღელე ძლივს ამოიტანა“. **ღალი-ღალი** ბოზოფე ენ ფახალი  
[კარტ., IV, 239, 4, 6].

**დერე-დერე** (შდრ. დერე „კლდე“) „კლდე-კლდე“:

**დერე-დერე** იდუ... (კარტ., IV, 95, 9) „კლდე-კლდე  
წავიდა...“

**დუზი-დუზი** (შდრ. დუზი) „ბაღნარ-ბაღნარ“:

...**დუზი-დუზი** ბოზოფე ენ უჯუზი [კარტ., IV, 239, 4]  
„ბაღნარ-ბაღნარ გოგონები იაფია“.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ რედუპლიკაციისას კომპონენტთა შეერთება მეგრულ-ლაზურში უკავშიროს [თოფურია 1959, 296; სანიკიძე 1979, 48; არონია 2002, 50], შევნიშნავთ, რომ **დო** კავშირით შეერთებული ზმნისართები და სახელები (ზმნისართის ფუნქციით) არაიშვიათად გვხვდება.

**ჟიდოჟი** „ზევით-ზევით“:

**ჟიდოჟი** ქოფურინ ჭიმკარს (ხუბ., 102, 35) „ჭიმკარს ზევით-ზევით გადააფრინდა...“. მიდართ რაშიქ **ჟიდოჟი** (ყიფშ., 301, 24) „რაში ზევით-ზევით წავიდა“.

**გა-დო-გას** „სერ და სერ“; „მთა და მთა“:

**გა-დო-გას** გივოსხაპი დო გინიფჩილითეი (ყიფშ., 22)  
„სერ და სერ გადავხტი და ავიცდინე“.

**ძგა-დო-ძგას** „კიდე-კიდე“:

**ძგა-დო-ძგას** გილართე ოკო „კიდე-კიდე უნდა იარო“;  
კოჩი გინორე **ძგა დო ძგასგ** (სამუშ., III, 31, 22, 1) „...კიდეებზე კაცი დგას“.

**დო** გვხვდება ფუძეგანსხვავებულებთანაც:

**მელე დო მოლე** „გაღმა-გამოდმა“, „აქეთ-იქით“:

#68#

ქიგიაშქუ **მელე დო მოლე**... (ყიფშ., 281, 29) „დაართყა აქეთ-იქით“; **მელე დო მოლე** კოჩით რე გოჭკადილი „გაღმა და გამოდმა ხალხით არის გაჭედილი“.

**ან დო განს** „არემარეზე“, „ამ მხარეს“:

თე **ან დო განს** თეჯგურა პატიოსანი კოჩი ვამწონებუ „ამ არემარეზე ასეთი პატიოსანი კაცი არ მეგულება“.

**ეშე დო გიმე** „ზევით-ქვევით“, „აღმა-დაღმა“.

ცოროფა სქანი... ეშე დო გიშე იქანჩუაფე (ხუბ., 322, 23) „შენი სიყვარული... ზევით-ქვევით შემაქანებს“.

ლაზურშიც დასტურდება დო კავშირით შეერთებული ზმნისართები.

**ჟინ-დო-ჟინ** „ზევით-ზევით“:

**ჟინ-დო-ჟინ** ნა ბორტითფექ... (კარტ., IV, 163, 34)  
„...ზევით-ზევით რომლებიც ვიყავით...“.

**ჰაშო დო ჰაშო** დულდა მილენ... (კარტ., III, 193, 4)  
„ასეთი და ასეთი ამბავი მაქვსო...“

**ჟილე დო წალე** „ზევით და ქვევით“ (ასათ., 112, 64, 2).  
**(ჰ)ემკელე დო (ჰ)ამკელე** „იქით-აქით“ (იხ. ქვემოთ).  
თი **ჰემკელე დო ჰამკელე** ოქთამტუ (ყიფშ., I, 650, 51)  
„თავი იქით-აქით ტრიალებდა“.

ნაირფუძეთა შეერთებით მეგრულში მიღებულია ადგილის ზმნისართთა უმრავლესობა:

**(ვ)იშო-აშო || (ვ)იშა-აშო || აშო-იშო** (შდრ. **(ვ)იშო** „იქით“, **აშო** „აქეთ“, „იქით-აქეთ || აქით-იქეთ“):

ქვეკნირცხოხუ **ვიშა-აშო** თუმა (ხუბ., 155, 5) „თმა იქით-აქეთ გადაივარცხნა...“; გიჯინ **იშა-აშო**... (სამუშ., III, 96, 63, 175) „მიმოიხედა იქით-აქეთ“; ...გიიჯინგ **იშო-აშო** თე წყარპიცე (დან., 288, 31) „გაიხედა იქით-აქეთ ამ მდინარის ნაპირას“. ...ქისას **ვიშა-აშო** (ხუბ., 110, 28) „ქანაობს იქით-აქეთ“.

**მელე-მოლე || ელე-მოლე || ელლე-მოლე** (შდრ. (მ)ელე „გალმა“, „იქით“; მოლე „გამოდმა, აქეთ“) „გალმა-გამოდმა, აქეთ-იქეთ“ [ქაჯაია 2002, I, 93]:

#69#

**მელე-მოლე** გვალა რე... „გალმა-გამოდმა მთებია...“; ქალუდირთ **მელე-მოლე** ჟირი კოჩიქ „აქეთ-იქით ორი კაცი ამოუდგა“.

**(ვ)იქილე-აქილე (ვიქილე** „ცოტა იქით“, **აქილე**

„ცოტა აქით“) დასტურდება შემდეგი სახითაც იქი[ე]-  
აქი[ე] [ქაჯაია 2002, II, 93]:

ძუძუეფი იქილე-აქილე გინუძე ხუჯიშა... (ხუბ., 133, 23)  
„ძუძუეფი იქით-აქეთ მხრებზე უღევს...“; ათე ჟირი ცალეფი  
იქილე-აქილე ჯიბეშა ქალეღვია (ხუბ., 86, 20) „ეს ორი  
ტოტი იქით-აქეთ ჯიბაში ჩაიდევით“.

გვხვდება შებრუნებული ფორმითაც – აქილე-(ვ)იქილე  
„აქეთ-იქით“.

ეშე-გიმე || ეშა-გგმა || იშე-გიმე „ზევით-ქვევით“:  
ქოჩორაშ ცხენი ეშე-გგმა ქიმიძვამე „ქოჩორას ცხენი  
ზევით-ქვევით მიძუნძულეხს“; ეშე-გიმე შურსე ჰკაშე...  
(ხუბ., 325, 21) „ზევით-ქვევით სულს ვითქვამ...“; ართი  
ცაზახი იშე-გიმე ქოსხაპუნს (ხუბ., 304, 34) „ერთი მამაკაცი  
ზემოთ-ქვემოთ ხტუნაობს“ (შდრ. ეკი-გიმე).

აკე-დიკე || ეკი-დიკი(ი) || აკვ-დგვი (შდრ. ეკი  
„აღმა“ და დიკე „დაღმა“) „აღმა-დაღმა“:

აკე-დიკე დოღურუ გილულას „აღმა-დაღმა სიარუ-  
ლით მოკვდა“; აკვ-დგვი გილულე ორზოლი „აღმა-დაღმა  
დაატარებს საგზალს“.

ჟიდო-თუდო (შდრ. ჟიდო „ზევით“, თუდო „ქვე-  
ვით“) „ზევით-ქვევით“:

ჟიდო-თუდო არძას ოხუ თე ამზე „ზევით-ქვევით ეს  
ამბავი ყველას ეხება“.

წიმი-კინი || წემი-კვნე (შდრ. წიმი „წინ“, კინი  
„უკან“) „წინ და უკან“ წიმი-კუნე [ქაჯაია 2002, III, 446]:

წიმი-კინი მუს რე აწმატრალექენი? „(ჩემს) წინ და  
უკან რას ტრიალებ?“

წოხლე-უკახლე (შდრ. წოხოლე „წინ“, უკახალე  
„უკან“) „წინ და უკან“.

#70#

ოზე წოხლე-უკახლე ეგმა რე ორინჯით „ეზო წინ და  
უკან სავსეა საქონლით“.



მსგავსადვეა ნაწარმოები შემდეგი კომპოზიციური ფორ-  
მები: (ე)თექ-(ა)ათაქ || ექ-აქ „მანდ-აქ“ პირიქით; (ა)თაქ-  
(ე)თექ || აქ-ექ „მანდ-აქ“; ემერ-ამარი || ამარ-ემერი „აქა-იქ“;  
სარხო-მარხო „ახლო-მახლოს“; სარხო-გარხო [ქაჯაია  
2002. II ] სარხო-სამიაროს [ფიფია 1997] (შდრ. გურ. მი-  
რამორაი || მირამორაე „ახლო-მახლო, არემარე, მიდამო-  
ები, გარშემო“ [ლლონტი 1984, 364]. სარხო-სამიაროს ვეგი-  
პალუ ჩქიმ ნათასეფ „ახლო-მახლო არ არის ჩემი ნათესები...“.

ლაზურისთვისაც ბუნებრივია სხვადასხვა ფუძეთა შე-  
ერთება:

**მელე-მოლე** (შდრ. მელე „გალმა“ მოლე „გამოლმა“)  
„გალმა-გამოლმა“:

**მელე-მოლე** ოკიწვიდეს... (ჟლ., 9, 8) „გალმა-გამოლმა  
შეყურებდნენ“.

**ემო-აშო** „იქით-აქეთ“:  
გუიყონაფ ემო-აშო... (ასათ. 218, 133, 2) „დაატარებენ  
იქით-აქეთ“.

**ჟილე-წალე** (შდრ. ჟილე „ზემოთ“, წალე „ქვემოთ“)  
„ზევით-ქვევით“:

**ჟილე-წალე** ორთას ოხორი სქანი... (კარტ., IV, 273, 5)  
„ზევით-ქვევით შუაში შენი სახლი...“; **ჟილე-წალე** მოთ იქ-  
თუ... (კარტ., III, 204, 9) „ზევით-ქვევით რად ტრიალებს...“.

**ჟინ-თუდე** (შდრ. ჟინ „ზევით“, თუდე „ქვევით“) „ზე-  
ვით-ქვევით“:

დოლოქუნან... **ჟინ-თუდე**... (კარტ., IV, 329, 26) „ჩააც-  
ვამენ ზევით-ქვევით...“.

**ჟინდოლ-თუდელე** (შდრ. ჟინდოლე „ზემოთ“, „ზემო  
მხარეს“, თუდელე „ქვემოთ, ქვემო მხარეს“) „ზემოთ-ქვემოთ“:

ფოტა ულუტეს, **ჟინდოლე-თუდელე** ფოტა (კარტ.,  
IV, 324, 24) „ტილო ჰქონდათ, ზემოთ-ქვემოთ ტილო“.

#71#

**ექოლე-აქოლე** (შდრ. ექოლე „იქით“, აქოლე „აქეთ“)  
„იქით-აქით“:

მემეტიქ გუინწკედუ ექოლე-აქოლე... (კარტ., III, 77, 9)  
„მემედმა აქეთ-იქით გაიხედა...“

ადგილის ზმნისართი შეიძლება მიღებული იყოს ორი სხვადასხვა ფუძის შევსებით, რომელთაგან ერთი თვით ზმნისართია – **თაქი... თექი...** და მეორე, როგორც ეს ი. ყიფშიძეს მიაჩნია, არსებითი სახლია: **ცურე „მხარე“** [ყიფ-შიძე 1994, 626]: **აურე || ავრე || აცურე || (ა)თავრე || (ა)თაურე || (ა)თაყურე || ათაქცურე** (შდრ. ათაქ „აქ“ ცურე „მხარე“) „აქეთ, ამ მხარეს“, **ეურე || ევრე || ეცურე || (ე)თევრე || (ე)თეურე || (ე)თეცურე || (ე)თექცურე** (შდრ. ეთექ „იქ“, ცურე „მხარე“) „იქით“, „იმ მხარეს“:

ექ **აურე** იგარგ, იქ **თეურე** იგარგ (ხუბ., 145, 19) „ამან აქეთ იტირა, იმან იქით იტირა“; მა **საცურე** შურცუ ჰკაშგ... (სამუშ., III, 44, 33, 44) „მე აქ სულით დავიკვნესებ...“; სო მეურქ **აცურე?** (დან., 304, 22) „აქეთ სად მიდიხარ?“; გიმელე **ეურე** ბოშიქგ... (ყიფშ., 237, 15) „იქიდან ბიჭი გამოვიდა...“; გომონწყილი **ათაურე** მუნილგ ალექ (დან., 144, 12) „ალე გამოწყობილი აქედან შემოვიდა“. **ევრე** მუ გოკოდეს, თავრე მორთით „იქით რა გინდოდათ, აქეთ მოდით“.

გვხვდება დაშორებითი ბრუნვის ნიშნითაც, სადაც ამ ნიშანმა კონტექსტების მიხედვით შეიძლება გადმოგვცეს სამი მნიშვნელობა: დაშორება (საიდან?), მიმართულება (საითკენ?) და ადგილმდებარეობა (სად? – იხ. ზემოთ):

**ეურეშე** მუკირთესგ... (დან., 218, 20) „იქიდან მობრუნდნენ...“; სი თეურიშე გაჩენდი „შენ იქ გაჩერდი“; **ეთეურეშე** მუშენ იჯინექი? „იქითკენ რატომ იხედები?“ **აურეშე** ეკულა მუთუნც ვეშულეზუ უმუხვარეზუო (ხუბ., 97, 9) „აქეთ დაუხმარებლად არავის არ შეუძლია ამოსვლა“; **ავრეშე** მუ დროს იბდათ? „აქედან რა დროს წავიდეთ?“ **თაურეშე** ქუმორთით არმაქ „აქეთკენ მოდით ყველანი“.

#72#

დაშორებითი ბრუნვის ფორმამ შეიძლება დაირთოს მიცემითის ნიშანიც:

**აურეშეს || (ა)თაურეშეს || თაურეშეს || ავრეშეს,**

„აქედან, აქეთ“:

გეგნიწიმინდი ათურუმეს [ქაჯაია 2002. I, 166] „გადა-  
იკარგე აქედან“.

ლაზურში მსგავსი აგებულებისაა იმავე მნიშვნელობის  
ზმნისართები, ოღონდ აქ პირველი კომპონენტი ჩვენებითი  
ნაცვალსახელია, მეორე კი – თანდებული.

**ჰამკელე** || **ამკელე** || **ანკელე** (შდრ. ჰამ „ეს“, -კელე  
„თან“) „აქეთ, აქეთ მხარეს“.

**ჰემკელე** || **ემკელე** || **ენკელე** (შდრ. ჰემ „ის“, -კელე  
„თან“) „იქით, იქით მხარეს“ (შდრ. მეგრ. თიმწკუმა || თიწკელა...  
„მაშინ“):

**ჰემკელე** გოხთუ, **ჰამკელე** გოხთუ... (კარტ., IV, 109,  
15) „იქით გავიდა, აქით გამოვიდა“; **ენკელე** ოქთუ, **ანკე-  
ლე** ოქთუ (კარტ., I, 82, 23) „იქით მიბრუნდა, აქით მო-  
ბრუნდა“.

ადგილის ზმნისართები შედიან ვითარების ჯგუფის  
რთულ ზმნისართთა შემადგენლობაში:

**დუდ(ი)გიმე** (შდრ. დუდი „თავი“, გიმე „ქვევით“) „თავდაღმა“, „ყირამალა“ [ჭარაია 1997] „თავქვე“ [ქაჯაია  
2001. I, 510]:

ცანჭიქ ქოდმელახესი დო **დუდი გიმე** გითობუნა  
(გულ., 189, 286) „ჭიები ავად გაგვიხდა და თავდაღმა ჰკი-  
დიან“; დეჯიქ დირძლუა დო ბეყე ნიჩვით **დუდგიმე** გამნარ-  
თინუა (ხალხ. სიბრძ., 148, 142) „ღორი გაძღაო და გობი  
დინგით თავდაღმა გადაატრიალაო“.

აღნიშნულის პარალელურად გვხვდება:

**დუდინე** [ქაჯაია 2001. I, 511] | **დუდინის[ი]** [თოფუ-  
რია 1959, 301] (შდრ. **დუდი** „თავი“, **დინი** „ქვევით“; დუ-  
დიდინი → დუდდინი → დუდინი)“

**დუდ ნი ე** ქვდაჩანუუ დიხასგ (ცაგ., 5, 10) „თავქვე  
#73#

ჩაარქო მიწაში“; **დუდი ნი** ქოდინუ (ცაგ., 1, 3) „თავქვე  
დაემხო“.

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **პიჯ(ი)გიმე**; მის საპირისპიროდ გვხვდება:

**პიჯ(ი)ეშე || პიჯიშე** (შდრ. პიჯ(ი) „პირი“; ეშე || იშე „აღმა“) „პირაღმა“:

**პიჯიეშე** ქვდიიდგვ (ყიფშ., 237, 11) „პირაღმა დაიდგი“; სუმიშხე გამნირთე დო **პიჯიშე** ქვდიიდგვ (ცაგ., 21, 8) „სამჯერ გადაბრუნდა და პირაღმა დაიდგა“.

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე **პიჯკონილო** „პირაღმა“, რომლის მეორე კომპონენტი მიმდებარება.

მეგრულის მსგავსი სტრუქტურის ფორმები ლაზურშიც დასტურდება:

**პიჯამამთე** (შდრ. პიჯ „პირი“, ამამთე „აღმა“) „პირაღმა“:

**პიჯამამთე** დინჯიუ... (კარტ., III, 158, 38) „პირაღმა დაიძინა“.

**პიჯკოპა** (შდრ. პიჯ „პირი“, კოპა „საქაფე“) „პირქვე“  
ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ლაზურში **კუჩხი-ამამთე**:

...საჯაქი **კუჩხე-ამამთი** ქოდოდგუ [კარტ., I, 161, 84]  
„...ზედადგარი პირაღმა დადგა“.

ჰაშო **პიჯკოპა** დინჯირს დო იფხოს... [კარტ., III, 160, 14]  
„ასე პირქვე დაწვება და ჭამს“.

**კოპა** ლაზურში არის „საქაფე“, ქაფის გადმოსაღები კოვზი; დიდი კოვზი [Mapp 1910, 157].

(შდრ. 1. **კოპალი**, რომლითაც ბერტყავენ ზამბას; აგრეთვე იყენებენ თხილის სატეხად; 2. **წკარ-კოპალი** – ეს არის სახელწოდება წყლის ბინადრის... შდრ. აგრეთვე **კოპელა** „არაკანონიერი შვილი“).

მეგრულში ვითარებითის ფუნქციით გვხვდება **ჟითუო** (შდრ. ჟი „ზემოთ“ **თუ(დ)ო** „ქვევით“) „ზეზეურად“, „პირდაპირ“ [ქაჯაია 2002. II, 500].

...**ჟითუო** რე ნდლულაპირი (სამუშ., III, 87, 63, 58)

#74#

„...ზეზეურად არის დამდნარი“; მუში ქონება მუთი რდგნი **ჟითუო** თეს ქიგიახარჯუ (ხუბ., 195) „მისი ქონება რაც

იყო, პირდაპირ ამას დაახარჯა“.

ადგილის ზმნისართის მნიშვნელობით გვხვდება მიცემითის სუფიქსით გაფორმებული სიტყვებიც:

**შქაბანს** || **შქაბანიას(გ)** (შდრ. **შქა** „შუა“ **აბანი** „ადგილი“) „შუა ადგილას“ (**შქა** + **აბანი** შდრ. „აკანი, არდგილი“) [ქაჯაია 2001. I, 162, 17]:

**შქაბანიას** გოჭკირგ... (ყიფშ., 231, 25) ... (შუა ადგილას) შუაში გაჭრა“; ქემერთე ე ბოშიქ, გუურქუ ლეკური დო **შქაბანს** გიიღვ კაჟანდიი-ქერქუუ (ყიფშ., 235, 1) „მივიდა ეს ბიჭი, მოიქნია ხმალი და შუაში გააპო კაჟანდი-ქერქუ“.

ამრიგად, მეგრულ-ლაზურ ადგილის ზმნისართებში. ქართულის მსგავსად, შედარებით მცირე რაოდენობით გვაქვს მარტივი, პირველადი ზმნისართები, ხოლო დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი წარმოქმნილი ზმნისართები. ასევე მრავალფეროვანია მათი წარმოების საშუალებები. გვაქვს როგორც დერივაციული სუფიქსებით, ასევე ბრუნვის ნიშნებით (მიცემითი, დაშორებითი, მიმართულებითი) ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები, კომპოზიციით (რედუქციულიკაციით) და ნაირფუძეთა შეერთების გზით მიღებული რთული ზმნისართები.

#75#

## თ ა ვ ი I I

### დროის ზმნისართები

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „დროის გამომხატველი ზმნისართი გვიჩვენებს დროის გარკვეულ ერთეულს ან დროის გარკვეულ მონაკვეთს კონკრეტულად. მისი კითხვაა: როდის? [შანიძე 1953, 595].

**§ 1. დროის პირველადი ზმნისართები.** მეგრულ-ლაზურში ისევე, როგორც ქართულში, დროის პირველად

ზმნისართთა რაოდენობა შედარებით შეზღუდულია.

**გოლა** „გუშინ“:

**გოლა** ხეთას გოხოლოუდი... (გუდ., 20, 35, 2) „გუშინ ხეთაში გახლდი...“; გოლა სო ორდი...? (ყიფშ., 217, 16) „გუშინ სად იყავი?“

ზუგდიდურ-სამურზაყანულის ჯვარულ თქმაში დადასტურდა აღნიშნული ზმნისართის ფონეტიკური ვარიანტი: **გოლვა** (შდრ. **გოლვაწო** „გუშინწინ“ (იხ. ქვემოთ).

**გოლვა** მორთე ოგურაფუშე „გუშინ მოვიდა სასწავლებლიდან...“; ...წანმოწანას ვორდითე **გოლვა** „გუშინ წლისთავზე ვიყავით“.

აღნიშნული ფუძე მეგრულში \*გოდლასაგან მიღებულად არის მიჩნეული, მსგავსად ზმნისართისა **გედლანი**, რომლის ამოსავალი ვარიანტი – **გენდლანი** – ჭანურში დასტურდება [როგავა 1973, 135] (იხ. ქვემოთ).

მეგრულ **გოლა**-ს ი. ყიფშიძე უკავშირებს ქართულ **ძოდან**-ს [ყიფშიძე 1994, 423], რასაც არ ეთანხმება გ. როგავა [როგავა 1973, 135].

#76#

**ღუმა** „წუხელ“ (შდრ. ლაზ. ღომა || ღომან „გუშინ“)

**ღუმა** თექი ვორდი... (ყიფშ., 311, 12), „წუხელ იქ ვიყავი...“

**ღუმა** ზუგის გოხოლოუდი (გუდ., 282, 2) „წუხელ ზუგდიდში გახლდი...“

აღნიშნული ზმნისართის ქართული შესატყვისია **ღამე** ||

\***ღამენ**; ქართულში შენახულია ამოსავალი მნიშვნელობა.

მეგრულშიც გვაქვს „ღამის“ სემანტიკა, თუმცა წინა ღამეა ნაგულისხმევი. ჭანურში შესაბამისი ფუძე აღნიშნავს დღეს, რომელიც ამ ღამეს წინ უძღვის – „გუშინ“. ამ მხრივ ჭანურში ისეთივე სემასიოლოგიური გზაა გავლილი, როგორც „ხვალე“-ს შემთხვევაში: „დილა“ – „ხვალე“, „ღამე“ – „გუშინ“... [ჩიქობავა 1936, 198]. (შდრ. **სერი**) (იხ. ქვემოთ).

**ჭუმე** || **ჭუმან(ი)** „ხვალ“ (შდრ. ლაზ. **ჭუმე** || **ჭუმენ**... „ხვალ; ხვალ დილას“):

მეულა ამდლა, **ჭუმე**... (ხუბ., 7, 10) „მიდიან დღეს, ხვალ...“; **ჭუმან** მუ დროშო ქუმურთე „ხვალ რა დროისთვის მოხვალთ“; **ჭუმანი** ბაზარშა ოკო მიდაფრთე „ხვალ

ბაზარში უნდა წავიდე“ (იხ. ქვემოთ). ...ამ დღარში უჯგუ-  
ში **ჭუმანი** რე... (ყიფშ., 260, 30) „...დღევანდელზე უკეთესი  
ხვალ არის...“ ამ ფუძის ეტიმოლოგია უცნობია.

**გელანი** || **გილანი**(ი) (შდრ. ლაზ. **გენდლანი** || **ჯენდლანი**)  
„ზეგ“:

ამუდლა რე, ჭუმე რე, **გილანი** რე... (ყიფშ., 227, 2) „დღეს არის, ხვალ არის, ზეგ  
არის“... **გელან** სო შერხვადათ? „ზეგ სად უნდა შეგხვდეთ?“ **გილანი** ქუმუულა [ელიავა  
1987, 90] „ზეგ მოვლენ...“

შესატყვისი ფუძე სხვა ქართველურ ენებში არ ჩანს.

**წი** || **წგ** || **წუ** „წელს“ (ქაჯაია 2002, III) (შდრ. ლაზ. **წო**):  
**წი** გეგნილას ეგებ,.. (გუდ., 297, 21) „წელს იქნებ  
გადაიტანოს...“; **წგ** თაქ უპირებუ გაჩერება “წელს აქ აპი-  
#77#

რებს გაჩერებას“; **წუ** ბღურუქ დო ვარ(ი) წანას (სამუშ., I, 50)  
„წელს მოვკვდები თუ გაისად“.

აღნიშნულ ძირს (**წი**, **წგ**) ქართულში შეესატყვისება  
„წელს“. უფრო რთული ჩანს მეგრული **წო** (გო-**წო**-ს) და  
ლაზური **წო** ფორმების ქართულ ძირთან (**წელ**-) მიმართების  
საკითხი [ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 638] (იხ. ქვემოთ).

პირველად ზმნისართებს მივაკუთვნებთ, აგრეთვე, რიგ  
ზმნისართულ სიტყვა-ფორმას.

**ხეთე** || **ხათე** (ე > ა) „უცებ, მაშინვე“ (შდრ. ქართ.  
**ხელათ**):

რაშიქ **ხეთე** ქიჩინგ მუში მინჯე (ხუბ., 98, 35) „ცხენმა  
მაშინვე იცნო თავისი პატრონი“; დიდა დო მუმაქ **ხათე**  
გიორგი იკითხუ (ხუბ., 150, 5) „დედ-მამამ მაშინვე გიორგი  
მოიკითხა“: **ხათე** თიშენ ვაჭკომუნსუ... (გუდ., 80, 152, 3)  
„მაშინვე იმიტომ არ ჭამს...“

ი. ყიფშიძის ტექსტებში დასტურდება **ხათეე** სახითაც:

**ხათეე** გირგინი ქეგუდგეს... (ყიფშ., 253, 32) „...მაშინვე  
გვირგვინი დაადგეს“.

ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს დაშორებითი  
ბრუნვის ფორმა **ხათეშე** (|| **ხეთეშე**), სადაც -შ- თანხმოვანია  
დაკარგული. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა

ლაზური, სადაც -შ- იკარგება მთელ რიგ შემთხვევებში, კერძოდ: ა) როცა ნათესაობითი -ში ნიშანი ზმნის ფორმას ერთვის (ე. ი. კავშირის ფუნქციას ასრულებს); ბ) იკარგება -ში დაბოლოების -შ ზმნისართებშიც აქონაში → აქონაი... (იხ. ზემოთ), გ) მიმართულებითი ბრუნვის -შა ნიშანი ხშირად -ა ალომორფის სახით წარმოგვიდგება (დემირჯია < დემირჯიაშა მენდახთუ...); დ) შ იკარგება დაშორებით ბრუნვაშიც (თუდენ (< თუდემენ) „ქვემიდან“) [კარტოზია 1993, 299-380]. (იხ. ქვემოთ).

**დიო „ჯერ“:**

**დიო** ვეჩინგ იშენი... (ხუბ., 6, 27) „ჯერ მაინც ვერ

#78#

იცნო“; გვერქ თქუა: **დიო** დუს ქუაჩამუქ დო უკულ შხვასია (ხალხ. სიბრძ., 27, 194) „გველმა თქვა – ჯერ თავს ვუკებენ და მერე სხვასო“; **დიო** სორე თქვან ცირობა? (სამუშ., III, 49, 38, 6) „ჯერ სად არის თქვენი ქალიშვილობა?“

**დიო**-ს შესატყვისი ქართულში არ მოგვეპოვება. რაც შეეხება, ლაზურს, აქ აღნიშნული მეგრული ფუძე შეიძლება დავაკავშიროთ დროის ზმნისართთან **ნდღურა** („წედან, ამას წინათ“), რომლის ფონეტიკური ვარიანტებია **მდღუა** || **მდღოა**. როგორც ვიცით, მ და ნ ფონეტიკური დანართია [ჩიქობავა 1936, 194] (იხ. ქვემოთ). **(მ)დღუა** || **(მ)დღოა**-ს ფუძეში **ღ**-ს დაკარგვა მოულოდნელი არ არის (შდრ. დამორჩილი < დღამორჩილი [როგავა 1973, 135], რის შედეგად შეიძლება მიგველო **ღუა** | **ღოა**, ხოლო შემდგომ – **დიო** მნიშვნელობის გარკვეული ცვლილებით მეგრულში.

**დიო** დაირთავს -**დე** სუფიქსს, რომლის შედეგად ვიღებთ **დიოდე** || **დიორდე** „ჯერ-ჯერობით“.

...**დიორდე** ბძირათია თენავა... (ხუბ., 146, 19) „ჯერჯერობით ეს ვნახოთო...“; მარა **დიორდე** ის ვაატაკვ... (ცაგ., 23, 4) „მაგრამ ჯერჯერობით იმას არ დატაკებია“; ბოშენს უჯინექი, მარა **დიოდე** მითიქ ვა გითხუუ (გუდ., 128, 9) „ბიჭებს უცქერი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინ არ გითხოვა“.

ი. ყიფშიძის მოსაზრებით, **დიოდე** || **დიორდე** მიღებულია რედუპლიცირებული **დიო-დიო**-სგან **დიო-რ-დიო** > **დიო-დიო** > **დიორდე** [ყიფშიძე 1994, 431].



ლაზურშიც დროის პირველად ზმნისართთა ის ფუძე-  
ები გამოიყოფა ძირითადად, რაც მეგრულში: შდრ. ქართ.  
„ღამე“.

**ღომა** || **ღომან** „გუშინ“ (შდრ. მეგრ. ღუმა „წუხელ“).

**ღომან** პრაზნიკი ტუ... (ჩიქ., I, 57, 33) „გუშინ დღე-  
სასწაული იყო“; **ღომა** ორა ცონი ტუ (ჩიქ., II, 57, 33)

„გუშინ ციოდა („ამინდი ცუდი იყო“); **ღომან**, ანდლა, ჭუ-  
მენ (ასათ., 134, 84, 3) „გუშინ, დღეს, ხვალ“ (შდრ. მეგრ.

**ჭუმე** || **ჭუმანი**).

#79#

**ჭუმე** || **ჭუმენ** || **ჭუმანი** „დილა, ხვალ“ [ჩიქობავა  
1936, 196].

**ჭუმანი** დოთანუში, ადა... კოჩი იდასინონ (კარტ., III,  
17, 19) „დილას რომ გათენდება, ეს... კაცი უნდა წავიდეს“;

**ჭუმენ** გეი მოკვათუშა მოხთასინონ (კარტ., I, 161, 77)

„ხვალ ისევ მოსაჭრელად უნდა მოვიდნენ“. **ჭუმანი** ლიმჯი  
მეფთარე (ჩიქ., II, 103, 5) „ხვალ სალამოს მივალ...“; **ჭუმე**  
ბელქი კაი ორა იყვასენ (ჩიქ., II, 1, 11) „ხვალ ეგების კარგი  
ამინდი იქნეს“.

ძირია **ჭუმ-**, რომელსაც ორგვარი დეტერმინანტი-სუ-  
ფიქსი გააჩნია, **-ან** და **-ენ**; **ჭუმ-ან** „დილას“ აღნიშნავს;  
**ჭუმ-ენ** „ხვალეს“ ამ უკანასკნელს ხშირად ბოლოკიდური **-ნ**  
მოკვეცილი აქვს. **ჭუმანთან** ამას ადგილი არა აქვს, რასაც  
ხელს უწყობს ის, რომ ეს სახელი იბრუნვის და **-ნ** ყოველ-  
თვის ბოლოკიდურ თანხმოვანს არ წარმოადგენს [ჩიქობავა  
1936, 196]. **ჭუმე** აღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება ო-  
თავსართითაც: **ო-ჭუმ-ე** (იხ. ქვემოთ).

**ჭუმენ-** || **ჭუმე**-სა და **ჭუმან-**ის დიფერენციაცია სა-  
მეცნიერო ლიტერატურაში მეორეულ მოვლენად არის მი-  
ჩნეული, სადაც **ჭუმანი** **ჭუმანიშე** („ხვალ დილიდან“)

გამოთქმაში ერთი და იგივე **ჭუმან-** ფუძე აღნიშნავს „ხვა-  
ლე“-საც და „დილა“-საც [ჩიქობავა 1936, 197]. ამის არგუ-  
მენტად მიჩნეულია ის გარემოება, რომ მეგრულში „ხვალე“-ს  
მნიშვნელობით ზუგდ.-სამურზ. **ჭუმანი** გვაქვს, სენაკ. –

**ჭუმე**; ხვალინდელი კი ყველგან **ჭუმენერ-**ია. მეგრ. **ო-ჭუმ-**

არ-ე „დილა“, ჭან. ო-ჭუმ-ე-ს მიჰყვება აგებულებით, ოღონდ აქ -არ სუფიქსია „მეტი“: ო-არ-ე ტიპის წარმოება გვაქვს [ჩიქობავა 1936, 197] (იხ. ქვემოთ). „დილა“ და „ხვა-ლე“ სხვა ენებშიც ერთი და იმავე სიტყვით არის გადმოცემული. მაგ., (შდრ. რუს. завтра ← за утра ზედმიწ. „დილის შემდეგ“, გერმ. der Morgen „დილა“, morgen „ხვალ“).

არნ. ჩიქობავა ასკვნის, რომ მნიშვნელობათა ერთნაირი განვითარება ამგვარ შემთხვევაში დამოუკიდებელიც ხდე-  
#80#

ბა და არავითარ გენეტურ ურთიერთობას არ მოასწავებს [ჩიქობავა 1936, 197].

**გენდლანი || ჯენდლანი „ზეგ“.**

ანდლა, ჭუმე, გენდლანი (ჩიქ., II, 76, 3) „დღეს, ხვალ, ზეგ...“; ოჭუმეში უკაჩხენი – ჯენდლანი იენ (ჩიქ., II, 111, 12) „ხვალის შემდგომ – ზეგ არის“; ჯენდლანი... (ჩიქ., II, 103, 9) „ზეგ...“.

ქართულში შესატყვისი არ ჩანს. თუმცა არის ვარაუდი რომ ზეგე ზმნისართში -გე იგივე არის, რაც მეგრულ გე-ლ-ან და ჭანურ გე-ნ-დლ-ან ზმნისართებში გვაქვს [ჩიქობავა 1938, 194].

**§ 2. წარმოქმნილი დროის ზმნისართები.** დროის ზმნისართთა საწარმოებლად იგივე საშუალებებია გამოყენებული, რაც ადგილის ზმნისართებისთვის, ოღონდ. დერი-ვაციულ სუფიქსებს დროის ზმნისართებში იშვიათად ვხვდებით.

**§ 2.1. ნაცვალსახელური წარმომავლობის ხმოვანთავსართებით გაფორმებული დროის ზმნისართები.** მეგრულში ამგვარი ზმნისართი რამდენიმეა.

**ანწი || აწი || აწ** „აწი, ამიერიდან, ამის შემდეგ“ [ქაჯაია 2002. I, 204] (შდრ. ქართ. აწი; ლაზ. ჰაწი | აწი):

ანწი მაჟია დუს მითინ ვამნორდგუნსია (ხუბ., 8, 24) „აწი მეორე თავს არავინ დაგადგამსო“. თავ ჩქე ვორდათ ანწენი, მუთუნშა ვალირე (ხუბ., 101, 30) „ამიერიდან ჩვენ რომ აქ დავრჩეთ, არაფრად არ ღირს“; აწი მოკო დიდი

ჭკუა... (ყიფშ., 312, 13) „აწი მინდა დიდი ჭკუა...“; აწ მუთა მახანძღე მა სქანდავა (ხუბ., 171, 34) „ამიერიდან შენთვის (ალბათ) ვერ გავირჯებით“.

აღნიშნული ზმნისართი ადგილის ხმოვანთავსართული ზმნისართების მსგავსად დაირთავს -ნე სუფიქსს, რომელსაც სიტყვაწარმოების ფუნქცია არა აქვს:

#81#

აწინე თავი გაჩენდი ჭიჭე ხანს „აწი აქ დარჩი ცოტა ხანი“; აწგნე მუ ფქიმინათ „ამიერიდან როგორ მოვიქცეთ“.

სამეცნიერო ლიტერატურის შესაბამისად, აწ-ში ა ხმოვანი ეტიმოლოგიურად ისეთივე ელემენტია, როგორც გამოიყოფა ამ (ამან, ამას) ნაცვალსახელსა და ამიერ, აქა და სხვა ზმნისართებში.

აწ ზმნისართის პარალელურად ქართულში გვაქვს უ-წ-ი-ნ და წ-ი-ნ. სწორედ აქედან გამომდინარე გამოყოფენ ა ელემენტს... -წ თანხმოვანი იგივე ჩანს, რაც წინ (უწინ)... ზმნისართებში გვაქვს და ის წ-ც, რომელიც წარ-პრევერბში მოიპოვება [ჩიქობავა 1937, 45].

აწი || აწწი წინადადებაში შეიძლება გამოყენებული იქნას ნაწილაკის ფუნქციით:

იზმა ხანც ათაქ ყარაულეფ ქედარინეს, ზღვა პიჭი რე აწწი „ამასობაში (იმდენ ხანს) აქ ყარაულები დააყენეს, ზღვის პირია (ზღვის სანაპიროა) აწი“ (დან. 246, 28).

ასე „ახლა, ამჟამად, ამ მომენტში“ [ქაჯაია 2002, I, 197]

ასე ექვ გამაბერ... (სამუშ., III, 17, 20) „ახლა, ამან გამაბერა...“; ასე გვალო გეერისხვ ხენწიფექვ... (ყიფშ., 238, 6) „ახლა მთლად გაბრაზდა ხელმწიფე“.

აღნიშნული ფუძე დაირთავს სიტყვაწარმოებით -დე სუფიქსს: ასერდე | ასედე „ახლახან“:

თაქვ რდუ ასერდე „აქ იყო ახლახან“; ასედე მინული ოჭკომალი „საჭმელი ახლახან შევუტანე“ (იხ. ქვემოთ).

ნაცვალსახელური წარმომავლობისად არის მიჩნეული მეგრულში ზოგი სხვა ზმნისართიც.

უკული „მერე, შემდგომ, ამის შემდეგ“ (იხ. ქვემოთ):

**უკული** საქონელს ქარაყანდეს... (ხუბ., ) „მერე საქონელს გარეკავდნენ“; **უკული** ქაჯუნი პიც (სამუშ., III, 56, 44, 40) „მერე პირზე აკოცე...“; **უკული** იფცხოვრათ ჩქი ჯგირო... (ხუბ., 11, 10) „შემდგომ ვიცხოვროთ ჩვენ კარგად“; **უკული** აშო დირთია (ხუბ., 113, 30) „მერე აქეთ დაბრუნდიო“.

#82#

სამურზაყანულში გამოყენებულია აღნიშნულის ფონეტიკური ვარიანტი **იკულ(ი)** (შდრ. ლაზ. **ოკულე** || **ეკულე** || **უკულე**...).

მეგრული **უკულ-ის** კუ ელემენტი იგივეა, რაც ძველი ქართულის უ-კუ-ანა-შია წარმოდგენილი; მასვე უკავშირდება ქართული კვალ, ძველ ქართული კუალ ფუძე [ჩიქობავა 1942, 22]. **უკუნა**-ს თავკიდურ უ-ს ნ. მარი მიიჩნევს ნაცვალსახელურ ელემენტად [Mapp 1914, 111-113]. ამასთან ერთად, ერთი ძირისადაა აღიარებული მეგრული **უკა**-ხალე („უკან“), **კინ**-ი („კვლავ“), **კინ**-ობ („წინათ“, „მას უკან“), **უ-კულ** („შემდეგ“) [Mapp 1914, 112].

კ. გაბუნია **უკულ(ი)** ზმნისართში გამოყოფს **-ლი** სუფიქსს, რომელიც **-ლე** სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია. „-ლი რომ -ლე სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია, კარგად ჩანს ჭანურის მაგალითებიდან: უკულე... ოკუ-ლე... ეკუ-ლე [გაბუნია 1993, 64] (იხ. ქვემოთ).

განსაზღვრული ნაცვალსახელისაგან **ირ(ი)** („ყველა“) **-ო** სუფიქსის დართვით იწარმოება დროის ზმნისართი.

**ირო** „მუდამ, სულ მუდამ, მარადის“ [ქაჯაია 2002, II, 92] (შდრ. ლაზ. **ირო**):

მუმა **ირო** ვარე, მარა დიდა თხილანს **ირო** ზედმეტის თეს... (ხუბ., 174, 20) „მამა ყოველთვის არ არის, მაგრამ დედა დარაჯობს ყოველთვის ზედმეტად ამას“. შხვაშა **ირო** ქომისხუნუქ... (გუდ., 45, 79, 15) „სხვას მუდამ მირჩევნი-ხარ...“ (შდრ. **ამიორც**).

მეგრულ-ლაზურის აღნიშნული ფუძეები **ირი** ← **ცირი** ქართული **ყოვლ**- ფორმის კანონზომიერი შესატყვისებია [ფენრიხი, სარჯველაძე, 2002, 542].

მეგრულის ანალოგიური ზმნისართები წარმოდგენილია ლაზურშიც:

**ჰაწი** || **აწი** „აწი, ახლა“:

**აწი** ბაშკას ჰყოროფ... (ჩიქ., II, 147, 34) „ეხლა სხვა მიყვარს“; **ჰაწი** გალე ელახედია დო იწკედია (ჩიქ., II, 38, 15) #83#

„აწი გარეთ დაჯექი და იყურეო“.

ლაზურშიც აღნიშნული ზმნისართი ფორმდება -**ნე** ბოლოსართით:

**აწინე** კიციითი ვა ენ... (კარტ., I, 79, 12) „ეხლა კეციც არ არის...“

რაც შეეხება „ასე“-ს, ეს ფუძე ლაზურში არ დასტურდება (იხ. ქვემოთ).

**ოკულე** || **აკულე** || **უკულე** „მერე, შემდეგ“, (იხ. ზემოთ).

**უკულე** ემ კოჩიქ უწუ... (ჩიქ., II, 15, 28) „მერე იმ კაცმა უთხრა...“; **ოკულე** გაიჲმ ორა დიყუ (ჩიქ., II, 65, 32) „მერე ჭამის დრო მოვიდა“; **აკულე** საჰები მუში ქომოხთუ (ჩიქ., I, 12, 14) „შემდეგ მისი პატრონი მოვიდა“.

ლაზურში **ოკულე** | **აკულე** | **უკულე** წინადადება-ში გამოდის თანდებულის ფუნქციითაც; ასევეა შესაბამისი ფუძე მეგრულშიც, მაგრამ ზანურის მეგრულ დიალექტში **უკული** „შემდეგ“, „მერე“ ყოველთვის ცალკე მდგომია, ზმნისართის ფუნქციითაა თუ თანდებულის“ (იხ. ზემოთ), ხოლო ლაზურში აღნიშნული ფუძე ცალკეც დგას და მიერთვის ხოლმე სხვა ფუძესაც [ახალაია 1998, 114]. **აკულე** || **ოკულე** || **უკულე** ლაზურში სახელთან ერთად ერთვის ზმნა-შემასმენელსაც [ჩიქობავა 1936, 64; ჯიქია 1967, 369; ყიფშიძე 1994, 6; ახალაია 1998, 116-120]:

ლაზუტი **დიმონჭაშკულე**... (კარტ., II, 226, 17) „სიმინდი რომ მოიწევა...“; **დოთანუშკულე** ირი-ხოლო ოხორი მუთე-ფეშიშა იგზალეს (კარტ. IV, 50, 23) „რომ გათენდა (ზედმიწ. „გათენდას მერე“), ყველანი თავიანთ სახლებში წავიდნენ“.

ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამგვარი კონსტრუქცია თურქული სინტაქსური კალკია ლაზურში იმ განსხვავებით, რომ თურქულში ნაზმნარი სახელია თანდებულიანი [ჯიქია 1967, 369].

ირო „მუდამ, ყოველთვის“ (შდრ. ირი „ყველა“):  
წოხლე არ კოჩიქ ირო ჯიმუ ექოფუმტუ (ჩიქ., 21, 6)  
„წინათ ერთი კაცი მუდამ მარილს ყიდულობდა“ (იხ. ზემოთ).  
#84#

**§ 2.2. დროის ზმნისართები გაქვავებული მიცე-  
მითი ბრუნვის ნიშნით.** საკმაოდ ხშირად მიცემითი  
ბრუნვის ნიშანი (-ს) ზმნისართად აქცევს სახელს.

**დღას(გ)** „დღეს“ (შდრ. **ღღა** „დღე“).  
ეს მნიშვნელობა ამ სიტყვას მსაზღვრელთან ერთად  
აქვს: ე კოჩქ მაჟირა **დღასგ** ორზოლამო მიდართე...  
(ყიფშ., 217, 9) „მეორე დღეს ეს კაცი საგზლითურთ წავიდა...“;  
თიმ **დღასგ** დიარა ოკო გეგმუნწყუათე (ყიფშ., 295, 27) „იმ  
დღეს ქეიფი უნდა გავმართოთ“.

როდესაც აღნიშნული ფუძე მეგრულში დამოუკიდებ-  
ლად გამოდის (ე. ი. როდესაც პირდაპირ ზმნას მიერთვის),  
ის ყოველთვის გადატანითი მნიშვნელობით წარმოგვიდგება.

**დღას** ვამოხვალამე თეჯგურა ამზე „არასდროს არ მომხდა-  
რა ასეთი ამბავი“; **დღას** ონჯლორე ვა უძირგ (გუდ., 271, 376)  
„არასდროს სირცხვილი არ უნახავს...“; **დღასი** მისუ გუგონე-  
ბუ... (გუდ., 227, 340) „ვინმეს ოდესმე გაუგონია...“.

**სერს** „ღამე, ღამით“ (შდრ. სერი „ღამე“):  
**სერს** მოურს „ღამე მოდის“; **სერს** არძა ცუდეს ვო-  
რეთ „ღამე ყოველთვის სახლში ვართ“.

ქართულშიც მოგვეპოვება **სერ**- ძირი (**სერობა** „ვახ-  
შობა“), რომლის კანონზომიერ შესატყვისად მეგრულში  
გვაქვს **სარ**- სიტყვაში **ო-სარ-ე** (ეტიმოლოგიურად: სა-ღამ-  
ურ-ი „ღამის პერანგი“) [ჩიქობავა, 1938; ფენრიხი,  
სარჯველაძე 2000, 399].

მიცემითი ბრუნვის ნიშნით აღნიშნული ფუძე (სერს)  
გვხვდება მსაზღვრელთან ერთადაც: ართ **სერს** „ერთ საღა-  
მოს“; წოხლენ **სერს** „წინა ღამეს“, მასუმა **სერს** და ა. შ.

**სერ**- ფუძე ზმნისართულ მნიშვნელობას იძენს მაში-  
ნაც, როდესაც: მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით იქნება გა-  
ფორმებული: **სერით** „ღამით“, ეს ფორმა წინადადებაში

დამოუკიდებლად მიერთვის ზმნას (იხ. ქვემოთ).

**წანას(გ)** (შდრ. წანა „წელი“) გაისად, მომავალ წელს:

წი გეგნილას ეგებ, მარა – მუ ოხვარ წანას (გუდ.

#85#

297, 20) “წელს იქნებ გადაიტანოს, მაგრამ რა ეშველება გაისად...”

**გოწოს(გ)** „შარშანდელი წელი“ „შარშან“ (შდრ. გოწო (|| გოწონერ წანა):

**გოწოს(გ)** ქასაგანი ვოცოთი ჟი ცას დო დიო ხოლო ვეგემოლაფე (ყიფშ., 219, 1) „შარშან ისარი ვისროლე ზევით (ცას) და ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილა“ (შდრ. ლაზ. გოწო).

აღნიშნული ფუძისაგან -ხ თანდებულის დართვით იწარმოება სხვა მნიშვნელობის ზმნისართი:

**გოწობ** || **გოწობე** „შარშანწინ“:

ბირა ირჩქილედეუ **გოწოს** დო **გოწობ** [ქაჯაია 2002, I, 404] „სიმღერა ისმოდა შარშან და შარშანწინ“; **გოწობე** მორთუ ბოლოს „ბოლოს შარშანწინ მოვიდა“.

**გეწანას(გ)** „მომავალი წლის შემდეგ წელს“ (შდრ. გეწანა „მომავალი წლის შემდეგი წელი“):

**გეწანას** მუთუნს ვამუხვარუანქ თეში ქუმიპონანქ „მომავალი წლის შემდეგ აუცილებლად ჩამოვიყვან“; **გეწანასე** უმოსი გორდილი იყუაფუ „მომავალი წლის შემდეგ უფრო გაზრდილი იქნება“.

**მერქას** „ჩქარა; წამში, თვალის დახამხამებაში“ (შდრ. მერქა (თოლიში):

თოლიში **მერქას** გინიბლით სუკი, ლაკადა დო რზენი (სამუშ., III, 113, 23) „ერთ წამს (ზედმიწ. „თვალის დახამხამებაში“) გადავიარეთ სერი, გორაკი და დაბლობი“; **თოლიშ მერქას** ოჰკადგრექ დითგრუუ მუში ფერი (სამუშ. I, 64) „თვალის დახამხამებაში სამჰედლომ შეიცვალა თავისი ფერი“.

**გილართას** || **გილართეს** „დაბინდებისას“ [ქაჯაია

2002. I, 322] (შდრ. გილართა/ე „დაბინდება“, ნაშუადღევო, მზის გადახრის შემდეგი დრო“):

აბა, მორო გილართეს, მუს აკეთე, კილართე (გუდ., #86#

325, 470) „აბა, დაბინდებისას, რას აკეთებ, რომ გამოხვიდე“; ირო სქანი აზრი მიღუ ოჭმარე დო გილართას (სამუშ., III, 52, 12) „ყოველთვის შენზე ვფიქრობ დილას და მზის ჩასვლისას“.

გილართას უნდა იყოს გილერთ(უ) „გადაიხრება, გადაიწევა“ ზმნის მასდარის მიცემითი ბრუნვა (შდრ. ბჟაქ გილერთ(უ)... „მზემ გადაიწია“ \*გილერთა > გილართა...).

აღნიშნული მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე შესიტყვება გილართა ბორჯის (შდრ. გოთანა ბორჯის... „გამთენიისას“...).

გილართა ბორჯის ბოშიქ მოოჯინუო, ქოძირ... (დან., 42) „ნაშუადღევს (მზის გადახრის ჟამს) ბიჭმა რომ შეხედა, ნახა...“.

დიუს „გამთენიისას“ (იხ. ქვემოთ) (შდრ. დიუ-ღაუ „ბნელ-ნათელი დილისა, განთიადი, რიჟრაჟი“ [ქაჯაია 2002. III, 188]:

დიუს გოკურცხუნ, უკულ ვაგუჩერებუ „გამთენიისას რომ გაიღვიძა, მას მერე არ გაჩერებულა“; დიუს კუჩხის ოკო გერდე... „გამთენიას ფეხზე უნდა იდგე“. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება რედუპლიცირებული (ხმოვნის მონაცვლეობით) ფუძე დიუ-ღაუს „რიჟრაჟზე“: დიუ-ღაუს აქ მუგოკოდე „რიჟრაჟზე აქ რა გინდოდა“.

აღნიშნული მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება აგრეთვე მიცემითი ბრუნვის ფორმიანი გოთანას „გამთენიისას“ (შდრ. გოთანა „გათენება, განთიადი“). ამავე ფუძისგანაა ნაწარმოები აგოთანას „ალიონზე გამთენიისას“ (უფრო ადრე ვიდრე „გოთანას“):

აგოთანას მუშა ურთე „გამთენიისას რაზე წახვალთ“; აგოთანას ჭიჭე ქიმკარულუ „გამთენიისას ცოტა მიემინა“.

ვფიქრობთ, აღნიშნულ ზმნისართში ა ნაცვალსახელური წარმოშობისაა აგოთანას < ა(მ)გოთანას\* ან აგოთანას < ათეგოთანას\* ასევე; ამ ზმნისართული მნიშვნელობით



გვხვდება მოგოთანეს.

#87#

**მოგოთანეს** ღურუ ცოდა კოჩქე „გამთენიისას (ოდნავ გათენებულზე) მოკვდა საწყალი კაცი“ (შდრ. **მოონჯუეთ**).

**გოთანას** თაქ რდათ „გათენებულზე აქ იყავით“; **გოთანას** გგმათანე, დო ირო – ჩქიმი ხურხიჩელა (სამუშ., II, 117) „გათენებისას ცისკრის ვარსკვლავი, და მუდამ – ჩემი თეთრყელა“.

ამავე მნიშვნელობისაა მეგრულში ქართულიდან შესული მიმართულების ნიშნიანი **ალონშა** || **ალონშა** (შდრ. ალიონი). **ალონშა** მურე დუს გიმორეთე „რა არის ალიონზე თავზე რომ მადგებართ“.

ქართულიდანაა შეთვისებული მეგრულში მიცემითის ფორმიანი ზმნისართები.

**მალას(გ)** „მალე“ (შდრ. მალე „ჩქარა“):

**მალას** ქომიძირუდას – ჩქიმი კუნთხუს კინორდე (გუდ., 34, 59) „მალე მენახოს – ჩემს სახლში იყო (კუნთხეში იდგე)“; ჰე ჭარილი მეუ **მალასგ** (სამუშ., III, 65, 47, 55) „ჰე, წერილო, წადი მალე...“.

ამ ფუძისაგან ნაწარმოები ზმნისართი **მამალას** „სისწრაფით“ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია თანაბრობითი ხარისხის ფორმად [ზურაბიშვილი 1957, 144]; მანაწარმოებელია **მა-ა**:

ქარიში **მამალას** ართი დიდი მინდორიშა გაიშერულუ... (ყიფშ., 283, 34) „ქარის სისწრაფით ერთი დიდი მინდვრისკენ გამოიბინა“; ვალიში **მამალას** ქუმორთე (ყიფშ., 275, 6) „ელვის სისწრაფით მოვიდა“.

როგორც ვხედავთ, ეს ფორმა ნათესაობით ბრუნვაში დასმულ წინამავალ სიტყვებთან ერთად გვხვდება. მეგრული **გვიანას** და **მალას** ფორმებში -ას ელემენტის კვალიფიკაციის საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ქართულიდან ნასესხები ფუძეა **გვიანას** (შდრ. „გვიან“) „გვიან“ (შდრ. ლაზ. ძანო):

**გვიანას** გილურს ცუდეშა „სახლში გვიან დადის“; **გვიანას** ირულუანს „გვიან იძინებს“.

#88#

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება დაშორებითის ნიშ-  
ნიანი და -ო სუფიქსიანი სიტყვები: **გვიანო** და **გვიანაშე**.

**გვიანო** გილურს სკოლაშა „სკოლაში გვიან დადის“;  
**გვიანაშე** მაჟუ დოჭყაფილქ „გვიან მექნა დაწყებული“.

**მალას, გვიანას** || **გვიანაშე** ფუძეების შემთხვევაში  
საქმე გვაქვს ქართულიდან შეთვისებული სიტყვის მეგრულ  
გაფორმებასთან.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი „გაქვავებულია“ შემდეგ  
პრეფიქს-სუფიქსური ან პრეფიქსური წარმოების სიტყვებში:

**ოჭუმარეს** || **ოჭმარეს(გ)** „დილას“ (შდრ. ო-ჭუმ-არ-ე  
„დილა“):

**ოჭუმარეს** გედირთენი, თხა დო ჩხოუ სი გეჭვალა  
(გულ., 201, 22) „დილით რომ ადგები, თხა და ძროხა შენ  
მოწველე“; მაჟირა **ოჭმარეს** ბოშიქ მშვიდობა დუჩინ...  
(ხუბ., 1, 10) „მეორე დილას ბიჭმა მშვიდობა დაუბარა“; სო  
განჭუაფუ, **ოჭმარეს** იბდათ ართო „სად გეჩქარება, ხვალ  
დილას ერთად წავიდეთ“.

ამავე მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება **ორდოს(გ)**  
(შდრ. ო-რდ-ო „დილა“) „დილას“ (შდრ. ლაზ. **ორდო** „ად-  
რე“, „ჩქარა“) (იხ. ქვემოთ):

**ორდოსგ** გედირთეს დო მიდართეს „დილით ადგნენ  
და წავიდნენ“; ართი **ორდოს** ოზეს გინიილგ... (ყიფშ., 227, 29)  
„ერთ დილას ეზოდან გავიდა...“.

ამ ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ქართულში არის  
**ადრე**. **ადრე** და **ორდო**-ს კავშირზე პირველად მიუთითა ი.  
ყიფშიძემ [ყიფშიძე 1994, 294]. არნ. ჩიქობავამ გამოავლინა  
ლაზური ექვივალენტი „დილის“ მნიშვნელობით და **ორდო**-ს  
გამოყენება მეგრულში მეორეულ მოვლენად მიიჩნია [ჩიქობა-  
ვა 1938, 200].

ქართულში მეგრულის და ლაზურის ოდრ-ო/ორდ-ო  
ფორმის მიხედვით უნდა გვქონოდა \*ადრ-ად, ამ ფორმის  
გვერდით არსებობდა \*ადრ-ე, რომელიც ე-სუფიქსს შეიცავს  
(შდრ. მალ-ე, ხვალ-ე, ზეგ-ე...) როგორც ჩანს, -ე სუფიქსი  
#89#

ზმნიზედურ ფორმებს აწარმოებდა [ფენრიხი, სარჯველაძე,  
2000, 79] (იხ. ქვემოთ).

მეგრულში ლაზური **ორდო**-ს მნიშვნელობით (იხ. ქვე-  
მოთ) გამოიყენება ქართულიდან შემოსული **ადრეც**:

**ადრე** ენადგინა ყურდგელც წიარი ვეგიოჭიშუანსია  
(ხალხ. სიბრძ., 16, 2) „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაე-  
წევა მწევარიო“; მუმაქ **ადრე** დუღურესი... (გუდ., 214, 320)  
„მამა ადრე გარდაეცვალათ...“.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშე **ო\_ე** პრეფიქს-სუ-  
ფიქსით მეგრულში ნაწარმოებია ზმნისართი:

**ოსოგათე || ოსოგითე || ოსოგოთე || ოსოგვთე ||**  
**ოსოქთე || ოსოქთე** „დღენიადაგ, განუწყვეტლივ, მუდამ,  
სულ, ყოველთვის, რამდენიც (გინდა)“ [ქაჯაია 2002, II, 450]“

**ოსოქთე** ღვარუენი, სქანც ვადაიჯერცია (სამუშ., III,  
75, 24) „დღენიადაგ რომ იყვირო, შენი არ ესმისო...“; მუთ  
პკარინი, ჭარილი რე, **ოსოგითე** მალულეე (გუდ., 120, 15)  
„რაც დავწერე, დაწერილია, რამდენიც უნდა მამტყუნო...“;  
...ვაჩმარცხინე, **ოსოქთე** იხვარხვალე (სამუშ., III, 46, 3, 8)  
„ვერ მოგცილდები, რამდენიც უნდა იტრიალო...“

**ო - ე** მაწარმოებლების გამოყოფის შემდეგ ფუძედ  
რჩება **სოგ(ი)თ || სოგიდ || სოქ(ი)თ**. ჩვენი აზრით, ეს იგივე  
**სოდგა || სოდიგა...** ადგილის ზმნისართია („სადღაც“),  
რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: ერთი ქართველური  
წარმომავლობის -**თი**, რომელიც სახეცვლილად წარმოდგე-  
ნილ სიტყვებში **მიდგა** „ვიღაც“; **ნამუდგა** „რომელიღაც“,  
**სოდგა** „სადღაც“, **სოლედგა** „საიდანღაც“...): \*-თი-გა >  
\*-თგა > -დგა [ყიფშიძე 1994, 101] და მეორე აფხაზური  
წარმოშობის -გ~ჯ „-ც(ა)“ [შენგელია 1997, 185].

**სოდგა...** მუდგა, მიდი(ი)გა-ს პარალელურად ი. ყიფში-  
ძესთან წარმოდგენილია **დ ≧ გ** მეტათეზისის შედეგად მი-  
ღებული ფორმები: **მუგიდა, სოგიდა, ნამუგიდა...** [ყიფში-  
ძე 1994, 523]:

#90#

ჭგიჯგტიენც ბჰყიშენდი... ჟირი ვა მირე, **სოგიდა**  
იდესგნი (ყიფშ., 220, 3) „ჭიანჭველებს ვმწყემსავდი... ორი  
არ არის, სადაც წავიდნენ“; თე დროს ქიგეგონე **მუგიდენი**  
უმველებერი ხონარობა (ყიფშ., 241, 32) „ამ დროს გაიგონა  
რადაც უსაშველო ხმა“.

**სოგით- | სოქ(გ)თ-** ფუძეები გვაქვს ზმნისართში **ოსოგითე** „სანამ“ ..., ჩვენი აზრით, **სოგიდ(-ა)** ადგილის ზმნისართზე **ო-ე** პრეფიქს-სუფიქსის დართვით მივიღეთ დროის ზმნისართი.

**ონდღეს(გ)** (შდრ. **ო-(ნ)-დღ-ე** „შუადღე“) „შუადღეს“, „შუადღეზე“ (შდრ. **ლაზ. ო-ნდღ-ერ-ი** „შუადღე“):

**ონდღეს** სადილი ოჭკომეს „შუადღეზე საჭმელი შეჭამეს“; **ონდღესე** ჭიჭე ოკო ქელესვანჯე „შუადღეს ცოტა უნდა წაიძინო („წაისვენო“)“.

**ნაონდღერს || ნაონდღუს** „ნაშუადღევს“ [ქაჯაია 2002. II, 360] (შდრ. **ნა-ო-(ნ)-დღ-ერ-ი** „ნაშუადღევი“):

**ნაონდღერს** კინ იბდათ ცვანაშა „ნაშუადღევს ისევ წავიდეთ ყანაში“; **ნაონდღუს** დიჭყანს ბირას „ნაშუადღევს იწყებს სიმღერას“; ღორონთი ონდღეშა თაურე იჯინენია დო **ნაონდღერს** თეურეშე (ხალხ. სიბრძ., 150, ) „ღმერთი შუადღემდე აქეთ იყურებაო და ნაშუადღევს იქით“.

**ონჯუას || ოინჯუას(გ) || ონჯუვასგ || ონიჯუას** „საღამოს, საღამოზე“ [ქაჯაია 2002. II, 439] (შდრ. **ონჯუა** „საღამო“):

ქიმერთ **ოინჯუას...** (ხუბ., 175, 4) „მოვიდა საღამოს...“; ჩქიმ ცუდღეშა სი ქემორთი, დღაუქვი **ონჯუვასგ...** (სამუმ., 54, 53) „ჩემს სახლში შენ მოდი უქმე დღის საღამოჟამს...“ **ონჯუას** ჩეთ ვადიყურჩა... (ყიფშ., 352, 15) „საღამოს ადრე (თეთრად) არ დაიძინო“ (იხ. ქვემოთ).

მეგრულში, აღნიშნულის პარალელურად, ამავე ძირი-საგან ნაწარმოები კიდევ რამდენიმე ზმნისართი გამოიყენება ცოტა განსხვავებული ნიუანსური მნიშვნელობით:

**ოკოონჯუას** „მოსაღამოვებულზე“ (შდრ. **ლაზ. ოკო-#91#**

**ლუმჯუს**):

**ოკოონჯუას** არმაქ ეკიშაყარგ „მოსაღამოვებულზე ყველანი (შდრ. მეგრ. ოკოსერილს) შეიკრიბნენ“.

**ო.** ქაჯაიას ლექსიკონში დასტურდება, აგრეთვე, ფორმები: **გეონჯუეთ** (შდრ. **(გე-)ონჯუ-ე(-თ)** „საღამოს“) „შესაღამოვებულზე, საღამო ხანი“ [ქაჯაია 2001. I, 304] **გაკოონ-**

**ჯუას** (|| **აკონჯუას**) „საღამო ჟამს“; თელი დაღას თექ  
ვორდი დო **გაკონჯუას** ივდი ცუდეშა [ქაჯაია 2002. I,  
282] „მთელი დღე იქ ვიყავი და საღამო ჟამს (მოსაღამოვე-  
ბულზე) წავედი სახლში“.

**მოონჯუეთ(ი)** „საღამო ხანს, მოსაღამოვებულზე“ [ქა-  
ჯაია 2002. II, 304]:

არჩახ ქოჩორაქ **მოონჯუეთ** მინიილგ ბაღშა (დან. 72)  
„ერთხელ ქოჩორა მოსაღამოვებულზე შევიდა ბაღში“.

**მაინჯეთ** „საღამოს“ [ქაჯაია 2002. II, 208]:

**მაინჯეთ** (|| **მალინჯეთ**) მიდაფრთათ წორო „საღამოს  
(კენ) წავიდეთ ერთად“. (შდრ. **ამნიჯი...** „ამ საღამოს“) (იხ.  
ქვემოთ).

მეგრულში მიცემით ბრუნვის ნიშანი დაერთვის **-ობა**  
სუფიქსიან სიტყვებს და აწარმოებს ზმნისართულ ფუძეს:

**ათეშობას | ეშობას** (შდრ. ამასობა) „ამასობაში“:

**ათეშობას** სტუმარეფქ ხოლო ქუმორთეს „ამასობაში  
სტუმრებიც მოვიდნენ“.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დართვით იწარმოება, აგ-  
რეთვე, შემდეგი ფუძეები:

**(ვ)იშონანს** (შდრ. **ვიშონანი** „იქითობა“) „იქითობისას“.

**აშონანს** (შდრ. აშონანი „აქეთობა“) „აქეთობისას“:

მეუ დო **აშონანს** ქოიწოლენთ ამბესია (ხუბ., 110, 36)  
„წადი და აქეთობისას ამბავს გეტყვითო“; **ვიშონანს** ატამას  
ხოწენდუა დო **აშონანს** ატამაშ ნახოწას ჭკომუნდუა (ხალხ.  
სიბრძ., 48, 406) „იქითობისას ატამს თლიდაო და აქეთობისას  
ატმის ნათალს ჭამდაო“.

ლაზურში მიცემითი ბრუნვის ნიშანი გვაქვს შემდეგ  
#92#

ზმნისართებში **ნდღას** || **დღას** (შდრ. დღა „დღე“) „დღეს“.

მეგრულის მსგავსად, აღნიშნული მნიშვნელობა მაშინ  
აქვს ზმნისართს, როცა მას მსაზღვრელი ახლავს:

არ **დღას** ოჭკომალე ვარ უღუტესდორენ (ჩიქ., II, 11, 17)  
„ერთ დღეს საჭმელი არ ჰქონიათ“; მაჟუა **ნდღას** გააზგარეს  
დო დოხვეს (კარტ., II, 230; 17) „მეორე დღეს დაიტირეს  
და დამარხეს“.

ლაზურში დასტურდება აგრეთვე „დღა“ ფუძისაგან

ნაწარმოები ზმნისართი: **ნდლურა** || **მდლურა** || **მდლუა** ||  
**მდლა** || **მდლორა** || **ნდლორა** „წელან“ [ჩიქობავა 1938,  
194, ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 171] (**მდლორა** „ცოტა  
ხნის წინ, წელან“) [ჟღ., 1938, 193]“

**ნდლურა** ამუს ვა მეჩუ ქიფიტი (ჩიქ., II, 22, 25) „წე-  
ლან ამას არ მისცა ასანთი“; **მდლუა**-ნა მექჩი ჩხომეფე, სო  
ილი? (ჩიქ., II, 5, 34) „წელან რომ მოგეცი თევზები, სად  
წაიღე?“; ცალი გომაჭიმომუ-და. **მდლა**-თი ჰაშო მილუტ-ი-ა?  
(ჩიქ., II, 37, 37) „ყელი მომეღრიცაო. წელანაც ასე მქონდაო?“  
**ნდლორა** არ კოჩი მოშქუ, ჰემუს ქომებჩი (ჟღ., 74, 22) „წე-  
ლან ერთი კაცი (რომ) გამომიგზავნა, იმას მივეცი“ (შდრ.  
ინგილ. ნდლიურა „ყოველდღიურად“) [ლლონტი 1984, 216].

**სერ(ი)ს** || **სეის** (შდრ. სერი „ღამე“) „ღამეს“:

სუმ ნდლა დო სუმ **სერის**... დიდი ბაირამი დოვეს  
(ჟღ., 83, 26) „სამი დღე და სამ ღამეს... დიდი ბაირამობა  
გამართეს“; ჰექ ქობორტით არ **სეის** (ჩიქ., II, 53, 26) „იქ  
ვიყავით ერთი ღამე („ღამეს“)“.

როგორც ვხედავთ, ეს მნიშვნელობა ზმნისართს აქვს  
მსაზღვრელთან ერთად.

ლაზურში ზმნისართის ფუნქციით აღნიშნული სიტყვა  
გვხვდება ფუძის სახით ან სახელობითი ბრუნვის ფორმით.

ფუძის სახით წარმოდგენილია შემდეგ მაგალითებში:

დღალერი დაღის ბორე, **სერ** და სქანკალა ბჯან  
(კარტ., III, 210, 27) „დღისით ტყეში ვარ, ღამით შენს დას-  
თან მძინავს“; **სერ** ოხორჯაქ ხჩე დოლოქუნი ქოდილიქუნუ  
#93#

(ჩიქ., I, 41, 34) „ღამით ცოლმა თეთრი ტანსაცმელი ჩაიცვა“.

სახელობითი ბრუნვის ფორმით:

ინდაურეფე **სეი** მკდაუფექ ნუხირტუ (კარტ., IV, 35, 38)  
„ინდაურებს ღამე („ღამით“) ტურა ჰპარავდა“; **სერი** მენდახ-  
თუ... (ჟღ., 31, 30) „...ღამე წავიდა („ღამით“)“; ჰემუს  
**სერი** თოლს ამირენ... (ჩიქ., II, 42, 25) „ის ღამით ხატავს...  
**სეი** მსქვეი ქომოხთუ... (კარტ., I, 161, 4) „ღამე (ღამით) ირე-  
მი მოვიდა...“.

**ლუმჯიას** || **ლუმჯის** || **ლიმჯის** || **ლიმჯიმ** (შ  $\neq$  ს)

(შდრ. ლიმჯი „საღამო“; შდრ. მეგრ. **ონჯუა**) „საღამოს“:

**ლუმჯიას** ხოლ' ქომოხთუ ცანა... (ჟღ., 150, 31) „საღამოს კიდევ მოვიდა გულწითელა...“; **ლუმჯის** ხოლო არ კუკუმა წკარი ჩქვა მუქთამან (ჟღ., 11, 34) „საღამოს ერთ დოქ წყალს დაასხამენ...“; **ლიმჯიმ** ოხორჯა გუიქთუ ცონაშე (ჩიქ., I, 37, 15) „საღამოს ცოლი დაბრუნდა ყანიდან“.

ლაზური **ლიმჯი** უნდა მომდინარეობდეს **ლუმჯუ-სა-**გან. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობს **ლუ-**ს არსებობა ნასახელარ ზმნებში და მეგრული **ონჯუა-ს უ-**ც... თავსართები **ლუ-** და **ო-** ფუნქციით შეესატყვისებიან ერთმანეთს. მეგრ. **-ნ-**, ლაზ. **-მ-** ფონეტიკური დანართი უნდა იყოს. ძირისეულ ნაწილად გამოიყოფა **ჯ**, რაც დაკავშირებულია ზმნურ ფუძესთან ზანური **ჯ-ან-უ** „წევს“, **ჯ-ირ-ი** „წევს“, „ძილი“ – **ლუმჯი** | **ლიმჯი** – მეგრ. **ონჯუა**, **მაინ-ჯე** – „ძილის დრო“, „საძინებელი დრო“ [ჩიქობავა 1938, 197].

ლაზურში გვხვდება აღნიშნული ზმნისართისაგან ნაწარმოები რამდენიმე ფორმა.

**ოკოლუმჯუს** (შდრ. ლუმჯუ „საღამო“) „მოსაღამოვებულზე“ (შდრ. მეგრ. **ოკოონჯუას**) (იხ. ზემოთ)“

**ოკოლუმჯუს** ჯუმა-მუში... მოხთუ (კარტ., III, 45, 35) „მოსაღამოვებულზე მისი ძმა... მოვიდა“.

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ლაზურში **ო-**თავსართიანი და **-შე** დაშორებითს ნიშნიანი ფორმაც:

**ოლუმჯიშე** (შდრ. ლუმჯი „საღამო“) „მოსაღამოვებულ-#94#

ზე“, („საღამოსკენ“):

**ოლუმჯიშე** ბოზოში ბაბა ქომოხთუ (ჟღ., 28, 29)

„მოსაღამოვებულზე გოგოს მამა მოვიდა“ (იხ. ქვემოთ).

**ჭუმანის** (შდრ. ჭუმანი „დილა“) „დილას“:

სოხუმიშე ვიდარე **ჭუმანის**... (ჩიქ., II, 104, 13) „დილით სოხუმში წავალ“.

**ს** → **შ** პროცესის შედეგად გვაქვს **ჭუმანიში** „დილას“:

**ჭუმანიში** თელიშენ ორდო ია ისელასიონონ (ასათ., 58, 32) „დილას ყველაზე ადრე ის უნდა ადგეს“; **ჭუმანიში** მამული ქოჭკომია (კარტ., IV, 3, 15) „დილას მამალი შეჭამეო“; კოჩიქ **ჭუმანიში** ორდო ქისელუ (ჩიქ., I, 42, 6) „კაცი

დილას (დილა) ადრე წავიდა“ (შდრ. მეგრ. **ოჭუმარეს** „დილას“).

აღნიშნული ფორმით (**ჭუმანიში**) გვხვდება ნათესაობითის მნიშვნელობითაც:

**ჭუმანიში** ნჩოხრო საატის მოხთით (კარტ., III, 152, 23) „დილის ცხრა საათზე მიდით“.

**გონთანას** (შდრ. გონთანა „გათენება“) „გამთენიისას“:  
**გონთანას** ედელს... დო ოჩალიშაფამს (კარტ., III, 193, 8) „გამთენიისას ადგება... და ამუშავებს“ (შდრ. მეგრ. (ა)გოთანას).

**წანას** (შდრ. წანა || წო „წელი“) „გაისად, მომავალ წელს“, „წელს“:

**წანას** მუჭო იასერე, ვა მიშქუნ (ჩიქ., II, 103, 8) „გაისად როგორი იქნება, არ ვიცი... სუმ **წანას** ბარაბერ დოსქიდეს (ჟღ., 87, 35) „სამი წელი ერთად დარჩენ“.

ძირი **წ-** საერთოა სამივე ენისათვის, დეტერმინანტი-სუფიქსებია განსხვავებული – ქართულში **-ელ-**, ჭანურსა და მეგრულში **-ან-** (მას შემდეგ **-ა** აქვს დართული). აქ შესატყვისობა მხოლოდ ფუნქციონალურია [ჩიქობავა 1938, 205]. აღნიშნული მნიშვნელობით („გაისად“) გამოიყენება დაშორებითის ბრუნვის ნიშნიანი ფორმაც: წანაშე

**გოწოს** (|| **გოწო**) „შარშან“ (შდრ. **გოწო** „გასული წელი“) [Mapp 1910, 218]:

წწი, **გოწოს**, გოწო წოხლე (ასათ., 134, 84,1) „წელს, შარშან, შარშანწინ“; **გოწოს** ხასანის დო სიშენიში დუფის დიდო შუკა უღუტუ... (ჟღ., 44, 4) „შარშან ზეინკალ ხასანს და დუფის ბევრი კიტრი ჰქონდათ (მოყვანილი)“. **გოწო** კიში დიდო ცინი რტუ (ჩიქ., 11, 111, 13) „შარშან ზამთარში დიდი სიცივე იყო“.

სამეცნიერო ლიტერატურის შესაბამისად **წო-** მიღებული უნდა იყოს **წუ-**საგან, რომელშიც **-უ** დეტერმინანტი-სუფიქსია და ეტოლება ქართულ **-ელ-**ს (ბად-უ -ბედ-ელ...). ამ **უ-**ს ი-თ შეცვლამ მოგვცა მეგრ. **წი** „წელს“ [ჩიქობავა



1938, 205].

მეგრულის შესაბამისად ლაზურშიც მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაერთვის პრეფიქს-სუფიქსიან სიტყვებს:

**ონდღერის** || **ონდღეის** (შდრ. ონდღე „შუადღე“)

„შუადღეს“:

ჩხომი დომიტალანი! **ონდღეის** კჳკომარე-მა (ჩიქ., II, 41, 18) „...თევზი შემიწვი! შუადღეს შევჳამ“; ქომოლიქთი **ონდღერის** ხოჯეფე ქონუშქუ (ჩიქ. II, 5, 31) „ქმარმაც შუადღე ხოჯები“.

ლაზურში მიცემითი ბრუნვის ნიშნის გარეშეც გვხვდება სიტყვები ზმნისართის ფუნქციით:

**ოჳუმე** (შდრ. ჳუმე „ხვალ“) „ხვალ“:

**ოჳუმე** ქომოხთით შკიმინდა... (კარტ., II, 231, 5)

„ხვალ მოდით ჩემთან...“; **ოჳუმე** ბიდათ ლივადიშა (ჩიქ., II, 116, 26) „ხვალ წავიდეთ ყანაში...“; **ოჳუმე** დემა მა ბათომიშე მოფთარ... (ჩიქ., II, 111, 8) „ხვალ შუადღეს მე ბათუმში მოვალ“. აღნიშნული ზმნისართისაგან მომდინარედ მიაჩნია ქ.ლომთათიძეს „ხვალ“-ის აღმნიშვნელი სიტყვა აფხაზურში ჴა-წოგ; სხვა ენის ო აფხაზურში იძლევა ჴა-ს; ჳუ კომ-პლექსი აფხაზურში ლაზიალიზებულ ბგერად შერწყმის ნია-დაგზე სწორედ წო-ს მოგვცემდა [ლომთათიძე 1954, 276].

#96#

**ორდო** „ადრე, მალე“:

ხოლო **ორდო** მოხთია... (ჟღ., 53, 4) „ისევ ადრე მოდიო...“; ...გზა **ორდო** იჩოდენია... (კარტ., I, 164, 32)

„...გზაც მალე მოთავდებაო“; ...თქვა გინონ-ნა, **ორდო** დოთქვია (კარტ., I, 170, 160) „...თუ გინდა, მალე თქვიო!“ (იხ. ქვემოთ).

**ანო** „გვიან“ [Mapp 1910, 175] (შდრ. ქართ. გვიანო იხ. ზემოთ):

დო არ წანა **ანო** გეოჩქვი (ასათ., 134, 83, 10) „და ერთი წლით („ერთი წელი“) გვიან გავუშვი“; ორდო გონცასენ-ი, **ანო** გონცასენ-ი, ვარ მიჩქინ (ჩიქ., II, 74, 3) „ადრე მიხვდა თუ გვიან მიხვდა, არ ვიცი“.

მანი „ჩქარა“ (შდრ. ქართ. მალე):

...მანი-მანი დოლოქუნეფე დოლოიქუნაფ... (ასათ., 32, 46)  
„ჩქარ-ჩქარა ტანსაცმელს ჩაიცვამ...“ (იხ. ქვემოთ).

### § 2.3. ბრუნვის ნიშნიანი ზმნისართები. დროის

ზმნისართები მეგრულ-ლაზურში ხშირად ნაწარმოებია და-  
შორებითი, მიმართულებითი და, ნაწილობრივ, მიცემითი  
და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებით.

დამორებითი ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია ზმნი-  
სართთა საკმაო რაოდენობაში.

**ჭუმეშე || ჭუმანშე** „ხვალიდან“:

**ჭუმეშე** იჭყაფუ პიჩვანი „ხვალიდან მარხვა იწყება“;

**ჭუმანშე** იჭყანა მუშობას „ხვალიდან იწყებენ მუშაობას“.

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება

**ჭუმანერშე || ჭუმენერშე** (შდრ. ჭუმანერი || ჭუმენე-  
რი „ხვალინდელი“) „ხვალიდან“, „ხვალინდელი დღიდან“.

**ჭუმანერშე** იჭყანა დიხაშ ხონუას „ხვალიდან იწყებენ  
მიწის მოხვნას“.

**გოღანშე || გოღანერშე** „გუმინიდან, გუმინდლიდან,  
„გუმინდელი დღიდან“.

პირველთან შედარებით მეორე ფორმა უფრო გამოიყე-  
#97#

ნება ზეპირ მეტყველებაში (შდრ. გოღანერი „გუმინდელი“).

**გოღანერშე** გაფრთხილენდი დო ვადამჯერი... „გუმინ-  
დელიდან (გუმინიდან მოყოლებული) გაფრთხილებდი და  
არ დამიჯერე...“.

**გელანშე || გელანერშე** (შდრ. გელანერი „ზეგინდელი“)  
„ზეგიდან, ზეგინდლიდან“.

**გელანერშე** ქევაყუნუთ ცვანაშ ტახუას „ზეგიდან (ზე-  
გინდელი დღიდან) შევუდგებით მოსავლის აღებას“.

**ღუმანერშე** (შდრ. ღუმანერი „წუხანდელ“) „წუხელი-  
დან“:

**ღუმანერშე** თაშ ინგარს... „წუხანდლიდან ასე ტი-  
რის...“; სო რდით... **ღუმანერშე** მორთუმდესკო „სად იყა-  
ვით... წუხანდელიდან მოსულიყავით“.

ამგვარადვე -შე ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია შემ-

დეგ ზმნისართებში:

**გოწოშე** || **გოწონერშე** (შდრ. გოწონერი „შარშანდელი“) „შარშანდელიდან, შარშანდელი წლიდან“.

**გოწოხ(ი)შე** || **გოწოხონერშე** „შარშანწინიდან“.

**ანწიშე** || **ანწიანშე** (შდრ. ანწიანი „აწინდელი“) „ამიერიდან, დღეიდან“ (შდრ. **ანწიან წიმი**):

**ანწიანშე** მიჩქე, მუჭო მიფქცუე „ამიერიდან ვიცი, თუ როგორ უნდა მოვიქცე“.

**ორდოშე** (შდრ. ორდო „დილა“) „დილიდან“:

მატაროზე **ორდოშე** იჩინებენია [ქაჯაია 2002, II, 442] „დარი დილიდანვე იცნობაო“.

**ოჭ(უ)მარეშე** (შდრ. ოჭუმარე „დილა“) „დილიდან“:

**ოჭგმარეშე** ონჯუაშა თაქ ენორდგ „დილიდან სალამომდე აქ იყო („იდგა“)“.

**ონდღეშე** (შდრ. ონდღე „შუადღე“) „შუადღიდან“:

**ონდღეშე** მოქიონაფილ რე მუდგარენ „რალაც შუადღიდან შეღონებულია“.

**ნაონდღერშე** (შდრ. ნაონდღერი „ნაშუადღევი“) „ნაშუადღევიდან“.

#98#

**ონჯუაშე** (შდრ. ონჯუა „სალამო (ჟამი)“) „სალამოდან“ „დაბინდებიდან“ [ქაჯაია 2002, I, 439]:

**ონჯუაშე** დიჰჰყათ მზადება „სალამოდან დავიწყოთ სამზადისი“.

ამგვარადვე იწარმოება შემდეგი ფორმები:

(ა)**გოთანაშე** (შდრ. (ა)**გოთანა** „განთიადი“, „გათენება“) „გათენებიდან“ || **იალონშე** (შდრ. „ალიონი“) „ალიონიდან“

**ასეშე** | **ასეხ(გ)შე** (შდრ. ასე „ახლა“) „აქედან“.

**ასეშე** დუს უშველით „აქედანვე (ახლავე) თავს უშველეთ“; **ასეხშე** ოკო მიკოჯინა „აქედანვე უნდა ყურადღება“.

როგორც ცნობილია, დაშორებითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქციაა დროსა და სივრცეში მოქმედების საწყისობის ასახვა. ამ მხრივ, საინტერესოა მეგრულში დროის რამდენიმე ზმნისართი, რომელზედაც ამ ბრუნვის ნიშნის დართვით არ ხდება ახალი მნიშვნელობის მქონე სიტყვის წარმოება:

შხვა დოგორი **ანწინეშე** (გუდ., 281, 26) „სხვა მოძებნე ამიერიდან...“.

**დიორდეშე** (შდრ. დიო(რ)დე „ჯერ-ჯერობით“) „ჯერ-ჯერობით“:

**დიორდეშე** ხონარი ვეკულალ „ჯერ-ჯერობით ხმა არ ამოუღია“.

ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვანია დაკარგული **დიორდეე** ფორმაში:

მარა **დიორდეე** ის ვა ატაკე... (ცაგ., 23, 4) „მაგრამ ჯერ-ჯერობით იმას არ დატაკებია...“ (**დიორდეე** < **დიორდეშე**).

აღნიშნული ზმნისართის დაშორებითი ბრუნვის ფორმამ შეიძლება მიცემითის ნიშანიც დაირთოს:

**დიორდეშეს** || **დიორდეშის** იგივეა რაც **დიორდე**, **დიორდეშე** [ქაჯაია 2002. I, 473]:

**დიორდეშეს** ვადუჭყაფუ ღვარაფი „ჯერჯერობით ყვირილი არ დაუწყია. ინა მა **დიორდეშის** ვა მომიღალ (ხუბ., 17, 31) „ის მე ჯერ არ მომიტანია“.

#99#

ასეთივე პარალელური ფორმებია გამოყენებული:

**უკულნეშე** || **უკულნეშეს** || **უკულნეშის** „შემდგომ, მერე“:

**უკულნეშე** მოღმაზარ... (სამუშ., II; 119, 63) „შემდეგ გამომაცილა...“; **უკულნეშის** კოჩის სახე ბაღანენქ უბარგეთ ტყას ქედოსქიდეს (ხუბ., 208, 17) „მერე კაცის სახის ბავშვები ტანსაცმლის გარეშე ტყეში დარჩნენ“; იცხოვრეს **უკულნეშის**... (ხუბ., 117, 17) „ცხოვრობდნენ შემდგომ...“

**ხეთეშე** || **ხათეშე** || **ხეთეხშე** || **ხათეხშე** || **ხეთეშესი** (შდრ. **ხეთე** || **ხათე** „მაშინ, მაშინათვე“) „მაშინათვე, მაშინვე“ [ქაჯაია 2002. III, 528, 509]:

**ხეთეშე** ქიგიორჩქინდგ გურიში მულაქ „გაბრაზება მაშინვე დაეტყო“; ღურა **ხათეხშე** ქიმნარტი, პრიველიშე ქორძირინი (ხუბ., 98, 35) „მაშინვე სიკვდილი ვინატრე, პირველად რომ გნახე“; **ხათეშე** დუდიშ მართლება ქიდიჭყე „მაშინვე თავის მართლება დაიწყო“.

ლაზურ ზმნისართებში წარმოდგენილია დაშორებითი ბრუნვის ნიშანი:

**ჭუმანიშე(ნ)** (შდრ. ჭუმანი „დილა“) „დილიდან“:

**ჭუმანიშე** ბიჭი ეისელუ... (კარტ., III, 166, 11) „დილით

ბიჭი ადგა“; **ჭუმანიშე**... მოვისელით (ჩიქ., II, 104, 23)  
„დილით... ავდექით“; **ჭუმანიშენ** ახჩამიშა ფუჯი ოჯვინაპტუ  
(კარტ., IV, 22, 4) „დილიდან საღამომდე ძროხას აძოვებდა“.

**აწიშენ** (შდრ. (3)აწი „ახლა, აწი“) „ამიერიდან“:

ბერეფე, **აწიშენ** მუზევირჯობს მო გააგეთ-ქი, ოკულე  
ირდათ-ში, დიდო ზიანი გაყვენან (ჩიქ., I, 89, 22) „ბავშვე-  
ბო, ამიერიდან... ნუ შეეჩვევით, მერე რომ გაიზრდებით,  
დიდი ზიანი გექნებათ“.

**ლუმჯუშე** დოთანაშა [Mapp 1910, 164] „დაბინდები-  
დან დილამდე“; **ლუმჯერიშე** (შდრ. **ლუმჯერი** “შესაღამო-  
ვებული“ საღამო) „დაბინდებიდან“ [Mapp 1910, 164] (შდრ.  
**ლუმანერ(ი)შე**... **გოღანერიშე**...).

დაშორებითი ბრუნვის ფორმა უფრო ხშირად გამოყე-  
#100#

ნებულია ქართული მიცემითი ბრუნვის მაგივრად:

**ჭუმანიშე** გეხთუ... დო ქურქი დიჭუ... (ჩიქ., II, 45, 29)  
„დილას ჩავიდა ...და ქურქი შეიკერა“; **ჭუმანიშე** ფადიშაიშ  
ბიჭიკალა ბარაბერ ასლანიშ ბიჭი დივეფეშ ოხოშია იგზა-  
ლეს (ჩიქ., II, 38, 15) „დილას ასლანის ბიჭი მეფის შვილ-  
თან ერთად დევების სახლში წავიდნენ“; **ჭუმანიშე** ჰექ  
იდაშ-კულე-მა გარი გიხენანერენ-მა (ჩიქ., II, 38, 10) „დი-  
ლას იქ რომ მიხვალთ საჭმელს მოგიშადადებნო“.

**ოლუმჯიშე** ბოზოში ბაბა ქომოხთუ (ჟღ., 28, 29)  
„საღამოს გოგოს მამა მოვიდა“; **ოლუმჯიაშე** ბელიში ბოზო-  
კალა არ ოდას ინჯირე-შ-კულე მუნთხანეფე... ოკითქვეს  
(ჟღ., 16, 27) „საღამოს ბეგის გოგოსთან ერთად სახლში  
რომ დაწვნენ, რაღაცეები... მოილაპარაკეს“; **ოლუმჯიაშე**...  
ბელიშ ბოზო ქომოხთუ... (ჟღ. 16, 20) „საღამოს... ბეგის  
გოგო მოვიდა“.

გვაქვს შემთხვევა, როდესაც დაშორებითი ქართულ  
ვითარებითის ნაცვლად გამოიყენება: **წანაშე** მა მახომა მო-  
ფთარე... (ჩიქ., II, 1, 15) „გაისად მე მახოში მოვალ“.

-**შე** ბრუნვის ნიშანი, მეგრულის მსგავსად ლაზურშიც  
ზოგჯერ ვერ აწარმოებს ზმნისართულ ფუძეს: ჰუდ მოხთასე-  
რე **ორდოშე** (ჩიქ., II, 21) „ახლა მოვა მალე...“; ...მუქ **ორ-  
დოშენ** იგზალუ (კარტ., IV, 92, 24). „...თვითონ ადრე წა-  
ვიდა“; ისელით **აწიშენ!**.. (ჩიქ., I, 39, 9) „ადექით აწი!“

აწიშენ მოღუინი! (კარტ., IV, 22, 21) „აწი მომკალი!“.

მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის დართვით მეგრულში იწარმოება მთელი რიგი ზმნისართები.

(ჭუმეშა ||) ჭუმენერშა (შდრ. ჭუმენერშე) „ხვალამდე, ხვალინდეღ დღემდე“:

ჭუმენერშა ქიბჯინათ „ხვალამდე დავიცადოთ“; ამდღანერ საქმე ჭუმეშა ვეგნოდვა „დღევანდელი საქმე ხვალამდე არ გადადო“.

ამგვარადვე იწარმოება შემდეგი ფორმები:

გოღაშა || გოღანერშა (ხგ) (შდრ. გოღანერი „გუშინ-  
#101#

დელი“) „გუშინდღამდე, გუშინდელ დღემდე“);

გოღაწოხოშა || გოღაწოხოწონერშა(ხგ) „გუშინ წინამდე“;

გელანერშა || გელანშა „ზეგამდე“.

ონჯუაშა || ონჯუაშახგ (ონჯუა „საღამო“) „საღამომდე“:

სანამუსო ნოღვედუ დო ონჯუაშხგ რაგადუუ (გუდ., 182, 275, 4) „სანამუსო (სათქმელი) ჰქონოდა და საღამომდე ილაპარაკა“; ონჯუაშა ქოყვილუნდეს ნდემეფც... (ყიფშ., 292, 19) „საღამომდე ხოცავდნენ დევებს“.

ოჭმარეშა || ოჭმარეშახგ (შდრ. ოჭმარე „დილა“)

„დილამდე“.

ოჭმარეშა ქორდღ ბირა-ლაყაფ „დილამდე (ქე)იყო სიმღერა-თამაში“; ოჭმარეშახგ მუს უჯინათ, ასევე ხოლო დიპყყათ „დილამდე რას დაველოდოთ, აქედანვე დავიწყოთ“.

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ორდოშა(ხგ) (შდრ. ორდო „დილა“).

ორდოშახგ ირიართო ქინგარგ (ცაგ., 10) „დილამდე სულ ტიროდა“ („იტირა“).

ონდღეშა(ხგ) (შდრ. ონდღე „შუადღე“) „შუადღემდე“;

ნაონდღერშა(ხგ) „ნაშუადღევამდე“

სერშა(ხგ) (შდრ. სერი „ღამე“) „დაღამებამდე“.

ლაზურში მიმართულებითი ბრუნვის ნიშნით შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე ზმნისართი.

**ჭუმანიშა** „დილამდე“:

დიდი ჯუმა-ჩქიმი, **ჭუმანიშა** არ სათი ტაში, იდასენონ (კარტ., III, 37, 27) „ჩემი უფროსი ძმა (ძმა-ჩემი) დილამდე ერთი საათი რომ იყოს, უნდა წავიდეს“.

**ჭუმანიშაღა**... „დილამდე“:

აწი **ჭუმანიშაღა** ოხვეწაფს... (კარტ., IV, 24, 29) „ახლა დილამდე ეხვეწება...“; ოხორჯაქ **ჭუმანიშაღა** უღალალტუ მუში ქიმილოს... (კარტ., IV, 25, 4) „ცოლი დილამდე ელაპარაკებოდა თავის ქმარს“.

**ოლუმჯიაშა** „დაბინდებამდე“:

**ოლუმჯიაშა** ხასანი დოლურე... (ჟღ., 9, 29) „სალამო-  
#102#  
მდე ხასანი მოკვდა...“.

**ონდღერიშა** „შუადღემდე“:

აწი **ონდღერიშა** ჩუმერს ბიჭიქ... (კარტ., III, 83, 12) „ახლა შუადღემდე უცდის ბიჭი...“; **ონდღეშაქის** ქოგობთეს... (კარტ., 92, 18) „ნაშუადღემდე შემოვიდნენ...“ (შდრ. მეგრ. **ონდღეშახე**).

**აწიშა** „აქამდე“:

**აწიშა** არ მომჩაფტესდა, აწი ჟურ მომჩაფანდა (კარტ., III, 87, 34) „აქამდე ერთს მაძლევდნენო, ახლა ორს მომცემენ“-ო.

მეგრულ-ლაზურში ზმნისართული მნიშვნელობა მიიღება მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის დართვის შედეგადაც.

მეგრულში სახელისაგან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის დართვით იწარმოება რამდენიმე ზმნისართი:

**სერით** (შდრ. სერი „ღამე“) „ღამით“:

...**სერით** მეულა ტყაშა „ტყეში ღამით მიდიან“; **სერით** ადრე ირულუანს „ღამე ადრე იძინებს“.

**დღაშით** (შდრ. დღაში „დღისი“) „დღისით“:

**სერით** ბლურს, **დღაშით** ვარ... (გუდ., 41, 73) „ღამე

მბინავს, დღე არა“.

**ოსერიშეთ** (შდრ. ო-სერიშ-ე „ვახშამი“) „ვახშამობისას, „ვახშამობის დროს“:

ქედობოდეს **ოსერიშეთ** (ხუბ., 63, 20) „დასხდნენ სა-  
ვახშამოდ...“; **ოსერგშეთ** ქემორთით აკა „ვახშამობის დროს  
მოდით ე(რთ)ი“.

ლაზურში მოქმედებითის ბრუნვის ნიშანი დაერთვის  
მხოლოდ **სერ-** ფუძეს:

**სერთე** ქოდომინჯირით... (ჟლ., 147, 32) „ლამით და-  
ვიძინეთ“; ჩქიმი არქადაშიქ **სერთე** იზმოჯე ქომირუ...  
(ჟლ., 147, 33) „ჩემმა ამხანაგმა ლამით სიზმარი ნახა“.

მნიშვნელობა „დღისით“ ლაზურში გადმოიცემა **-რე** სუ-  
ფიქსის გამოყენებით:

**ნდღალერი** || **ნდღალეი**:

#103#

**დღალერი** დაღის ბორე... (კარტ., III, 210; 27) „დღი-  
სით ტყეში ვარ...“; მან **ნდღალერი** ხუთ თულულა ვა ეშა-  
მალენ (ჩიქ., I, 39, 14) „მე დღისით ხუთ აგურს ვერ ავი-  
ტან...“; **ნდღალეი** ვა მულენ... (ჩიქ., II, 144, 15) „დღისით  
(რომ) არ მოდის...“.

### § 3. კომპოზიციის შედეგად მიღებული დროის

**ზმნისართები.** დროის ზმნისართთა საწარმოებლად საკმა-  
ოდ ხშირად გამოიყენება კომპოზიცია. ფუძის გაორკეცება  
დროის ზმნისართებისათვის უფრო ნაკლებად დამახასიათე-  
ბელია, ვიდრე ადგილის ზმნისართებისათვის. მეგრულში რე-  
დუპლიკაციის რამდენიმე სახე შეიძლება გამოიყოს:

#### 1. ფუძეუცვლელი (მარტივი) გაორკეცება:

**ხათე-ხათე** || **ხეთე-ხეთე** (შდრ. ხეთე || ხათე) „უცებ,  
მაშინათვე“:

**ხეთე-ხეთე** ქუდაჭყეძე სუდეში მიკონწყულა „უცებ  
(„მაშინათვე“) დაიწყო სახლის მილაგება“; ...სი მერჩანა **ხა-  
თე-ხათე** (გუდ., 325, 470) „...შენ მოგცემენ მაშინათვე“.

**დიო-დიო** მუთა მიჭირს „ჯერ-ჯერობით არა მიშავს“;  
**დიო-დიო** დოუფულუნქ „ჯერ-ჯერობით დავუმალავ“.



ადრე-ადრე (შდრ. ადრე „ადრე, მალე“) „ადრე-ადრე“.  
გოშა-გოშა „ხანდახან, ზოგჯერ“ (შდრ. ოშა-გოშა“).  
ჩქინდა გოშა-გოშა გილურსგ „ჩვენთან ხანდახან მოდის“.

2. ფუძეგაორკეცებით მიღებული ზმნისართის  
ორივე კომპონენტი წმინდა ფუძეს წარმოადგენს,  
მთლიანად წარმოებას კი ზმნისართულ მნიშვნელობას სძენს  
მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმება:

ონჯუა-ონჯუას(გ) (შდრ. ონჯუა „სადამო“) „სადამო-სა-  
დამოს, სადამოობით“.

ონჯუა-ონჯუას დაყოფა დააჟყვ... (ყიფშ., 261, 8) „სა-  
დამო-სადამოობით დაგვიანება დაიწყო...“.

ოჭუმარე-ოჭუმარესგ || ოჭმარე-ოჭმარეს(გ) „დილ-  
დილაობით“ (შდრ. ოჭუმარეს „დილას“):

#104#

ნერგიქ ოჭმარე-ოჭმარეს ოკო დიჩხაპას [ქაჯაია 2002,  
II, 468] „ნერგი დილ-დილაობით მოსხურებული უნდა იქნას  
(მოისხუროს)“; ოჭუმარე-ოჭუმარეს ადრე ოკო გედირ-  
თე „დილ-დილაობით ადრე უნდა ადგე“.

ორდო-ორდოს(გ) (შდრ. ორდო „დილა“) „დილ-დი-  
ლაობით“:

ორდო-ორდოს გილულას დუდი დანები „დილ-დილა-  
ობით სიარულს თავი დაანებე“ (შდრ. ოჭუმარე-ოჭუმარეს).

ონდლე-ონდლეს(გ) (შდრ. ონდლე „შუადლე“) „შუა-  
დლეობით“:

ონდლე-ონდლეს მუს ჭკომუნდით? „შუადლისას რას  
მიირთმევდით?“

მალ(ა)-მალას(გ) (შდრ. „მალე“) „მალე-მალე“:

...გულურც მალა-მალას (ხუბ., 22) „...ხშირად („მა-  
ლე-მალე“) დადის“; მალ-მალას ძირაფულენს... „მალე-მალე  
ნახულობს“.

მამალა-მამალას (შდრ. მამალა „სისწრაფე“) „სწრაფ(-ად)-  
სწრაფად“.

ეს ზმნისართი მხოლოდ გარკვეულ შესიტყვებაში  
გამოიყენება, როგორც შესიტყვების მეორე კომპონენტი:

მუშ მამალა-მამალას თქუანქიე, თიმ მამალას ოკო  
ფჩანიე ოდიარე (ხუბ., 123, 21) „რა სისწრაფითაც იტყვიო,

იმ სისწრაფით უნდა მაჭამონო ბალახი“; თიმ მამალა-მამალასგ ქირქენდღ ხეს, თოლქე ვამაჭირინუ „ისე სწრაფად (ზედმიწ., „სწრაფ-სწრაფს“) იქნევდა ხელს, თვალი ვერ მივაწვდინე“.

### 3. გაორკეცებული ფუძის პირველ კომპონენტს დაკარგული აქვს ფუძისეული თანხმოვანი:

**წაწამს** (← წამ-წამს, შდრ. წამს „წამს, წამში“):

**წაწამს** არჩქილე დიდაშ ნარაგადი „წამში ესმის დედის ნათქვამი“; ე ბადიდის **წაწამს** არჩქილე ირფელი „ამ ბერიკაცს ზუსტად ესმის ყველაფერი“.

#105#

### 4. რედუპლიცირებული ფუძე გაფორმებულია მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით:

**სერ(ი)-სერთ(გ)** (შდრ. სერი „ღამე“) „ღამ-ღამობით“:

**სერი-სერთ** მიდვოცაცა... (გუდ., 219, 5) „ღამ-ღამობით მივცუნცულდები...“; **სერ-სერთ** ხოლო მუშენს „ღამ-ღამობითაც მუშაობს“.

**ღლა-ღლათ(გ)** (შდრ. ღლა „ღღე“) „ღღითი-ღღე“:

ბალანა **ღლა-ღლათ** ქირდუ „ბავშვი ღღითი-ღღე იზრდება“; **ღლა-ღლათ** მითმუორჩქვანუანქ თაქიანობას „ღღითიღღე ვაჩვევ აქაურობას“.

აღნიშნული ზმნისართის პარალელურად გამოიყენება მნიშვნელობით ნიუანსურად ცოტა განსხვავებული

**ღლა-ღლაშე** (შდრ. ლაზ. **ღლაშენ-ღლა** „ღღე-ღღეზე“)

„ღღითი-ღღე, ღღე-ღღეზე“:

**ღლა-ღლაშე** იუჯგუშებუ „ღღითი-ღღე უკეთესი ხდება“; **ღლა-ღლაშე** იძინანს „ღღე-ღღეზე მატულობს“.

### 5. რედუპლიცირებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, მთლიანად კომპოზიტი კი მოქმედებით ბრუნვაშია:

**ღლაშ-ღლაშით(გ)** (შდრ. ღლაში „ღღისი“) „ღღისით“ (ზედმიწ. „ღღისი-ღღისით“; შდრ. „ღღისით-მზისით“):

აკომკა გონჯამილ ულუ **ღლაშ-ღლაშით** (ყიფშ., 307, 13) „ღღისით ფანჯარა გამოღებული აქვს“.

დროის ზმნისართის ფუნქციით გამოიყენება მეგრულში რედუპლიცირებული ფორმა განუსაზღვრელი ნაცვალსახელისა **კალ-კალე || კან-კალე** „ზოგიერთი“, თუ კომპოზიტი მიმართულებითი ბრუნვის ნიშნით იქნება გაფორმებული:

**კალ-კალეშა(ხე) || კალ-კანიშა(ხე) || კარ-კალეშა**  
„ზოგჯერ, ხანდახან“ (შდრ. (გ)ოშა-გოშა „ხანდახან, ზოგჯერ“):

**კალ-კალეშა** ქოგაშინე პატონ-ჭკორალაში ხანა...  
(გუდ., 36, 63, 5) „ზოგჯერ გაახსენდება ბატონ-ყმობის დრო...“; **კალ-კალეშახე** გვალო ირფელი გაჭყორდუ „ხანდახან (სულ) მთლად ყველაფერი გადაავიწყდება“.

#106#

დამოუკიდებლად ფუძე **კალ(ე)** მეგრულში აღარ იხმარება. ამავე მნიშვნელობით დასტურდება რამდენიმე სხვა კომპოზიტი, რომელიც ასევე ნაცვალსახელისაგან არის ნაწარმოები იმავე ბრუნვის ნიშნის დართვით:

**მინშა-მინშა** (შდრ. მინი „ზოგი, ზოგიერთი“. მინშა „ზოგჯერ“) „ზოგჯერ, ზოგ-ზოგჯერ“:

**მინშა-მინშა** ჩქიმდა ხოლო ქუმორთით „ხანდახან ჩემთანაც მოდით“.

**ნამთინეშა-ნამთინეშა** (შდრ. **ნამთინე** „ზოგიერთი“; **ნამთინეშა** „ზოგჯერ, ხანდახან“) „ზოგჯერ, ხანდახან“.

**ნამთინეშა-ნამთინეშა** მახოლო თაშ ფიფქრენქ „ხანდახან მეც ასე ვფიქრობ“.

ამ კომპოზიტებს თავისუფლად ენაცვლება სალიტერატურო ქართულიდან შემოსული **ხანდახან** და დიალექტური **ხანდისხან**:

გგაშინექ **ხანდახანი** (სამუშ. III., 34, 58) „გახსენებდი ხანდისხან...“.

ლაზურში რედუპლიკაციის მხოლოდ ერთი სახე გამოიყოფა. ეს არის მარტივი გაორკეცება:

**მანი-მანი** (შდრ. მანი „მალე“, „მაშინვე“) „მალე-მალე“:

**მანი-მანი** ნულუნან (კარტ., IV, 41, 39) „მალე-მალე მოდიან“; **მანი-მანი** ირდენ., (კარტ., IV, 37, 33) „სწრაფად იზრდება...“.

**სერი-სერი || სეი-სეი** (შდრ. სერი || სეი „ღამე“) „ღამღამობით“:

...მულუნ **სერი-სერი** (ყიფშ., 10, 28) „...მოდის ღამ-

დამობით“; უნკულაში ჯუმა გულუნ სეი-სეი ოჩხომუმა (ყიფშ., 71, 39) „უმცროსი ძმა ღამ-ღამობით სათევზაოდ დადის“.

**ორდო-ორდო** (შდრ. ორდო „ადრე“) „ადრე-ადრე, მალე-მალე, ხშირ-ხშირად“:

აწიჭკულე ხოლო ჩქინი ოხორიმა **ორდო-ორდო** მოხთეეტა (ასათ., 139, 89, 33) „ამის შემდეგ ჩემს სახლში #107#

ხშირ-ხშირად მოსულიყავი...“; დიდო ფარა უღუნან -ვა აზ-დენან დო **ორდო-ორდო** მოიშვაჯამან (ჩიქ., II, 40, 19) „ბევრი ფული აქვთ – ვერ ეზიდებიან და დროდადრო („მალე-მალე“) ისვენებენ“.

**ანო-ანო** (შდრ. ანო „გვიან“) „გვიან-გვიან“:

**ანო-ანო** გოლიტი ონდლე-ჭკულე (ჩიქ., II, 143, 11)

„გვიან-გვიან დავდიოდი შუადღეზე“ (იხ. ზემოთ).

ზოგჯერ ზედსართავი სახელის გაორკეცებული ფორმა გამოყენებულია დროის ზმნისართის ფუნქციით:

**ჭიტა-ჭიტა** (შდრ. ჭიტა „პატარა“) „ნელ-ნელა“:

**ჭიტა-ჭიტა** მუსლიმანი დიყვერენან (ყიფშ., 4, 21)

„ნელ-ნელა მუსლიმანები გახდნენ“.

მეგრულ-ლაზურში დროის ზმნისართების მისაღებად უფრო მოქმედია ნაირფუძიანი შეერთება, რომლის რამდენიმე სახე გამოიყოფა:

1. კომპოზიტის კომპონენტებად მეგრულში წარმოდგენილია ორივე ზმნისართი:

**გოლაწო || გოლვაწო || გოლაწოხე/უ** (შდრ. **გოლა || გოლვა** „გუშინ“ **წო(ხ)** „წინ“) „გუშინწინ“:

**გოლაწო** ქუდიჭე ჭვემა, ამდლა ხოლო ვაგუულალე „გუშინწინ წვიმა რომ დაიწყო, დღესაც არ გადაულია“; **გოლაწოხე** მიშაფრთით ცვანაშა „გუშინწინ შევედით ყანაში“; გოლა ხეთას გოხოლუდი, **გოლაწოხე** ჭალადის... (გუდ., 20, 35, 3) „გუშინ ხეთაში გახლდი, გუშინწინ ჭალადიდში“.

**ამდლა-ჭუმე** (შდრ. ამდლა „დღეს“, ჭუმე „ხვალ“)

„დღეს-ხვალ“:

**ამდლა-ჭუმე** ობჭკომუნა ნდემეფი უმუმალო (დან., 38, 22) „დღეს-ხვალ მაინც შემჭამენ დევები უმამოდ“.

**ჭუმე-გელან** (შდრ. ჭუმე „ხვალ“, გელან „ზეგ“) „ხვალ-ზეგ“:

**ჭუმე-გელან** იშენ მითინს ვეველუთ „ხვალ-ზეგ მაინც არავის ველოდებით“; **ჭუმე-გელან** გათენა, ალბათ, ირფელს „ხვალ-ზეგ, ალბათ, ყველაფერს დაამთავრებენ“.

როცა ამ კომპოზიციის პირველი წევრი ნათესაობითი #108#

ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი, მაშინ სხვა მნიშვნელობის სიტყვა გვექნება:

**ჭუმეშ-გელან | ჭუმე-გელან** (შდრ. ჭუმე „ხვალ“, გელან „ზეგ“) „ზეგ“ (ზედმიწ. „ხვალის ზეგ“):

**ჭუმეშ-გელან** დღახუ რე „ზეგ უქმე დღე არის“; **ჭუმე-გელან** მეურთ გვალაშა „ზეგ მივდივართ მთაში“.

**ლუმანინჯი || ლუმანჯი || ლუმანიჯი || ლუმანჯი || ლუმენჯი** (შდრ. ლუმა „წუხელ“, ოჯუა „საღამო“); „გუმინ საღამოს“ [ქაჯაია 2002, III, 196]. **ლუმანჯი || ლუმენჯი** ← **ლუმა** + ონჯუა [თოფურია 1959, 301]“

**ლუმანინჯი** ზღვას აშარდ გვალო ბრელო ხვამარდეფი (სამუშ., 97) „გუმინ, საღამოს ზღვაში იდგა მთლად ბევრი ხომალდი“; **ლუმენჯი** ნამ საათი იიდგ მორთითი? „წუხელ საღამოს რომელი საათი იქნებოდა, რომ მოხვედით?“ **ლუმენჯი** მორთუ დო ამჭუნანი იშო მიდირთუ „წუხელ საღამოს მოვიდა და ამ დილით იქით წავიდა“.

2. ზმნისართი + არსებითი სახელი **დღა** „დღე“:

**გოღასერი/გ || გოღვასერი/გ** (შდრ. **გოღა** | **გოღვა** „გუმინ“) „გუმინ საღამოს“ (|| „გუმინდელი საღამო“).

გოღა ხეთას გოხოლგდი, **გოღასერი** – ჭალადიდც (გუდ., 229, 343) „გუმინ ხეთაში გახლდი, წუხელ („გუმინ-ღამ“) – ჭალადიდში“ (შდრ. ქართ. დიალ. „გუმღამ“).

**ლუმასერი || ლუმსერი/გ** (შდრ. ლუმა „წუხელ“; სერი „ღამე“) „წუხელ საღამო“ (|| წუხანდელი საღამო)“

**ლუმსერი** გინოპყვიდით ულა „წუხელ ღამე გადავწყვიტეთ წასვლა“.

**გელანსერი/გ** (შდრ. გელან „ზეგ“, სერი „ღამე“) „ზეგ საღამოს“:

**გელანსერგ** მუნმურს ახალ წანა „ზეგ საღამოს შემოდის ახალი წელი“.

**ჭუმსერი || ჭუმესერი || ჭუმანსერი** (შდრ. ჭუმე || ჭუმან „ხვალ“, სერი „ღამე“) („ხვალინდელი ღამე) „ხვალ საღამოს“; **ჭუმსერი** ულუნა დიარა “ხვალ საღამოს ქორწი-  
#109#  
ლი აქვთ“. **ჭუმანსერი** მეურს ქართიმა “ხვალ საღამოს თბი-  
ლისში მიდის“.

**დიო-დღა** (შდრ. დიო „ჯერ“, დღა „დღე“) „ჯერჯერო-  
ბით“ (ზედმიწ. „ჯერ-დღე“):

**დიო-დღა** ქუორეთ თაში „ჯერ-ჯერობით ვართ ასე“;  
მა **დიო-დღა** ვამაშუ... (გუდ., 61, 117) „ჯერ-ჯერობით ვერ  
ვიშოვე“.

„დღა“-ს შეიძლება შეენაცვლოს მისგან ნაწარმოები  
ზედსართავი **დღარო**:

**დიოდღარო** მშობლეფი ოხვარუნა „ჯერ-ჯერობით  
(ზედმიწ. „ჯერ-დღეობით“) მშობლები ეხმარებიან“.

3. დროის ზმნისართის წარმოება ხდება ნაწილაკის მე-  
შვეობითაც:

**ხეთე-ხოლო || ხათე-ხოლო** (შდრ. ხეთე || ხათე „მა-  
შინვე“, -ხოლო „კიდევ“) „მაშინათვე, უცებვე“; **ხათე-ხოლო**  
მიკირთეს... (ხუბ., 126, 12) „მაშინვე მობრუნდენ...“ **ხეთე-  
ხოლო** გაგმალესგ გალე... (ყიფშ., 265, 19) „მაშინვე გარეთ  
გამოვარდენ“; **ხათე-ხოლო** მიკირთეს... (ხუბ., 126, 12) „მა-  
შინვე მობრუნდენ...“.

ი. ყიფშიძის ტექსტებში დასტურდება აგრეთვე **ხეთე-  
ეხოლო**; რომელიც, ჩვენი აზრით, მიღებული უნდა იყოს  
**ხეთეშეხოლო**-საგან.

მუზარბიში გეცვენჯიქე **ხეთეეხოლო** გეგმიცუნუ რაში  
(ყიფშ., 265, 32) „მუზარბის მიმყოლმა მაშინვე გამოიყვანა  
რაში“.

**ასეხოლო** (შდრ. ასე „ახლა“ ხოლო „-ვე“) „ახლავე“  
**ასეხოლო** ვედი დო მეზოჯი... „ახლავე ადექი და წაბრძან-  
დი“; **ასეხოლო** ქიდინჯირით „ახლავე დაწექით“ (შდრ. ლაზ.  
**ასთახოლო** „ახლავე“).

„ხოლო“ ფუძე შედის დროის რთულ ზმნისართში, სა-  
დაც ის ვითარებითის ფუნქციით არის წარმოდგენილი:

**დიო-ხოლო** (შდრ. დიო „ჯერ“, ხოლო „კიდევ“) „ჯერ-კიდევ“:

#110#

გოწოსგ ქასაგანი ვოცოთი... **დიოხლო** ვე გგმალაფე (ყიფშ., 219, 2) „შარშან ისარი ვისროლე... ჯერ-კიდევ არ ჩამოვარდნილა“; **დიო-ხლო** ჭიჭე რე „ჯერ-კიდევ პატარა“; ენერგიათ ეფშა რე **დიო-ხლო** „ჯერ კიდევ ენერგით სავსეა“.

**ხლო-ჟამო** (შდრ. **ხლო** „ახლო“; **ჟამო** „ჟამად“)  
„ახლო-ჟამად“:

**ხლო-ჟამო** ჩქიმ ჯიმა ხომ ვაიძირენა ქალაქის? „ახლო-ჟამად ჩემი ძმა ხომ არ გინახავთ ქალაქში“. ამ ზმნისართის პარალელურად გამოიყენება სხვა კომპოზიტებიც:

**ხანო-ჟამო** || **ხოლო-ხანო**:

**ხანო-ჟამო** ვა ველუქ გვირა თოლიშ ძირაფას [ქაჯაია 2002, III, 514] „ახლო-ხანს არ ველი ჟუჟუნა თვალის ნახვას“.

4. პირველ კომპონენტად გამოყენებულია **ამ, იმ** ნაცვალსახელთა ფუძეები, რომლებიც, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ჩვენებით ნაცვალსახელთა მეორე ფუძეს წარმოადგენს, და ცალკე აღარ გამოიყენება მეგრულში [ყიფშიძე 1994, 95].

**ამდლა** || **ამუდლა** || **ამგდლა** (შდრ. **ამ** „ეს“, **დლა** „დღე“) „დღეს“:

**ამდლა**-სქანი, ჭუმან-შხვაში (გუდ., 83, 162) „დღეს – შენი, ხვალ – სხვისი“; გოლა სქუა ნგერქე მიდულგ დო **ამუდლა** გორგნცე (ყიფშ., 217, 29) „გუშინ მგელმა შვილი წაართვა და დღეს ეძებს“.

**ამსერი** || **ამუსერი** || **ამგსერი** (შდრ. **ამ** „ეს“, **სერი** „ღამე“) „ამ საღამოს“ (ზედმიწ. „ამ ღამეს“):

მა **ამსერი** სქანი წკვმა ქედიბჯირუქია (ხუბ., 113, 15) „მე ამ საღამოს შენთან დავწვებიო“; ალექსანდრე **ამგსერი** გურგინს გეთმიდგუნს... (ხუბ., 91, 6) „ალექსანდრე ამ საღამოს გვირგინს იდგამს“; დეეპკაკალია **ამუსერი**... (ყიფშ., 245, 23) „დავნაყრდიო ამ საღამოს...“.

კ. გაბუნია აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც **ამ, იმ** ნაცვალსახელი მსაზღვრელად გვევლინება, „დლა“,

#111#

„სერი“ სახელობითის ფორმით წარმოგვიდგება: მეურს ე ბა-

ღანა ამდლა – მიდის ეს ბავშვი დღეს“. **იმუსერი** ომქარი ჯიმაქ მიდართე ოდარაჯუმა „იმ ღამეს შუა ძმა წავიდა სა-დარაჯოდ“ [გაბუნია 1990, 437].

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული შეზღუდვა არსებობს, მხოლოდ **ამ-** ნაცვალსახელის შემთხვევაში (ამდლა, ამსერი...) რაც შეეხება **იმ-**ს (| **თიმ-**ს), აქ საზღვარული სახელობითის ფორმითაც (მიცემითის შინაარსით) შეიძლება იყოს, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში ის მიცემითი ბრუნვის ნიშნით გვევლინება.

**თიმუსერს** ტყას ქოდოსქიდ (ყიფშ., 254, 13) „იმ სალამოს ტყეში დარჩა...“; **იმუსერს** თექი რდგ (ყიფშ., 242, 24) „იმ სალამოს იქ იყო“; ქგმლანჯირეს **თიმუსერს** (ყიფშ., 258, 2) „დააწვინეს იმ სალამოს“; **იმ სერც** ქგდიინჯირე გური შეწუხებული (ყიფშ., 288, 32) „იმ სალამოს გულ-შეწუხებული დაწვა“.

ერთი მხრივ, პარალელური ფორმების არსებობა და, ამასთან, არაერთგვაროვანი დაწერილობა გვაფიქრებინებს, რომ ეს სიტყვები ჯერ ვერ შემტკიცებულან კომპოზიტებად; ისინი შესიტყვებებს წარმოადგენენ (იხ. ქვემოთ).

**ამ-** ნაცვალსახელის მონაწილეობით კიდევ რამდენიმე დროის ზმნისართია ნაწარმოები მეგრულში:

**ამჭუანი** || **ამჭვანი** || **ამჭუვანი** (შდრ. ამ „ეს“ ჭუმანი, ჭუმე „ხვალ“, შდრ. ლაზ. ამჭუმანი) „ამ დილით“ [ქაჯაია 2002, I, 185] (ამჭუანი < ამჭუმანი: **ჭუმანი** ამოსავალში როგორც ჩანს ყოფილა „დილა“, მერე კი – „ხვალ“).

**ამჭუანი** თემ დრო რენო? „ამ დილით ამისი დრო არის?“

გვხვდება დაშორებითი და მიმართულებითი ბრუნვის ფორმებითაც:

**ამჭუანშე** დიჰჰყათ საქმემ კეთება „(ამ) დილიდანვე დავიწყეთ “საქმის კეთება“.

**ამჭუანშა** სო რდით ?ამ დილამდე სად იყავით?“

#112#

**ამინჯი** || **ამინჯი** || **ამინჯი** || **ამიჯი** (შდრ. ამ „ეს“ **ონჯუა** „სალამო“) „ამ სალამოს“:

**ამნიჯი** თითი ქომურს... (გუდ., 189, 284) „ამ სალამოს ისიც მოვა...“; **ამინჯიშა** ქუვოჭიშუათე „ამ სალამომდე



(„შებინდება მდე“) მოვასწროთ“.

**ამიორს** || **ამიორც** (შდრ. ამ „ეს“; მეორე კომპონენტის იდენტიფიკაცია ჭირს; შესაძლებელია იყოს **ირო** ფორმიდან მომდინარე: **ირო** → იორ?) „არასოდეს, მის დღეში“.

ჩქიმ თილც მუთა შეხვალამუ **ამიორც** სქანი წონა... (სამუშ., III, 42, 32, 22) „ჩემს თვალს არ შეჰხვედრია, მის დღეში შენი წონა...“; **ამიორს** ვამოსაჭირუქ „არასოდეს („მის დღეში“) არ მჭირდები“ (შდრ. დღამუშის) (იხ. ქვემოთ).

**ამარდე** „ახლახან, ახლო ხანებში“.

ო. ქაჯაიას ლექსიკონში აღნიშნულ ზმნისართთან განაზრებულია მიმართულებითი ბრუნვის ფორმიანი სიტყვა (**ამარდეშა**):

**ამარდე** || **ამარდეშა** იგივეა რაც **ასეშახ** „აქამდე, სულ ახლო ხანამდე“ [ქაჯაია 2002, I, 183].

ჩვენი აზრით, **ამარდე** და **ამარდეშა** სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებია.

**ამარდე** მოხვადუ თე ამბექ „ახლახან მოხდა ეს ამბავი“; **ამარდე** თაქ რდუ „ახლახან („ახლო ხანებში“) აქ იყო“; **ამარდე** მას სქან ცუდეს ვა ვორდიო...? „ახლახან მე შენს სახლში არ ვიყავი?“ მხოლოდ მიმართულებითი ბრუნვის ნიშნით აქვს აღნიშნულ ზმნისართს ის მნიშვნელობა, რაც ო. ქაჯაიას ლექსიკონშია დაფიქსირებული:

**ამარდეშა** თაქ წკარუდუ თიში ფიცარეფი [ქაჯაია 2002, I, 183] „აქამდე მისი ფიცრები აქ ეწყო“; **ამარდეშახე** ქორდუ ანთარიში ხვამა [ქაჯაია 2002, I, 183] „აქამდე იყო ანთარის ლოცვა...“ (შდრ. **ასედეშახე**) | **ასერდეშა(ხე)**; **ამარშახე** „აქამდე“).

რაც შეეხება სტრუქტურას: **ამარ-** ადგილის ზმნისართზე -**დე** სუფიქსის დართვამ მოგვცა დროის ზმნისართი #113#

თი. ამ სუფიქსის დართვა კი მოხდა **ასედე** || **ასერდე** ფორმათა ანალოგიით (იხ. ზემოთ).

უკუქცევითი ნაცვალსახელი მონაწილეობს შემდეგი დროის ზმნისართის წარმოებაში:

**დღამუშის** || **დღემუშის**, რომელიც ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. „მუდამ“, „ყოველთვის“ და 2. „არასოდეს“.

**დღამუშის** თაშ იცი „მუდამ ასე იქნება“; **დღემუშის**

მუთუნამ მაქიმიწალ ვარდუ „არასოდეს“ (ზედმიწ. მის დლე(მ)ში) არაფრის გამკეთებელი არ იყო“.

ამ სიტყვას თავისუფლად ენაცვლება პრეპოზიციური წყობის **მუშდლას** „მუდამ“ (ზედმიწ. „თავის დლეში“, „თავისი დლე“) და შესიტყვება – **მუშ დლა დო მოსწრებას** „თავის დლე და მოსწრება“.

აღნიშნული სიტყვა-ფორმებით შეიძლება აღინიშნოს როგორც წარსული, ისე მომავალი დრო, რა თქმა უნდა, ზმნასთან ერთად.

**მუშ დლა დო მოსწრებას** მეზობელიმ ცუდუმა ვემნართე „თავის დლე და მოსწრება მეზობლის სახლში ვერ შევა“; **მუშ დლა დო მოსწრება** ეკლესიაშა ვაულინ „თავის დლე და მოსწრება ეკლესიაში არ წასულა“.

**დლამუშის** ფორმას ენაცვლება აგრეთვე, მეგრულში დადასტურებული **სადლემუშოთ**, როდესაც ეს უკანასკნელი გამოყენებულია მნიშვნელობით „სამუდამოდ“:

გური მომცუნეს დო **სადლემუშოთ** რე ულირგ „გული მოგვიყვანეს და სამუდამოდ არის წასული“; ბედიქ მუჩანი მომავალი სადლემუშოთ ჩქინი რინა (სამუშ. III, 124, 23) „ბედმა მოგვცეს მომავალი, სადლემისოდ მისი ყოფნა...“; იქ **სადლემუშოთ** მიოდინუუ ნდვება [ქაჯაია 2002, II, 570] „იმან სამუდამოდ დაკარგა ნდობა“.

**დლამუშის** ჰყელი აფუ დოტებული „სამუდამოდ დაწყევლილად ჰყავს დატოვებული“; მითაჟამიშე თენა თაშ რე, ათე ჟამს ხოლო თაშ მიჩქუნა დო **დლამუშის** მუ იყუაფუნი, ღორონს უჩქუ [ელიავა 1987, 143] „წარსულში ეს #114#

ასე იყო, აწმყოშიც ასე ვიცით, მომავალში რა იქნება, ღმერთმა უწყის“.

მაგრამ **სადლემუშოთ** ფორმას წარსულის კონტექსტში ვერ გამოვიყენებთ. „**დლამუში**“-ს შეიძლება ჩაენაცვლოს **ირო** „ყოველთვის“:

**ირო** (დლამუშის) თაშ იყი „ყოველთვის ასე იქნება“; **ირო** (დლამუშის) თეჯგურა დაუნდობელი რდუ „ყოველთვის ასეთი დაუნდობელი იყო“.

ორივე ზმნისართი (**დლამუშის** და **სადლემუშოთ**) ყურადღებას იქცევს თავისი აგებულებით. **დლამუშის** (||

**დღემუშის**) ფორმა მოდის პოსტპოზიციური წყობის ატრიბუტული სინტაგმისაგან (**დღა მუში** „დღე მისი“). გაკომპოზიტების შემდეგ მას დართვია მიცემითის ნიშანი და ქცეულა დროის ზმნისართად (**დღამუშის**) შესაძლებელია ეს ფორმა გახდა ამოსავალი **სადღემუშით** ფორმისათვის (შდრ. **სამიდღემჩიო** „სამუდამო, სამარადისო“ (გ. შარაშ.) **მისდღემჩი** „მის დღეში, არასოდეს“), სადაც **სა-** ქართული მაწარმოებელია, **-ო-** კი ბუნებრივია მეგრულისთვისაც; **ო-**ს თავისუფლად ენაცვლება **ე-** სუფიქსი (შდრ. **სა-ბჟალ-ე** || **სა-ბჟალ-ო** („სარძევე“); **სა-კიდირ-ო** || **სა-კიდირ-ე** („სამკერდული“) **სა-მორგუალ-ო** || **სა-მორგუალ-ე** („სამგლოვიარო“) და სხვ.

ამ სახელებზე ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დართვით იწარმოება ზმნისართული მნიშვნელობის სიტყვები: **სა-ბჟალ-ო-თ** || **საბჟალ-ე-თ**; **სა-კიდირ-ო-თ** || **სა-კიდირ-ეთ** და ა. შ.

ამდენად **სადღემუშით** ზმნისართი გაფორმდა როგორც შესაბამისი **-ო** ხმოვანფუძიანი სახელები. როგორც ცნობილია, მეგრულში **ა, ე, ო** ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ყოველთვის გვაქვს **-ო** (მაგ., **საწემოხოხოთ** „სამომავლოდ“).

კომპოზიტის პირველ კომპონენტად მოსალოდნელი **დღა-**ს ნაცვლად გვაქვს (ქართული ფორმა) **დღე**, მეორე კი უკუქცევითი ნაცვალსახელი **მუშ-**ი „თავისი“. **სადღემუშით** #115#

ფორმაში დასაშვებია ვიგულისხმოთ ქართულისა და მეგრულის კონტამინირებული ვარიანტი (დღე + მუში). ზმნისართი იხმარება პირველი და მეორე პირისთვისაც, რადგან, როგორც ვთქვით, მეორე კომპონენტი უკუქცევითი ნაცვალსახელია. ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულსა და ლაზურშიც: ქართული – მისდღემში არ მითქვამს (არ მინახავს...) ლაზური – **ორამუშის** „თავის დროზე“ (იხ. ქვემოთ).

ლაზურში დროის ზმნისართთა საწარმოებლად სხვადასხვა ფუძეთა შეერთება იმავე წესებით ხდება, როგორითაც მეგრულში:

1. ორივე კომპონენტი ზმნისართია:

**ლომამჯი** (← **ლომა** ლიმჯი შდრ. **ლომა** „გუმინ“, **ლიმ-**

ჯი „საღამო“ – შდრ. მეგრ. **ღუმენჯი** || **ღუმანჯი**) „გუმინ საღამოს“:

**ღომამჯი** ქომოჯი ჩქიმის არ კოჩი დადილუ (ყიფშ., I, 80, 10) „წუხელ ჩემს ქმარს ერთი კაცი შემოაკვდა...“; **ღომამჯი** ვალუმტუ... (ჩიქ., II, 69, 12) „გუმინ საღამოს ელავდა...“

**ჭუმენ-გენდლანი** (შდრ. ჭუმენ „ხვალ“, გენდლანი „ზეგ“) „ხვალ-ზეგ“.

**ჭუმენ-გენდლანი** ბლუამინონ... (კარტ., IV, 81, 4) „ხვალ-ზეგ“; **ჭუმე-გენდლანი** ლაზიმი მილუნანდა (კარტ., III, 169, 10) „...ხვალ-ზეგ ლაზიმი გვაქვსო“.

**ღომასერი** (შდრ. ღომა „გუმინ“ სერი „ღამე“) „გუმინ ღამით“.

**ღომასერი** იხი დიდო ბარტუ (ჩიქ., II, 1, 6) “წუხელ ღამით ქარი ძლიერ უბერავდა“.

არნ. ჩიქობავა **სერ**- ფუძეს ადასტურებს ლაზურში წარმოდგენილ შემდეგ რთულ ზმნისართებში:

**ტოქსე-ი** || **ტოცხერ-ი** || **ტოცხე-ი** „ამას წინათ, წინა დღეებში“ [ჩიქობავა 1938, 195]:

**ტოცხერი** არ კოჩი... ქომოხთუ (ჩიქ., I, 92, 22) „ამას წინათ ერთი კაცი მოვიდა“; **ტოცხეი** მატოის ფორტოკალე #116#

ქომოვოკიდით (ჩიქ., I, 94, 2) „ამას წინათ ნავზე ფორთოხალი დავტვირთეთ“.

ნ. მართან **წოქ**- შედარებულია **წოხ**-ფუძესთან და **წოქსერი** || **ტოქსერი** ნიშნავს „გუმინწინ“-ს „რამდენიმე დღის უკან“ (შდრ. **ღოქსერი** „გუმინ“) [Mapp 1910, 183].

„გუმინწინ“-ის მნიშვნელობას გადმოსცემს ლაზურში აგრეთვე **ბიშინ-ღლა** || **პიჩინ-ღლა** (შდრ. **პიშინ** „გუმინ“ ღლა „ღღე“):

ღომა ვარ... **პიშინ-ღლა** (ღომაში წოხლენერი) აქ ვა ვორტი (ჩიქ., II, 103, 10) „გუმინ არა... გუმინწინ (გუმინის წინანდელი) აქ არ ვიყავი“.

**მეტგენდლანი** (შდრ. მეტ „მეტი“ და გენდლანი „ზეგ“) „ზეგისზეგ, მაზეგ“:

დაჰა **მეტგენდლანი** (ჩიქ., II, 76, 3) „უფრო მასზეგ“.

2. ლაზურში -**ხოლო** ნაწილაკით ნაწარმოები ზმნისართებია.

**ასთახოლო** (შდრ. ასთა „ასე“ ხოლო „-ვე“)

**ასთახოლო** მეველუდა (კარტ., IV; 21, 8) „ახლავე მოვდივარო...“; **ასთახოლო** ბელის უჯოხუ ოხორჯა მუშიქ (ქლ., 17, 14) „მაშინვე (იმ წუთში) დაუძახა ბეგს მისმა ცოლმა“ (შდრ. მეგრ. **ასეხოლო**).

**მანიშახოლო** (შდრ. მანიშა ხოლო „-ვე“) „მაშინვე, იმ წუთში“:

**მანიშა-ხოლო** ფალთო მუინწკუ... (ჩიქ., I, 34, 7) „მაშინვე პალტო მოიხსნა...“; მან **მანიშახოლო** დანი სქანის ქეფქინდუქ-და (ჩიქ., I, 33, 17) „მე მაშინვე შენთან გავჩნდებიო“.

3. რაც შეეხება ლაზურ (ჰ)ამ და (ჰ)იმ ნაცვალსახელურ ფუძეებს, მათ შესახებ იგივე ითქმის, რაც მეგრულის შესახებ. (ჰ)ამ ნაცვალსახელის დახმარებით ნაწარმოები სიტყვები კომპოზიტებს წარმოადგენენ, ხოლო (ჰ)იმ (ჰ)ემ ფუძე ჯერ კიდევ შესიტყვებაში შედის:

**ჰამდლა** || **ჰანდლა** || **ანდლა** (შდრ. ჰამ „ეს“ დლა #117#

„დღე“) „დღეს“:

**ჰანდლა** მუჭო გომდინით ტორა?! (ჩიქ., II, 53) „დღეს როგორ დავკარგეთ დრო?! **ანდლა**, ჭუმე, გენდლანი... (ჩიქ., II, 76, 3) „დღეს, ხვალ, ზეგ...“.

**ჰამსერი** || **ამსერი** || **ამსეი** (შდრ. ჰამ „ეს“, სერი „ღამე“) „ამ საღამოს“:

**ჰამსერი** დომოდგინარე... (ჩიქ., II, 129, 2) „ამ საღამოს „დამაყენე“...; **ამსერი** ჭუმანიშა მან ვარ მანჯირე (ჩიქ., II, 146, 14) „ამაღამ დიღამდე მე ვერ დავიძინებ“; ოჭკომეს **ამსეი** დო ეფეი დიშუმეს (კარტ., IV, 44, 8) „...ჰამეს ამ საღამოს და გვარიანად დათვრნენ“.

ლაზური **ჰემსერი** || **ჰემ სეის** „იმ საღამოს“ წარმოადგენენ შესიტყვებას (შდრ. მეგრ. (ჰ)იმსერი || (ე)იმსერ(ი)ს):

ჰექ **ჰემ სეის** დოდგითანორე (კარტ., IV, 115, 29) „იქ იმ ღამე დამდგარან“.

(3)ამ- ფუძისაგან ლაზურში ნაწარმოებია, აგრეთვე, (3)ამჟუმანი (შდრ. (3)ამ „ეს“ ჟუმანი „დილა“) „ამ დილით“: ამჟუმანი ედსელი-ში, ნეკნა ვარ გომნწკუ (ასათ., 214, 127, 1) „ამ დილით რომ ავდექი, კარი ვერ გავაღე“.

4. უკუქცევითი ნაცვალსახელისგან ლაზურში ნაწარმოებია ზმნისართი ორა-მუშის (შდრ. ორა „დრო“ (სპარს.) მუში „თავისი“) „თავის დროზე“:

ორა-მუშის ვა მეწილაში, შუკათი იბადენ (ხალხ. სიბრძ., 245, 595) „თავის დროზე თუ არ მოწყვიტე, კიტრიც ბერდება“. ორა-მუშის ღურათი კად რენ (კარტ., III, 228, 28) „თავის დროზე სიკვდილიც კარგია“.

#### § 4. სივრცითი და დროითი მიმართებების

ასახვა მეგრულ-ლაზურში. „არაფერი არ გვხვდება ენაში ისე ხშირად, როგორც გრძნობადი აღქმების ძირითადი ფორმების არევ-დარევა ანუ დროისა და სივრცის არევა. გვაქვს მრავალი სიტყვა, რომლებშიც სივრცული მნიშვნე-  
#118#

ლობა პირველადია, ხოლო დროული მნიშვნელობა – მეორადი“ [Reisag 1972, 33]. ამავე აზრს ავითარებს არნ. ჩიქობავა: პირველადია სივრცეში ლოკალიზაცია, მეორეული – დროში დეტერმინაცია [ჩიქობავა 1945, 492].

ჩვენთვის ცნობილ ყველა ენას აქვს სივრცული ორიენტაციის აღმნიშვნელ სიტყვათა წყვილები, რომლებიც გადმოსცემენ დროულ მნიშვნელობებსაც [აბულაძე 1989, 3]. ამგვარი ზმნისართები არცთუ ცოტაა ქართულში. მათ შორისაა ანტონიმური ზმნისართები წინ და უკან. ამ ზმნისართებმა შეიძლება ადგილზედაც მიუთითონ და დროზედაც. ეს დამოკიდებულია თვით არსებითი სახელის მნიშვნელობაზე: ადგილის აღმნიშვნელ სახელებთან ეს თანდებულები ადგილზე მიუთითებენ (სახლის წინ, სკოლის უკან), ხოლო დროის აღმნიშვნელ სახელებთან (დღე, თვე, წელი...) – დროზე (ერთი თვის წინ) [აფრიდონიძე 1984, 244].

აკ. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ შენიშნავს: “ზოგიერთი ზმნიზედა თავდაპირველად ადგილს აღნიშნავდა, შემდეგ კი დროის აღსანიშნავად იქნა გამოყე-

ნებული... მანამდე (ან მანამდის). მუნ იმასვე ნიშნავდა ძველად, რასაც დღევანდელი იქ. ვითარებით ბრუნვაში დასმით და მდე (მდის) თანდებულის დართვით მიღებული იყო ფორმა მუნა[დ]მდე (ან: მუნა[დ]მდის), რაც ამას აღნიშნავდა: იმ დრომდის... “სადამდე”-ს გავლენით “მუნამდე”-ს პირველი ხმოვანი ა-დ იცვალა და მივიღეთ მანამდე (ან: მანამდის), რომელსაც მხოლოდ დროული გაგება აქვს (მუნამდე → მანამდე → მანამ)... სანამდე (ან: სანამდის). მანამდეს გავლენით სადამდე-მ თანხმოვანი გადაიკეთა და აგრეთვე დროული გაგება შეიძინა (სადამდე → სანამდე → სანამ... [შანიძე 1973, 597].

სივრცული მნიშვნელობიდან დროული მნიშვნელობა აქვთ განვითარებული ძველ ქართულში შემდეგ ზმნისართებს: ვინაჲ, ვიდრე და ზე [ჩიქობავა 1945, 489].

#119#

მეგრულ-ლაზურში მრავლად მოგვეპოვება ზმნისართები, რომლებიც ძველი, ამოსავალი მნიშვნელობის პარალელურად ახალ, შეძენილ მნიშვნელობას წარმოგვიდგენენ (ე. ი. სივრცული მნიშვნელობიდან დროული მნიშვნელობის განვითარებასთან გვაქვს საქმე). ამასთან საანალიზო ზმნისართები დროით მნიშვნელობას იძენენ უშუალოდ ზმნასთან მირთვის შემთხვევაში.

მეგრული: წოხოლე || წოხლე || წოხგლე || ოწოხოლე || ოწოხგლე || ოწოხოშე || ოწოხუმე || ოწოხგშე „წინათ“ (ადგილის ფუნქციის გამოხატვის შემთხვევა იხ. ზემოთ):

დუდიშა გეგნიცოთანქინი, თინა წოხოლე ქაწორხვადუნია (ხალხ. სიბრძ. 322) „რასაც თავიდან გადაიგდებ (საქმეს მოიშორებ), წინ დაგხვდებო“; ათეწკელა დიდაქეთ დულურე წოხოლე... (ხუბ. 174, 10) „ამასთან დედაც მოუკვდა ამასწინათ“; სანარტიაქ წოხოლე ქიმერთ... (ყიფშ. 52, 1) „სანარტია ადრე მივიდა...“.

წოხოლე ხალხი შხვანერი რდუ “წინათ ხალხი სხვანაირი იყო“; ოწოხლე, ჯვეშ დროს, ვით კილომეტრის კუჩხით მიშუ კოჩი „წინათ, ძველ დროში, ათ კილომეტრს ფეხით მიდიოდა კაცი“; ოწოხშე სოფელი უმოსო ეფშა რდგ ირფელით „წინათ სოფელი უფრო სავსე იყო ყველაფრით“; ოწოხუმე უმოსო გილეფშით წყარ-პიჯიშა „წინათ უფრო

დავდიოდით წყლის პირას“ და სხვ.

ლაზური: **წობლე** არ კოჩიქ ირო ჯუმუ ექოფუმტუ (ჩიქ. 21, 6) „ადრე ერთი კაცი ყოველთვის მარილს ყიდულობდა“; მაკრლიას **წობლე** ალაფე ტეს (ჩიქ. I, 22, 11) მაკრიალში ადრე ბატონები იყვნენ“; **წობლე** აშო ადეთი ტუ (კარტ. 53, 27) „წინათ ასეთი ადათი იყო“; **წობლენდონ** კატუქ მცუდი ზოპონს-და დო ყუაპტუ... (ჩიქ. I, 75, 18) „ადრე – კატა ცუდს ამბობდაო და კნაოდა“. სი **წობლეშენ** ...ვა მიტკობუტი! (ჩიქ. 150, 11) „შენ წინათ... არ მემალეობდი!“

ლაზურში **ოკაჩხე** „უკან“ ფორმა გამოყენებულია #120#

დროითი მიმართებების გადმოსაცემადაც.

**ოკაჩხე** ბაბა-მუშიქ ჩხომი ჭოფუპტეენ [კარტოზია 1972, 58, 37] „ადრე მისი მამა თევზს იჭერდა თურმე“; **ოკაჩხე** ფადიშაის თოლი აწკუნუ... [კარტოზია 1972, 157, 18] „ამას წინათ მეფეს თვალი ასტკივდა“; **ოკაჩხე** ჰე ბერე დირდუ... [კარტოზია 1972, 155, 11] „მას უკან ეს ბავშვი გაიზარდა“.

მეგრულში დროის ფუნქციას ითავსებს **წიმი** || **წიმიე** „წინ“, **კინი** || **კენი** „უკან“ და ამათგან წარმოქმნილი **წიმახ** || **წემახე** || **ოწმახე** || **ოწმახი** || **ოწიმახი** „წინათ, წინდაწინ, წინასწარ“ და **კინოხე** || **კენოხე** || **კინოხუ** ფორმები.

**წემახე** დეენირზესგ, მით უმოსი ღვინცგ შუნდგ (ყიფშ. 268, 35) „პირველად (წინასწარ) დანიძლავდნენ, ვინ უფრო მეტ ღვინოს დალევდა“; **წიმი** შურო ვეჯინექი, მუ გოჭირ? „მომავლისკენ სულ რომ არ იხედები, რა გჭირს?“ **წიმახ** ქიმუჩინუ მუს ლოლანდუნი „წინასწარ შეუთვალა რას მოიმოქმედებდა“; **წემახე** თაშე დაჭყე „თავიდან ასე დაიწყო...“; თი ბოშიქ უწუ **ოწმახ**: მუთუნ ვათხუა სია (ხუბ. 128, 36) „იმ ბიჭმა უთხრა: წინასწარ არაფერი არ ათხოვო შენ“; ...ინტე კენი თი გვალაშა, სოდეთი **წემახე** რდესი (ყიფშ. 265, 7) „...ისევ იმ მთაში გაიქცნენ, სადაც პირველად იყვნენ“.

**კინოხ** მისგთ უძირექენ, ასე თისგ ვავოგუქგ... (გუდ. 59, 114, 11) „წინათ ვისაც ვუნახივარ, ახლა იმას არა ვგავარ...“; ახ, **კენოხ** დომღურედიკო (სამუშ. III, 35, 71) „ახ, ადრე მომკვდარვიყავ...“; **კინოხუ** ნდიქ მიკილუ ძლაბი-



შა... (ხუბ. 11, 5) „ამას წინათ დევმა გაუარა გოგოს...“;  
ათე **კვნობ** მუ ფქიმინათ? (ხუბ. 116, 18) „ახლა წინასწარ  
რა ვქნათ?“; **კინობ** დას მეხასიათე ოთახუეფიში ძირაფაქ  
(ხუბ. 8, 5) „წელან დას მოეხათრა ოთახების დათვალიერე-  
ბა“; **კვნობე** ე ბოშისე უწიისე მუში და დო თე დედგბიქ  
(ყიფშ. 265, 27) „მანამდე ამ ბიჭს დამ და ამ დედაბერმა  
უთხრეს“:

#121#

ამუდღარ დღაში **წიმი** სი იყუაფუქე ჩქიმი ბაღში  
მუშეფიში უნჩაში (ყიფშ. 295, 1) „დღევანდელი დღიდან  
(„დღეის შემდეგ“) შენ იქნები ჩემი ბაღის მუშების უფროსი“.

მეგრულ-ლაზურში ხმოვანთავსართული ზმნისართები  
**აიშა(ხ) || თაიშა(ხ)...** „აქამდე“, **თეიშა || ეიშა(ხ)** „იქამდე,  
მანამდე“ ლაზური – **ჰაქშაქის** – მიმართულებითი ბრუნ-  
ვის ნიშნით გამოყენებულია დროული მიმართებების გადმო-  
საცემადაც.

მეგრული: ძღაბიქ უწუ: **აიშახ** ვა ბდინაფეთია (ხუბ.  
168, 31) „გოგომ უთხრა: აქამდე არ დავლუპულვართო“; გამო-  
რსი **აიშახია** – უწუ (ხუბ. 91, 20) „აქამდე შეგამოწმეო –  
„თხრა“; სონდარო ცვილუნდესგენ, **თეიშახ** უწუ (ხუბ. 141,  
35) „სანამ მოკლავდნენ მანამდე უთხრა...“; გერქ თქუა: სო-  
იშა მინჯეს ვოუზალებუნ **თეიშა**, მა მუთუნ ვა მიჭკომუნია  
(ხალხ. სიბრძ. 26, 183) „მგელმა თქვაო: სანამ პატრონს არ  
უსურვებია, მანამ მე არაფერი მიჭამიაო“; სოიშა ტკბირით  
წყარი ვეკიმლე დო თინა ვადვოგე, **ეთეიშა** დუცუ ვარ-  
ჭუებდანი (ხუბ. 105, 6) „სანამ საცერით წყალი არ ამომი-  
ტანია... ის არ დავაგო, იქამდე თავი არ აგტკივებოდეთ“;  
**ეიშახ** კვლა სი ქიმეჩი ლუდუკის (ხუბ. 90, 21) „იქამდე გა-  
საღები შენ მიეცი ლუდუკის“.

ლაზურშიც **ჰაქ-** ფუძეზე **-შაქ-** თანდებულდართული  
ზმნისართები გადმოსცემენ დროულ მნიშვნელობებს.

...**ჰაქშაქის** ვა გიჩქიტუი? (კარტ. 195, 18) „აქამდე არ  
იცილი?“ ...თქვა ვა გიჩქინანდა, **ჰაქშაქის** გიშინახუმტითდა  
(კარტ. 96, 15) „...თქვენ არ იცით, აქამდე გინახავდითო“;  
**ჰაქშაქის** არ კოჩიში ნეპეტი მილუტუ... (ჟღ. 109, 16)  
„აქამდე ერთი კაცის... რიდი მქონდა...“; მუ იქომტ-ია **ჰაქ-**  
**შაქის** ოხორის-და? (ჟღ. 152, 21) „აქამდე სახლში რას აკე-

თებდიო“.

ლაზურში დროის ზმნისართის ფუნქციით გამოყენებულა თურქული წარმოშობის **ოღინე || ოლუნე || ოგინე**

„წინათ, წინ, ადრე“:

#122#

ჰენ **ოღინე** ორძო გედგიტეს (ჟღ. 103, 33) „უწინ ყველა ადგა...“; **ოგინე** ...ჭაჩხუი ოკობოგზამტით (კარტ. 154, 10) „წინათ (ადრე) ცეცხლს გავაჩაღებდით“ ...ოხორჯა **ოლუნე** ნა – მეჩუდორტუნ ბიჭი ვა ჭარუ... (ჟღ. 106, 18) „...ცოლი რომ წინათ აძლევდა..., ბიჭმა არ დაწერა“.

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ამოსავალია სივრცეში ლოკალიზაცია, მეორეული – დროში დეტერმინაცია [ჩიქობავა 1945, 492], მაგრამ შემდგომში ეს ორი იდეა ძალიან მჭიდროდ გადაიხლართა ადამიანის შეგნებაში [აბულაძე 1986, 8].

ქართულში **არსად** დღეს ადგილის ზმნიზედაა, დროული გაგება არა აქვს, მაგრამ იგი მიღებულია არასადასაგან, რომლის მნიშვნელობა ძველ ქართულში იყო „არაოდეს“ (ღმერთი არასადა ვინ იხილა (იო. I, 16) „ღმერთი არაოდეს უნახავს ვისმე“ [შანიძე 1973, 597].

ზანური ენის მეგრულ დიალექტში გვაქვს იმის მაგალითებიც, როცა დროის მნიშვნელობის მქონე სიტყვა სივრცული მნიშვნელობის აღსანიშნავად გამოიყენება: **ანწი || ანწე (ანწი || აწ)** „წი“ დროის ზმნისართია, მაგრამ გააჩნია ადგილს ფუნქციაც:

**ანწი** ეთი კოჩი გერე „ამის შემდეგ ის კაცი დგას“; **ანწე** გეძენ თის ხე ვანოვიდათე „ამის შემდეგ რომ დევს, იმას ხელი არ ახლოთ“.

ადგილის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე დროის ზმნისართი **უკული** კონტექსტებში:

წოხოლე მეურს ამირანიშ მანქანა, **უკული** – კოწიასიში „წინ ამირანის მანქანა მიდის, მერე – კოწიასი“.

ამგვარად, მეგრულში არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც ადგილის ზმნისართი დროის ზმნისართის მნიშვნელობით გამოიყენება, იშვიათად – დროისა ადგილის ზმნისართის მნიშვნელობით.

#123#

## დასკვნა

ზმნისართები სრულმნიშვნელობიან და ფორმაუცვლელ სიტყვებს ეწოდება, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს... მათი შესწავლა ლექსიკურ-სემანტიკური და სტრუქტურული თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვან ამოცანად წარმოგვიდგება.

მიუხედავად იმისა, რომ ზმნისართი მეგრულ-ლაზურში არაერთ მკვლევარს განუხილავს, ვერ ვიტყვით, რომ ეს განხილვა იყოს სრული, საანალიზო მასალის მოცულობისა თუ თავად ანალიზის თვალსაზრისით.

ჩვენი მიზნის შესაბამისად, აღვნიშნეთ და გავაანალიზეთ ადგილისა და დროის ყველა ის ზმნისართი, რომლებიც მეგრულ-ლაზურის გამოქვეყნებულ ტექსტებსა და ზეპირ მეტყველებაში გვხვდება (მათ შორის, რასაკვირველია, არის ისეთებიც, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში განხილვის საგანი არ ყოფილა).

მეგრულ-ლაზურის ადგილისა და დროის ზმნისართებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: პირველადი ზმნისართები და წარმოქმნილი ზმნისართები. პირველად ზმნისართთა რიცხვი, წარმოქმნილ ზმნისართებთან შედარებით, როგორც მოსალოდნელი იყო, შეზღუდულია.

წარმოქმნილ ზმნისართებში გამოიყო სამი ქვეჯგუფი:

1. დერივაციული სუფიქსებით ნაწარმოები ადგილის ზმნისართები; 2. ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი ადგილის ზმნისართები; 3. კომპოზიციის შედეგად მიღებული ადგილის ზმნისართები.

განხილვის საგანი გახდა ყველა პირველადი ზმნისართი, რომელთა ნაწილი ანტონიმურ წყვილებს წარმოგვიდგენენ: ჟი „ზევით“ – თულო „ქვევით“; ეშე „ზევით“ – გიმე „ქვევით“; ევი „აღმა“ – დიკი „დაღმა“; ელე „აღმა“, ოლე „გვერდით“, ოშე „ქვევით“...

ლაზურში წარმოდგენილია: ჟი || ჟინ „ზევით“, თუდე

#124#

„ქვევით“, ემთი „აღმა“, გემთი „დაღმა“.

წარმოდგენილ ზმნისართებში გამოყოფილია -დო და -

-ლე სუფიქსებით ნაწარმოები შემდეგი ლექსემები: ჟი-დო „ზევით“; ჟი-დო-ლე, ჟი-მო-ლე „ზემო მხარეს“, ჟი-ლე „აღმა, ზემო მხარეს“; თუ-დო-ლე „ქვემო მხარეს“; დინახა-ლე, მინახა-ლე, მითახა-ლე... „მიგნით“... ლაზურში ამ სუფიქსებს ემატება -ნ(-): ჟი-ნ-დო „ზევით“, ჟინ-დო-ლე-ნ „ზემოდან“, ჟი-ლე-ნ-დო „ზემოთკენ“, თუ-დე-ნ-დო „ქვემოდან“... წოხო-ლე „წინ“ და სხვ.

პრეფიქსებით ნაწარმოებ ზმნისართებს სამეცნიერო ლიტერატურაში „ხმოვანთავსართულ ზმნისართებს“ უწოდებენ (ბ. ფოჩხუა), რომელთაც ძირეული მასალა საზიარო აქვთ მითითებით ნაცვალსახელებთან.

მეგრულ-ლაზურში ადგილის ხმოვანთავსართულ ზმნისართთა ნაწილის აღნაგობა ასეთია: ნაცვალსახელთან საზიარო ფუძისეულ -ქ- თანხმოვანს თავში დართული აქვს სივრცის დამკონკრეტებელი ა, ე (ი) ხმოვნები: ათაქ || (თ)აქ(გ) || (თ)აქი „აქ“, ეთექ || (თ)ექ(გ) || ე(თ)ექი „იქ“... ლაზურში გვაქვს: ჰაქო || ჰაქ || აქო || აქ „აქ“, ჰექო ჰექ, ექო, ექ „იქ“.

მეგრულში განხილულ ფუძეებს შეიძლება დაერთოს -ნე სუფიქსი, რომელსაც სიტყვაწარმოების ფუნქცია არ გააჩნია: ათაქინე || თაქინე || აქინე... „აქ“; ეთექინე || თექინე || ექინე... „იქ“. ლაზურში კი აღნიშნული ფუძე გვხვდება სხვადასხვა მნიშვნელობის მცვლელი აფიქსებით: ჰაქო-ლე-ნ, ჰაქო-ლე-ნ-დო... „აქეთ, აქედან“... ამ ფორმების შესაბამისი ფუძე – -ლე სუფიქსით ნაწარმოები, მეგრულშიც დასტურდება: (ვ)იქილე || იქ(ი)ლე „ცოტა აქეთ“, აქილე || აქლე „ცოტა აქეთ“. მნიშვნელობა, ლაზურთან შედარებით, განსხვავებულია.

ნაცვალსახელურ -შ- ძირზე ხმოვანთა დართვით ხდება სივრცითი დაკონკრეტება: მეგრ. (ვ)იშო || იშო || იშ „იქით“; აშო || აში || აშ „აქეთ“; ლაზ. (ჰ)იშო || (ჰ)ეშო #125#

„იქეთ“ ჰაშო || აშო „აქეთ“.

მეგრულ-ლაზურში აღნიშნული ზმნისართები წარმოშობით ადგილის ზმნისართებია, მაგრამ კონტექსტური მნიშვნელობით თუ ვიმსჯელებთ, ლაზურში ისინი უფრო ხშირად გამოყენებული არიან ვითარებითის ფუნქციით.

მეგრული (ვ)იშო, ლაზური (ჰ)ეშო წინადადებაში გამოიყენება ნაწილაკის ფუნქციითაც.

ნაცვალსახელურ წარმომავლობისად არის მიჩნეული მეგრულში აშარ(ი) „აგერ“, ეშერ(ი) „ეგერ“ ზმნისართებიც, რომელთაც მასალობრივად უკავშირდება ქართული ამიერი, იმიერი; შესაბამისად, ლაზურში დასტურდება ჰემ დერი „ის ადგილი“, ჰამ დერი „ეს ადგილი“.

მეგრულ-ლაზურში ადგილის ზმნისართებში გამოიყოფა მიცემითი, დაშორებითი და მიმართულებითი ბრუნვის ნიშნები.

დაშორებითი ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილ ზმნისართებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მეგრულში ისინი აღნიშნავენ მიმართულებასაც გარკვეული ნიუანსით, ე. ი. მთლად იმ შინაარსით არა, როგორც ეს ლაზურში გვაქვს. ამასთან ერთად, -შე ბრუნვისნიშნის პირველადი ზმნისართები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილმდებარეობის გამოხატვის ფუნქციითაც; ჟიმოლემე, თუდოლემე... გალემე... ფორმებმა კონტექსტების მიხედვით შეიძლება უპასუხოს შემდეგ კითხვებს: 1. საიდან? 2. საითკენ? 3. სად? (ზემოდან, ზემოთკენ, ზემოთ...).

თანდებულის, ზმნისართისა და ზმნისწინის მასალობრივი თუ შინაარსობრივი კავშირების თვალსაზრისით, საინტერესოა მეგრულში დადასტურებული ზმნისართები ეშე „ზევით“, გიმე „ქვევით“, წიმი „წინ“, კინი „უკან“, მინი „იქით, შიგნით“..., რომლებიც ზმნისწინადაც გვხვდება და თანდებულის ფუნქციითაც. ლაზურში ეს ზმნისართები ცალკე დამოუკიდებელი სტატუსით წინადადებაში არ იხმარება. ისინი ზმნისწინის სახით შედიან ზმნის შემადგენლობაში.

ადგილის ზმნისართთა საწარმოებლად აფიქსაციასთან #126#

ერთად გამოიყენება კომპოზიციაც, რომელიც გავრცელებულია მეგრულ-ლაზურის ზმნისართთა სხვა ჯგუფებშიც.

უპირველეს საშუალებად ადგილის ზმნისართთა მისაღებად წარმოგვიდგება რედუპლიკაცია. მეგრულ-ლაზურში შეიძლება გაორკეცდეს ამ ჯგუფის ყველა ზმნისართი. გაორკეცება ძირითადად მარტივია: მეგრ. ვიშო-ვიშო || იშო-იშო || იშ-იშ „იქით-იქით“; მიკი-მიკი... „იქით-იქით“; კკი-კკი „აღმა-აღმა“; ჟი-ჟი „ზევით-ზევით“; თუდო-თუდო „ქვევით-ქვე-

ვით“, **ემე-ემე** „ზევით-ზევით“... ლაზ. **ჟინ-ჟინ** „ზევით-ზე-  
ვით“; **აშო-აშო** „აქეთ-აქეთ“; **ჰექოლე-ჰექოლე** „იქით-იქით“;  
**წალე-წალე** „ქვევით-ქვევით“... და სხვ.

ადგილის ზმნისართის რედუპლიკაციის შედეგად მიი-  
ღება დროის ან ვითარების ზმნისართები; მეგრ. – **ამარ(ი)-  
ამარ(ი)** (შდრ. **ამარი** „აქ“) „აგერ-აგერ, საცაა“; **მინი-მინი**  
(შდრ. **მინი** „იქით“) „თავდაყირა“ – მიღებულია ვითარები-  
თის ზმნისართი... ლაზური – **ემო-ემო** (შდრ. **(ჰ)ემო**  
„იქით“) „ისე-ისე“, **(ჰ)აშო-(ჰ)აშო** (შდრ. **(ჰ)აშო** „ასე-ასე“...

ადგილის ზმნისართთა მნიშვნელობით გვხვდება სახე-  
ლის გაორკვევებით მიღებული მიცემითის ნიშანდართული  
ფორმები: **შარა-შარას** „გზა-გზა“, **ტყა-ტყას** „ტყე-ტყე“;  
**ღაღ-ღაღს** „ღელე-ღელე“... ლაზური – **დაღი-დაღი**  
„ტყე-ტყე“, **ღერე-ღერე** „კლდე-კლდე“; **ღალი-ღალი** „ღე-  
ღე-ღელე“...

კომპოზიტები შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა ფუძეთა  
შეერთებით: მეგრული – **(ვ)იშო-აშო** |... „იქით-აქით“; **მელე-  
მოლე** „გაღმა-გაღმა“; **(ვ)იქილე-აქილე** „აქით-იქით“;  
**ემე-გიშე**... „ზევით-ქვევით“, **ეკე-დიკე**... „აღმა-დაღმა“, **ჟი-  
დო-თუდო** „ზევით-ქვევით“, **წიმი-კინი** „წინ-უკან“; **(ე)თექ-  
(ა)თაქ(გ)** „იქ-აქ“...; ლაზური – **მელე-მოლე** „გაღმა-გაღმა-  
ღმა“, **ჟილე-წალე** „ზევით-ქვევით“; **ჟინ-თუდე** „ზევით-ქვე-  
ვით“, **ექოლე-აქოლე** „იქეთ-აქეთ“, **ჰიმკელე-ჰამკელე**  
„იქეთ-აქეთ“...

მეგრულში ადგილის ზმნისართი შეიძლება მიღებული  
#127#

იყოს ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით, რომელთაგან ერ-  
თი თვითონ ზმნისართია, მეორე – არსებითი სახელი. ასე-  
თებია: **ათაყურე** || **თაყურე** || **აყურე** || **ამურე** || **ავრე**  
(← **ათაქყურე**) „აქეთ მხარეს“, „აქეთ“; **ეთეყურე** || **თეყურე**  
|| **ეყურე** || **ეურე** || **ევრე** (← **ეთექყურე**) „იქით მხარეს,  
„იქით“. ლაზურში მსგავსი აგებულებისაა იმავე მნიშვნელო-  
ბის ზმნისართები **ჰამკელე** || **ამკელე** || **ანკელე** „აქეთ მხა-  
რეს“ და **ჰემკელე** || **ემკელე** || **ენკელე** „იქით მხარეს,  
იქით“; ოღონდ აქ პირველი კომპონენტი ჩვენებითი ნაცვალ-  
სახელია (ირიბ ბრუნვაში) მეორე კი – თანდებული.

ადგილის ზმნისართები მეგრულში შედიან ვითარები-

თის ჯგუფის რთულ ზმნისართთა შემაღენლობაში:  
**დუდ(ი)გიმე || დუდინი(ი), პიჯგიმე** „პირქვე, თავდაღმა“;  
**პიჯიეშე** „პირაღმა“. ამ ფორმების შესატყვისად ლაზურში  
დასტურდება **პიჯამამთე** „პირაღმა“, **პიჯკოპა** „პირქვე,  
თავდაღმა“.

ადგილის ზმნისართის ფუნქციით გვხვდება მიცემითის  
სუფიქსით გაფორმებული სახელები: **შქაბანს || შქაბანიას**  
„შუა ადგილის“...

მეგრულ-ლაზურში დროის ზმნისართებშიც ადგილის  
ზმნისართების მსგავსად გამოიყოფა ე. წ. პირველადი ფუძე-  
ები: მეგრ. **გოღა || გოღვა** („გუმინ“), **ღუმა** „წუხელ“, **ჭუ-**  
**მე || ჭუმან** „ხვალ“, **წი || წგ** „წელს“; **ხეთე || ხათე** „მა-  
შინვე“, **დიო** „ჯერ“, **ასე** „ეხლა“... ლაზ. **ლომა || ლომან**  
„გუმინ“, **ჭუმე || ჭუმან** „დილას, ხვალე“, **გენდღან || ჯენდღან**  
„ზეგ“...

დროის ზმნისართებიც ფორმდება მიცემით, დაშორე-  
ბითსა და მიმართულებით ბრუნვებში (ნაწილობრივ ვითა-  
რებითშიც).

მიცემით ბრუნვაში ფორმდება როგორც პირველადი  
(**სერს, დღას, მალას, მერქას, გილართას...**) ასევე პრე-  
ფიქს-სუფიქსური წარმოების (**ო-ჭუმ-არ-ე-ს; ო-ნ-დღ-ე-ს,**  
**ო-ნჯუა-ს** და სხვ.) სიტყვებიც (შესაბამისად ლაზურში:

#128#

**ნდღას, სერს ლიმჯის, ონდღ-ერ-ი-ს...**).

თუ მეგრ. **დღას** ფუძე დამოუკიდებლად გამოდის წი-  
ნადადებაში, მაშინ მისი მნიშვნელობა ყოველთვის გადატა-  
ნითი იქნება – „არასოდეს“ (მაგ., **დღას ვაუძირუ**  
„არასოდეს უნახავს“); მხოლოდ მსაზღვრელთან ხმარებისას  
წარმოჩნდება ძირითადი მნიშვნელობით: **ართ დღას** „ერთ  
დღეს“; **თიმ დღას** „იმ დღეს“ და ა. შ.

ოდენსუფიქსური წარმოებაა მეგრულის რამდენსამე  
ზმნისართებში: **დიორდე || დიოდე**... „ჯერ-ჯერობით“, **ასე-**  
**დე || ასერდე** „ახლახან“.

გვხვდება დაშორებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებუ-  
ლი ზმნისართებიც: მეგრ. **ჭუმეშე || ჭუმანშე** „ხვალიდან“,  
**გოღაშე || გოღანერშე** „გუმინიდან, გუმინდელი დღიდან“;  
**გელანშე** „ზეგიდან“... ლაზ. – **ჭუმანიშე** „დილიდან“;

**ოლუმჯიშე** „სალამოსკენ“, **აწიშენ** „ამიერიდან“...

მეგრულ-ლაზურის დროის ზმნისართების გასაფორმებლად უფრო ხშირად გამოყენებულია მიმათულებითი ბრუნვის ნიშანი: მეგრ. **ჭუმეშა** || **ჭუმენერშა** „ხვალამდე“, **გელანშა** „ზეგამდე“, **სერშა** „დადამებამდე“, **ონჯუაშა** „სალამომდე“... ლაზ. **ოლუმჯიშა** „სალამომდე“, **ონდღერიშა** „შუადღემდე“, **აწიშა** „აქამდე“.

დროის ზმნისართთა ფორმით გამოიყენება აგრეთვე სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმებიც: მეგრული – **დღაშით** „დღისით“, **სერით** „ღამით“, **ოსერიშეთ** „ვახშმის დროისთვის“, ლაზური – **სერთე** „ღამით“...

მეგრულში დროის ზმნისართთა რედუპლიკაციის რამდენიმე სახე გამოიყოფა: 1. მარტივი გაორკეცება: **დიო-დიო** „ჯერ-ჯერობით“; **ხეთე-ხეთე**... „მაშინათვე“, **ადრე-ადრე** „ადრე-ადრე“... ლაზური – **ორდო-ორდო** „ადრე-ადრე“, **მანი-მანი** „ჩქარა“, **სერი-სერი** „ღამ-ღამით“...), 2. რედუპლიცირებული ფუძე არის მიცემით ბრუნვაში: **ონჯუა-ონჯუა-ს** „სალამობით“, **ორდო-ორდო-ს** „დილ-დილაობით“; **მალა-მალა-ს** „მალ-მალე“ და სხვ..., 3. გაორკეცებული ფუძე გა-  
#129#

ფორმებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშნით: **სერ(ი)-სერით** „ღამღამობით“, **დღა-დღათ** „დღე-დღეზე, დღითი-დღე“... **დღაშ(ი)-დღაშით** „დღისით“ (ზედმიწ. „დღისით-დღისით“...).

დროის ზმნისართის ფუნქციით გვხვდება რედუპლიცირებული ფორმა განუსაზღვრელი ნაცვალსახელისა **კალ-კალე** „ზოგიერთი“, თუ ამ კომპოზიტის მეორე ფუძე მიმართულებითი ბრუნვის ნიშნით იქნება წარმოდგენილი: **„კალ-კალეშა(ხე)...** „ზოგჯერ, ხანდახან“.

დროის ზმნისართები იწარმოება სხვადასხვა ფუძეთა შეერთებით: **გოდასერი** „გუშინ სალამოს“, **ღუმასერი** „წუხელ ღამე“, **ჭუმ სერი**... „ხვალ სალამოს“... **ამდღა-ჭუმე** „დღეს-ხვალ“... ლაზური – **გოდასერი** „გუშინ ღამე“, **ღო-მამჯი** „გუშინ სალამოს“, **ჭუმეგედან** „ხვალ-ზეგ“.

ერთი კომპონენტი შეიძლება ნაცვალსახელი იყოს, მეორე – არსებითი სახელი: **ამ-დღა** „დღეს“, **ამ-სერი** „ამ სალამოს“... ლაზური... **ჰამსერი** || **ჰამსეი** „ამ სალამოს“, **ჰამ-დღა**... „დღეს“, (ჰ)ამწო... „წელს“.



საყურადღებოა, მეგრულში დადასტურებული რთული ზმნისართი **დღამუშის** || **დღემუშის** „მუდამ“, „ყოველ-თვის“, „არასოდეს“. მას ემყარება **სადღემუშით** „სამუდამოდ“ ზმნისართი, რომელშიც **სა-ო** პრეფიქს-სუფიქსია და გაფორმებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშნით.

მნიშვნელოვანია სივრცითი და დროითი მნიშვნელობების ასახვა მეგრულ-ლაზურის ზმნისართებში.

მეგრულ-ლაზურში მრავლად მოგვეპოვება ზმნისართები, რომლებიც ძველი, ამოსავალი მნიშვნელობის პარალელურად, ახალ, შეძენილ მნიშვნელობებს წარმოგვიდგენენ, ე. ი. სივრცული მნიშვნელობიდან დროული მნიშვნელობის განვითარებას. მაგ., **წოხოლე** „წინ“ | → „წინათ“; **წიმი** „წინ“; ლაზ. **წოხოლე წოხოლე** „წინ“ || → **წინ უკვაჩხე...**

**უკვაჩხე** „უკან“ || → „მერე, შემდეგ“. ამასთან, აღნიშნული #130#

ზმნისართები დროულ მნიშვნელობას იძენენ როგორც ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან დაკავშირებისას ე. ი. თანდებულის ფუნქციით ხმარებისას), ისე – უშუალოდ, ზმნასთან მირთვისას (შდრ. ხუთ წანამ **წოხოლე** „ხუთი წლის წინ“ და **წოხოლე** ფიქრენდ ულას „წინათ ფიქრობდა წასვლას“.

#131#

## სამეცნიერო ლიტერატურის, გამოყენებული ლექსიკონებისა და წყაროების სია

### ა) სამეცნიერო ლიტერატურა

**აბულაძე 1986** – ლ. აბულაძე, სივრცული და დროული ორიენტაციის აღმნიშვნელ სიტყვათა წყვილების შესახებ. – იკე, ტ. XXV, თბილისი, 1986.

**აბულაძე 1989** – ლ. აბულაძე, დროის სემანტიკური ველის შესახებ. – იკე, ტ. XXVIII, თბილისი, 1989.

**აბულაძე 2000** – ლ. აბულაძე, ლექსიკური სემანტიკის ისტორიიდან. – იკე, ტ. XXXIV, თბილისი, 2000.

**არონია 2003** – ი. არონია, კომპოზიტები მეგრულსა და ლაზურში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა

კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003.

**ანტონ I, 1885** – ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885.

**აფრიდონიძე 1984** – შ. აფრიდონიძე, თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის. – კრებ. “ქართული სიტყვის კულტურის საკითხები”, VI, თბილისი, 1984.

**ახალაია 1998** – ვ. ახალაია, ერთი რიგის ზმნისართი ქართულსა და ზანურში. – საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. VII, თბილისი, 1998.

**გაბუნია 1988** – ვ. გაბუნია, ზმნისართთა და თანდებულთა ურთიერთმიმართების საკითხი ქართველურ ენებში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 12, თბილისი, 1988.

**გაბუნია 1990** – ვ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში. – სმამ, ტ. 137, 12, თბილისი, 1990.

**გაბუნია 1993** – ვ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი, 1993.

#132#

**გიგიბერია 1958** – ე. გიგიბერია, გალის რაიონის მეგრული. – თბილისის უცხო ენათა პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1958.

**გიულდენშტედტი 1964** – ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II. – უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XIV, თბილისი, 1964.

**გუდავა 1947** – ტ. გუდავა, ერთი აფხაზური თანდებული ზანურში. – სმამ, ტ. VIII, 13, თბილისი, 1947.

**ვეშაპიძე 1963** – ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. – თსუ შრომები, ტ. 96, თბილისი, 1963.

**ზურაბიშვილი 1957** – თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში. – თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი, 1957.

**თოფურია 1959** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან VI. კომპოზიტი. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. I, თბილისი, 1959.

**თოფურია 1979** – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. VI. კომპოზიტი. – თსუ შრომები, #3, თბილისი, 1979.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში. – შრომები, II, თბილისი, 2002.

**კიზირია 1982** – ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი, 1982.

**ლომთათიძე 1942** – ქ. ლომთათიძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში. – სმამ, ტ. III, #9, თბილისი, 1942.

**ლომთათიძე 1954** – ქ. ლომთათიძე, ზოგი ზმნისართის აგებულებისათვის აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. – იკე, ტ. VI, თბილისი, 1954.

**ლომთაძე 1987** – ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბილისი, 1987.  
#133#

**ლომთაძე 1973** – ა. ლომთაძე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #4, თბილისი, 1973.

**მარტიროსოვი 1946** – არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში. – იკე, ტ. I, თბილისი, 1946.

**მარტიროსოვი 1956** – არ. მარტიროსოვი, წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში. – იკე, ტ. VIII, თბილისი, 1956.

**მარტიროსოვი 1953** – არ. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში. – იკე, ტ. V, თბილისი, 1953.

**მარტიროსოვი 1964** – არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი, 1964.

**ნიკოლაიშვილი 1929** – ე. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1929.

**ჟღენტი 1953** – ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა; თბილისი, 1953.

**როგავა 1973** – გ. როგავა, ზოგი თავისებური პროცესი ქართველურ ენათა კომპოზიტებში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #3, თბილისი, 1973.

**როგავა 1962** – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული

ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1962.

**სანიკიძე 1977** – ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში. – იკე-ს „წელიწდული“, ტ. IV, თბილისი, 1977.

**უთურგაიძე 1986** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ფირალოვი 1820** – გ. ფირალოვი, თვთ მასწავლებელი, სანკტ-პეტერბურლი, 1820.

**ფოჩხუა 1959** – ბ. ფოჩხუა, ხმოვანთავსართული #134# ზმნისართები. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1959.

**ყიფშიძე 1994** – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994.

**შალამბერიძე 1959** – გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულ ენაში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1959.

**შანიძე 1953** – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1973.

